ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 აპრილი ორშაბათი 2013
№093 (14 009) ფასი 80 თეთრი



## რონ ონიანის სკანდალური აღიარება

ვეშაპების ნაცვლად ჩვენნაირი ლიფსიტები გამოიჭირეს

2

ზუგდიდის ფეხბურთელი 2011 წლის მოვლენებზე ალაპარაკდა

# ბუნდესკობი

## ჰერტა ელიტაში შეხტა




5

## ჩისკომ ჩაარტყა ჩისკო განმარტავს ჩისკოს განაჩენს გამოუტანენ



ფოტო: www.fcdinamo.ge

19 აპრილს საქართველოს ჩემპიონატის 28-ე ტურის შეხვედრაში, სადაც ერთმანეთს „ზუგდიდი“ და თბილისის „დინამო“ დაუპირისპირდნენ, ინციდენტი მოხდა. დინამოელთა ესპანელმა ლეგიონერმა **ჩისკომ** მასპინძელთა მცველ **ნიკოლოზ აფაქიძეს** ხელი სახეში ჩაარტყა, რასაც არბიტრის მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია. ამის შემდეგ მოედანზე მცირე შეხლა-შემოხლა მოხდა, თუმცა ვითარება მალევე ჩაწყნარდა. შეგახსენებთ, რომ „დინამომ“ „ზუგდიდი“ სტუმრად ანგარიშით 2:0 დაამარცხა. მე-60 წუთზე გოლი **გიორგი გველესიანმა** გაიტანა, ხოლო 90-ეზე **ლევან ხმალაძე** გამოირჩა.

ჩისკომ ინციდენტზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„ზუგდიდში მომხდარმა ამბებმა საფეხბურთო საზოგადოებაში გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია. მინდა განვმარტო, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ჩემ მიმართ, მეტოქე გუნდის მცველების მხრიდან სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა მიზანმიმართული პროვოცირება. ზორიგი უხეშობის შემდეგ, როდესაც მეურვის გ ზიდან ჩამოცილებას ვცდილობდი, მოხდა ინციდენტი, რომელიც ვიდეოკადრებში ბევრად უფრო არასასიამოვნო სანახავია, ვიდრე რეალურად იყო. თუმცა ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ეპიზოდში არანაირი ავი განზრახვა არ მქონია. მიუხედავად ამისა ვწუხვარ მომხდარის გამო“.*

დღეს, სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი საგანგებოდ შეიკრიბება. სხდომა „მიხეილ მესხის“ სტადიონის მედიაცენტრში გაიმართება და განსახილველი საკითხი იქნება 19 აპრილს, საქართველოს XXIV ეროვნული ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩში, „ზუგდიდსა“ და „დინამოს“ შორის მომხდარი ინციდენტი. სფფ-მ უკვე გააფრთხილა ორივე კლუბი. შეგახსენებთ, რომ სადისციპლინო კომიტეტის ახალი შემადგენლობა არჩევის შემდეგ პირველად იკრიბება.

**მომზადებულია „სპორტალის“ მიხედვით**



## ვარსკვლავური ომი ქუთაისში

ლეგიონერებმა ადგილობრივებს აჯობეს

12



12

## გიორგი ცინცაძე ნახევარფინალშია



## ლელომ ლელო დიდ ფინალში დადო

ველით მეორე ფინალისტს: არმია, თუ აია?

13

● U19. ელიტრაუნდისთვის მზადებიან


გია ცეცაძე
ფოტო: www.gff.ge

# ცეცაძე და კამპანია პორტუგალიაში

20 აპრილს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრა. **გია ცეცაძის** განვრთნილები პოვოა დე ვარზიმის საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე 23 აპრილს მასპინძელ პორტუგალიას დაუპირისპირდებიან, 25 აპრილს - სერბეთს, 27-ში კი – რუსეთს.

19-წლამდელები პორტუგალიაში შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრნენ:

მეკარეები: გაბრიელ თებიძე ("ჩიხურა"), ბაჩო მიქავა ("ლოკომოტივი")

მცველები: დავით მთივლიშვილი, ნიკა ჭანტურია (ორივე – "ლოკომოტივი", თბილისი), ლევან გეგეჭკორი ("მერანი"), ნიკა სანდოხაძე ("ტორპედო"), დავით უბილავა ("ვიტ ჯორჯია"), ლაშა დვალი ("სკონტო", ლატვია)

ნახევარმცველები: გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე (ორივე – "ზესტაფონი"), თემურ მარკოზაშვილი ("ტორპედო"), პაპუნა ფონიავა ("მერანი"), დაჩი ცნობილაძე ("მეტალურგი"), გიორგი გოროზია ("ლოკომოტივი")

თავდამსხმელები: ბაჩანა არაბული ("დილა"), ბუდუ ზივზივაძე ("დინამო"), გიორგი ფანცულაია ("ტორპედო"), ნიკა კაჭარავა ("რუბინი", რუსეთი)

ეს 19-წლამდელთა ნაკრების ბოლო მოსამზადებელი ეტაპია მაისში ბელგიაში დაგეგმილი ელიტ რაუნდის მატჩებამდე, სადაც ჩვენი საქართველო ინგლისს (24 მაისს), შოტლანდიასა (26 მაისს) და ბელგიას (29 მაისს) დაუპირისპირდება და ევროპის ჩემპიონატის საგზურის მფლობელს გაარკვევს – ფინალურ ეტაპს ლიტვა 20 ივლისიდან 1 აგვისტომდე უმასპინძლებს. გამომდინარე აქედან, გია ცეცაძე პორტუგალიურ ტურნირს გენერალურ რეპეტიციად განიხილავს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი.

# სერბეთის ნაკრების ლიდერი იბერიაში

## მალე ახალგაზრდული ნაკრებიც გვეყოლება

მალე საქართველოს ფუტსალის ახალგაზრდული ნაკრები ეყოლება. ამის შესახებ ფუტსალის ასოციაციაში (სფა) გვითხრეს.

*"უახლოეს პერიოდში, უეფა ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის აღდგენას გეგმავს, დეკემბრის დასაწყისში კი პეტერბურგი მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამან გვიბიძგა, რომ ახალგაზრდული ნაკრები შევქმნათ. ოფიციალური ტურნირის დაწყებამდე სპარინგ-მატჩებით გუნდმა გამოცდილება უნდა შეიძინოს. ამ კუთხით, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციასთან ჩვენი პარტნიორობა გრძელდება. ისინი ჩვენი ახალგაზრდების მიპატიჟებას აპირებენ, რათა 24 და 25 სექტემბერს ორი თამაში გავმართოთ. უახლეს პერიოდში ოფიციალურ მოწვევას ველით და მის საფუძველზე შესაბამის ინსტანციებს დახმარებისთვის მიმართავს. ფუტსალის ასოციაციას დიდი დაფინანსება არ აქვს და ცხადია, დამატებითი სახსრები დაგვჭირდება.*

*სხვათა შორის, ახალგაზრდულ ნაკრებთან თანამშრომლობის სურვილი ანზორ გაბიტაშვილმა გამოთქვა. 2006 და 2007 წლებში იგი ფუტსალში ეროვნული ნაკრების ექიმი-მასაჟისტი გახლდათ. მიგვაჩნია, რომ ბატონი ანზორის უდიდესი გამოცდილება ახალგაზრდა ფუტსალელებს მნიშვნელოვნად წაადგებათ.*

*კიდევ ერთი სიახლე: კომპანია "კასტრო ბრაზერსის" პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი დიონიზიო კასტრო, წლეულს პორტუგალიის ფედერაციასთან ერთად, მორიგ მუნდიალიტოს (მსოფლიო ტურნე) გამართვას გეგმავს. ჩვენ უკვე დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნული შეჯიბრების ჩატარების შემთხვევაში, საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები მთლიან 100-პროცენტიან დაფინანსებას მიიღებს. 2006 და 2008 წლებშიც იგივე მოხდა და მაშინაც ყველა ხარჯი მთლიანად კასტრომ იტვირთა. კასტრო ფიფა-ს აგენტია და ბევრ ცნობილ მწვრთნელთან და სპორტსმენთან თანამშრომლობს: ზიკო, ჟოაო მაუტინიო, ვაგნერ ლავი და ა.შ. მისი თანადგომა ჩვენთვის ბევრს ნიშნავს"* – გვითხრა სფა-ს გენერალურმა მდივანმა **ბექა კვიციანმა.**

თემას საკლუბო თემით განვაგრძობთ. უეფას ოთხთა ფინალის მონაწილე "იბერია სტარი" 20 აპრილს ამხანაგურ მატჩში თსუ-ს შეხვდა და 3:0 დაამარცხა – სტუდენტების კარი აიღეს **რაფამ, მარსელომ** და **კუმანომ**, ორი საგოლე გადაცემა გააკეთა იბერიელთა ახლაწვეულმა **მარკო პერიჩმა** – ეს უკანასკნელი სერბეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც საქართველოს ჩემპიონმა აზერბაიჯანის ჩემპიონატის ლიდერ "არაზიდან" დაიმატა. "იბერია" ნახიჭევანის გუნდს ცოტა ხნის წინ ბაქოში შეხვდა და შეთანხმებაც მაშინ შედგა. გადაწყვეტილია, რომ პერიჩი ოთხთა ფინალში ითამაშებს, რაც ჩვენი ჩემპიონისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია.

გუნდი მოედანზე პირველად გაიყვანა **ალიკ სარქისიანმა**, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში "იბერია სტარის" სამწვრთნელო შტაბში მუშაობს, ორიოდე დღის წინ კი მთავარი მწვრთნელი გახდა. შეგახსენებთ, რომ მის წინამორბედ **სერჟიო ბენატისა** და კლუბს შორის კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და საკმაოდ მოულოდნელად გაწყდა. მიზეზი ბრაზილიელის უცნაური გადაწყვეტილებები იყო, რაც კლუბისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

საქართველოს ჩემპიონატში კი მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა.

**სოკარი — თსუ 5:2**
**სოკარი — თელასი 9:4**
**თსუ — ბურჯი 9:1**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 12 | 12 | 0 | 0 | 99-18 | 36 |
| 2. თსუ | 12 | 9 | 0 | 3 | 76-30 | 27 |
| 3. სოკარი | 13 | 8 | 0 | 5 | 82-42 | 24 |
| 4. თელასი | 11 | 7 | 0 | 4 | 63-39 | 21 |
| 5. GIEC | 14 | 2 | 0 | 12 | 38-94 | 6 |
| 6. ბურჯი | 13 | 0 | 0 | 13 | 22-149 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ

# რონ ონიანის სკანდალური აღიარება

## ჩვენი დაჭერით უარესი ამბები გადაფარეს

19 აპრილს, საქართველოს ჩემპიონატის 28-ე ტურის შეხვედრაში, „ზუგდიდმა" თბილისის „დინამოსთან" 0:2 წააგო. საყურადღებო ის მოხდა, რომ მეორე ტაიმში დინამოელმა ჩისკომ მასპინძელთა მცველს ნიკა აფაქიძეს ხელი სახეში ჩაარტყა. მაგრამ ეს არ ყოფილა იმ მატჩის დროს მომხდარი ერთადერთი ინციდენტი: როგორც ერთ-ერთმა თვითმხილველმა გვითხრა, მატჩის შემდეგ "ზუგდიდის" კაპიტანი რონ ონიანი თბილისური კლუბის პრეზიდენტს, რომან ფიფიას შეეკამათა.

ინფორმაციის გადასამოწმებლად და დასაზუსტებლად ონიანს დავუკავშირდით. წინასწარ გეტყვით, რომ ამ ინტერვიუმ სკანდალური გაგრძელება ჰპოვა. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე სფფ-ს პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ საზოგადოებას ჩაწყობილ მატჩებში მხილებული და დაკავებული 5 მოთამაშის შესახებ ამცნო. ამ საქმეზე კუდ-ის (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი) თანამშრომლებმა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების ფეხბურთელები სპარტაკ გოგია, კახა კირთაძე (ორივე - „სამტრედია"), ლევან ვართაგავა, რონ ონიანი (ორივე - ზუგდიდის „ბაია") და გიგა ბეჭვაია (თბილისის „ვიტ-ჯორჯია") დააკავეს.

კუდ-ის თანამშრომლების მოხსენებების მიხედვით, ეს ფეხბურთელები სისტემატურად შედიოდნენ კორუფციულ გარიგებაში ტოტალიზატორის შავი ბიზნესის წარმომადგენელთან, დავით გაბედავასთან და დიდი ოდენობის თანხის სანაცვლოდ წინასწარ ხელოვნურად განსაზღვრავდნენ თამაშის შედეგებს. 2011 წელს რონ ონიანი "ბაიას" კაპიტანი იყო. მას ბრალად წაუყენეს, თითქოს 2011 წლის 19 აპრილს თბილისის "დინამოსთან" მატჩის სასურველი შედეგის განსაზღვრისთვის გუნდში 12 000 ლარი მიიტანა.


რონ ონიანმა (მარცხნივ) დუმილი დაარღვია

**- გულახდილად ვილაპარაკოთ?**

- საერთოდ, გულახდილი ადამიანი ვარ.

**- ფიფიასთან კონფლიქტი რატომ მოგივიდა?**

- მომხდარს კონფლიქტსაც ვერ დავარქმევ. უბრალოდ, ინტერვიუში ნათქვამი ამ ფრაზის შემდეგ მსურდა, ფიფიას შევხვედროდი და ყველაფერი გამერკვია. გული მაქვს, ქვა კი არა და პატარა ბავშვივით განვიცდი, რაც მაშინ და მას შემდეგ ხდებოდა. ახლა, მატჩის შემდეგ ფიფია მოედანთან ჩამოვიდა და ვუთხარი, რომ ზუგდიდში დაბრუნებული ის მოთამაშე ვარ, ინტერვიუში რომ მახსენა, ფული ჩემი შრომით მიშოვია და არა თამაშების გაყიდვით და ა.შ. მოკლედ, ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ფიფიამ ხელი ჩამომართვა, ამდენი არ ვიცოდი, კაცი ყოფილხარო და ყველაფერი კარგად დასრულდა. იმიტომ, რომ ბატონმა რომანმა კარგად გაიგო, რაც 2011 წელს მოხდა. არადა, ხალხმა მაშინდელ ამბებზე ბევრი არაფერი იცის.

**- კითხვები მართლაც არსებობს, მაგრამ არავინ არაფერს ამბობთ და სიმართლეს სიზმარში ვერ გავიგებთ. თუ ჩირქი დაუმსახურებლად მოგცხეს, რატომ არაფერს ამბობ?**

- მე არ ვარ ის კაცი, პირი დავაღო და ყველაფერი ვილაპარაკო. თორემ 2011 წელს მომხდარზე მართლა არასწორი ამბები იცით. ტელევიზიით ნაჩვენები კადრების მიღმა ბევრი რამ დაიმალა.

**- კონკრეტულად რა დაიმალა?**

- ის, ვინც მუშაობდა კადრებს მიღმა და, რაც მთავარია, რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი. მას შემდეგ სულ ამაზე ვფიქრობ, მომხდარს ვაანალიზებ და ასე მგონია, რომ იმდროინდელი მოვლენების გამო, ხელების ჩვენზე შეწმენდა გადაწყვიტეს. თავად დაფიქრდით: ზუსტად 2 მაისს დაგვაკავეს, როდესაც მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი ოსამა ბინ ლადენი მოკლეს, მაგრამ ქართულ ტელევიზიებში წამყვანი ჩვენი თემა გახდა. ამით უშიშროებამ კარგი პიარი გაიკეთა.

> ამ ბრალდებებში ნახსენები პიროვნებებისა და კლუბების დასაფარად დასჭირდათ ეს ორი თვე, რომ ვეშაპების ნაცვლად, ჩვენნაირი ლიფსიტები გამოეჭირათ

**- და ეს რაში აძლევდათ ხელს?**

- კარგად გაიხსენეთ, მაშინდელ პრესკონფერენციაზე რა დოკუმენტები წარმოადგინეს? უეფას გამოძიების მიერ გამოგზავნილი საეჭვო მატჩების ჩამონათვალი. მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ 28 თებერვალს გამოგზავნილი ეს წერილი საქართველოში 29 აპრილს ჩამოსულა. ეს იმ დროს, როდესაც მსგავსი წერილების მისაღებად მაქსიმუმ 10 დღე საკმარისია. ჩვენ კი 2 მაისს დაგვაკავეს. კითხვა მაშინ დამებადა, ორი თვე რას ელოდნენ და რა რეაგირება მოახდინეს თებერვლამდე დაფიქსირებულ საეჭვო მატჩებზე - "დინამო"-"ბაიას" შეხვედრა ხომ 2011 წლის 19 აპრილს გაიმართა?

**- რაზე მიგვანიშნებ?**

- იმაზე, რომ უეფამ სერიოზული გამოძიება ჩაატარა და შესაბამისი საბუთები გამოგზავნა. მე ვფიქრობ, რომ ამ ბრალდებებში ნახსენები პიროვნებებისა და კლუბების დასაფარად დასჭირდათ ეს ორი თვე, რომ ვეშაპების ნაცვლად, ჩვენნაირი ლიფსიტები გამოეჭირათ. თქვენი აზრით, ტოტალიზატორებში დიდ ფულს ჩვენნაირი მოთამაშეები შოულობდნენ? ფეხბურთელები შავი ტოტალიზატორის წარმომადგენელთან, დავით გაბედავასთან კორუფციულ გარიგებაში სისტემატურად შედიოდნენ და დიდი ოდენობის თანხის სანაცვლოდ წინასწარ ხელოვნურად განსაზღვრავდნენ თამაშის შედეგებსო. არადა, ეს გაბედავა კუდ-ის თანამშრომლებთან ერთად შემხვდა. მეტიც, როდესაც გაგვათავისუფლეს, იგივე გაბედავა გარეთ ისევ კუდ-ის ხალხთან და მათ მანქანაში დაგვხვდა. ისე გამოვიდა, რომ კუდ-ი ჩვენს დანაშაულში ჩათრევას ცდილობდა. სწორედ ეს არის ჩემი მთავარი კითხვა – რატომ აკეთებდნენ ამას კუდ-ის თანამშრომლები? მათი მოვალეობა ხომ დანაშაულის აღკვეთა იყო და არა კრიმინალში ხალხის ჩათრევა? იქნებ, ეს ყველაფერი პიარის გასაკეთებლად მოიფიქრეს, რომ საქართველოში ჩაწყობილ თამაშებს ებრძოდნენ. და კიდევ ვიმეორებ: ხომ არ გადაეფარნენ გაცილებით გავლენიან ხალხს, ვინც ტოტალიზატორებში მართლა დიდ ფულს შოულობდა? მგონია, რომ ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს, რადგან მაშინ ხელები ჩვენზე შეიწმინდეს. არადა, თქვეს, ამაში 180 მოთამაშე იყო გარეულიო და ბოლოს მხოლოდ 5 დავრჩით. ან ტელევიზიით გავრცელებულ კადრებში ბოლომდე რატომ არ აჩვენეს, მანქანაში რას ვლაპარაკობდი?



> მომხდარს ვაანალიზებ და ასე მგონია, რომ იმდროინდელი მოვლენების გამო, ხელების ჩვენზე შეწმენდა გადაწყვიტეს.

**- ამ ეჭვებს აქამდე რატომ არ ამხელდი?**

- რა აზრი ჰქონდა? მე პატარა კაცი ვარ და მაშინ სიმართლეს ვერავის დავუმტკიცებდი, ჩემზე და სხვა დაჭერილებზე ხომ პიარი გააკეთეს და ვითარებას როგორ შემოვატრიალებდი? რა სიმართლის დამტკიცებაზეა ლაპარაკი, როდესაც დამაკავეს, ადვოკატის აყვანის უფლება არ მომცეს და თავში დანა დამარტყეს. არადა, ეს გაბედავა რომ გამოჩნდა და ბოლოს ბაზაზე გვეახლა, დავეჭვდი და ბიჭები თავად გავაფრთხილე, საეჭვოდ გვიტრიალებენ და ახლოს არ გაეკაროთმეთქი. ჩემი ბრალი ის იყო, მთელი ცხოვრება ფეხბურთს შევწირე და მათთან დალაპარაკებასაც ვნანობ.

> დიდ სიბინძურეებს პატარა ადამიანებთან ნუ ეძებენ – ამას აკეთებდნენ გაცილებით მაღალი დონის ხალხი და არა ჩვენ, ვისაც ამ დონესთან ხელი არ მიგვიწვდება

მაგრამ ამის მიღმა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულებები რომ დაიმალა და მე ქვეყნის დამაქცევარი გამოვედი, ეს უსამართლობაა და ფიფიასთვის ამის თქმა მსურდა.

მე კი იმაში შევცდი, რომ მოგზავნილ ხალხს დაველაპარაკე. თუმცა, "დინამოსთან" იმ შეხვედრის ჩაწყობაში ნაღდად არ ვმონაწილეობდი – დავიფიცებ, რომ მართალი ვარ. მეტს აღარ ვიტყვი, დამბეზღებელი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ყელში ამოვიდა ამდენი ბრალდება. დიდ სიბინძურეებს პატარა ადამიანებთან ნუ ეძებენ – ამას აკეთებდნენ გაცილებით მაღალი დონის ხალხი და არა ჩვენ, ვისაც ამ დონესთან ხელი არ მიგვიწვდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ერთგული ბიბლიოთეკა

● ვიტ ჯორჯია



# [illegible]!

## ჯანელიძის „უკვე სხვაგან [illegible]"

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" სტუმრად 3:0 დაამარცხა ბოლნისის „სიონი" და ქვედა ექვსეული კიდევ უფრო ჩახლართა.

„სიონი" თასის ნახევარფინალშია გასული და „ვიტ ჯორჯიასთან" ასეთი მარცხი მოულოდნელი ამიტომაც გამოდგა. გარდა ამისა, „ვიტ ჯროჯიას" ბოლო დროს პრობლემები მიეძალა, „სიონი" კი უფრო წელგამართული ჩანს, ლეგიონერებიც დაიმატა და გამოცდილი ქართველი ფეხბურთელებიც.

საშუასეზონო პერიოდში „სიონი" უცხოურ შეკრებაზე იყო, „ვიტ ჯორჯიამ" კი შეკრების გამართვა საქართველოშიც ვერ მოახერხა.

მეორე ეტაპი დაწყებული იყო, „ვიტ ჯორჯია" **მერაბ კოჭლაშვილმა** რომ დატოვა და გუნდი ისევ **ზურაბ ბერიძემ** ჩაიბარა - მწვრთნელი შუა გზაზე შეიცვალა.

ერთი სიტყვით, „სიონი" „ვიტ ჯორჯიაზე" უკეთეს პირობებშია, თუმცა მაინც 0:3.

„როგორ მოვახერხეთ „სიონის" დამარცხება? აბა, რა გითხრათ, ალბათ იმით, რომ ერთ მუშტად შევიკარით, ყველამ ყველაფერი გავაკეთეთ გამარჯვებისთვის" - გვითხრა ვიტჯორჯიელთა კაპიტანმა **გიორგი ჯანელიძემ**, ვინც „სიონთანაც" ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე.

ჯანელიძე 23 წლის გახლავთ, „ვიტ ჯოჯიაში" 2007 წელს მივიდა, ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია და ერთი კეპი ეროვნულ გუნდშიც მოუნაგრია. უკვე გამოცდილი ფეხბურთელი ეთქმის, მოედანზე უშიშარია და ლიდერის თვისებები აქვს, „ვიტ ჯორჯიაში" კაპიტანიც არის და გუნდის თამაშის წარმმართველიც.

წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯია" საქართველოში სტაბილურად მოწინავე გუნდი იყო, ახლა კი არგავარდნისთვის იბრძვის და ცხადია, ეს იმით არის გამოწვეული, რომ კლუბს ფინანსურად არ ულხინს.

*„ფეხბურთელები ხელფასს კვლავინდებურად ვიღებთ, რაც შეეხება საერთო სიტუაციას, იმედია, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება"* - ამბობს „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი.

მწვრთნელის შეცვლას ყოველთვის ახლავს რაღაცის შეცვლა გუნდში. რა თქმა უნდა, მოკლე დროში, თანაც მაშინ, როცა სეზონი გახურებულია, ვერც ერთი მწვრთნელი სასწაულს ვერ მოახდენს, თუმცა რაღაცას მაინც დაატყობს გუნდს.

*„ ბერიძის მოსვლით „ვიტ ჯროჯია" უფრო ბრძოლისუნარიანი გუნდი გახდა, მწვრთნელმა აქცენტი ფეხბურთელების ფსიქოლოგიურ მომზადებაზე გადაიტანა"* - განგვიმარტა ჯანელიძემ და მართლაც, ბერიძე ყოველთვის გამოირჩეოდა გუნდში კარგი ატმოსფეროს შექმნით, საბრძოლო მუხტის გაძლიერებით.

ჯანელიძე სატრანსფეროდ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელია „ვიტ ჯორჯიაში" და საერთოდ საქართველოს ჩემპიონატში. სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ გახსნილა, თუმცა ზოგი კლუბი აქედანვე იჭერს თადარიგს და შევიტყვეთ, რომ ჯანელიძეთი უკვე დაინტერესდა ზედა ექვსეულის რამდენიმე გუნდი.

*„რომელ გუნდში ვიქნები მომდევნო სეზონისთვის, ჯერ არ ვიცი, ამ ეტაპზე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ „ვიტ ჯორჯია" უმაღლეს ლიგაში დარჩეს, მერე კი ვნახოთ"* - ამბობს ჯანელიძე და არ გვიმხელს, თუ ყველაზე უფრო რომელი გუნდია მისით დაინტერესებული.

შარშან ჯანელიძეს ერთი ქართველი აგენტი ჯერ ყაზანის „რუბინში", შემდეგ „ნეფტეხიმიკში" უპირებდა გადაყვანას, თუმცა ტრანსფერი ვერ გაიჩარხა, არადა ჯანელიძე მართლაც იმსახურებს იმას, რომ უკვე სხვა დონეზეც მოსინჯოს ძალა. სხარტი, მოქნილი, აზრიანი, ტექნიკური - ვისაც ბურთის გაგორება და კონტროლი, ტექნიკური და შემტევი ფეხბურთი უყვარს, ჯანელიძეც იმას გამოადგება.

**თემურ ქეცბაიამ** ჯანელიძე ერთხელ გამოიძახა ნაკრებში, შარშანწინ მოლდოვასთან ამხანაგურ შეხვედრაში შეცვალზე შეუშვა და ვიტჯორჯიელმაც მყის 11-მეტრიანი მოიპოვა. ურიგო დებიუტი როდი გამოუვიდა, მაგრამ ნაკრებში მას შემდეგ აღარ დაუძახეს.

*„თუ ისევ მიმიწვევენ ნაკრებში, ამისთვის მზად ვარ, საკუთარი თავის იმედი მაქვს"* - გვითხრა ჯანელიძემ.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო სეზონიდან გიორგი სხვა გუნდის ფეხბურთელი იქნება, ასეთი კარგი მოთამაშე საქართველოში ბევრი ნამდვილად არ არის და ის, რომ მას ნაკრებში აღარ იწვევენ, ტრანსფერში ალბათ ხელს ვერ შეუშლის - ჯანელიძის შესაძლებლობები საქართველოში ყველამ კარგად იცის.

და კიდევ: ჯანელიძე მიუნხენის „ბაიერნის" გულშემატკივარია და ამბობს, რომ **იუპ ჰაინკესის** გუნდი ახლა ისეთი ლონიერია, როგორც არასდროს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონას" ბავარიაშიც მოუგებს და კატალონიაშიც.

**დავით თავართქილაძე**

● XXVIII ტურის მიმოხილვა

# ინტრიგის ეპიცენტრი შეიცვალა!


„ზესტაფონი“-„დილა“ 0:3 თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

გასული ტური, ერთი შეხედვით, უჩვეულო დღეს, პარასკევს ჩატარდა: სეზონის დაწყებიდან მსგავსი ხომ არ ყოფილა და კალენდარიც ისე იყო შედგენილი, ჩემპიონატის მატჩები მხოლოდ შაბათ-კვირას იმართებოდა. თუმცა პირველ ეტაპზე რამდენჯერმე გვქონდა ისეთი შემთხვევა, როცა მთელი ტური შუა კვირაში (ოთხშაბათს) ტარდებოდა და თითქმის ყოველთვის, სტუმრების დომინირება აღინიშნებოდა. ასე მოხდა ახლაც: ექვსიდან მხოლოდ ერთ შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ორი მატჩი ფრედ დამთავრდა და სამი დაპირისპირება კი სტუმრებმა მოიგეს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს, უბრალო დამთხვევაა, მით უფრო, რომ განვლილ ტურს ზედა ექვსეულში არაფერი შეუცვლია; აი, ქვედა ექვსეულში კი ყველაფერი თავდაყირა დადგა და ერთდროულად ოთხ გუნდს („მერანი, ბათუმის „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“) უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება. აქვე იმასაც შეგახსენებთ, თუ რატომ იყო დანიშნული XXVIII ტური შაბათ-კვირის ნაცვლად პარასკევს: ხვალ (23 აპრილს) ხომ საქართველოს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩებია და ოთხივე ნახევარფინალისტს (თბილისის „დინამო“, „მეტალურგი“, „ჩიხურა“, „სიონი“) ასეთი მნიშვნელოვანი მატჩებისათვის მოსამზადებლად დრო ხომ სჭირდებოდა.

...ვიდრე გასული ტურის გამორჩეულ მოვლენებსა თუ ფაქტებზე ვისაუბრებდეთ, უკვე გადაწყვეტილ-გარკვეული ორი ამბავიც გვინდა გაუწყოთ. წინა ტურის მერე იყო, როცა გაირკვა, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლებოდა. ამ ტურში „ზესტაფონის“ მორიგი ფიასკოს შემდეგ კი სხვა არცთუ სასიამოვნო ფაქტი გაცხადდა: საქართველოს ორგზის ჩემპიონმა გუნდმა დარჩენილი ოთხივე მატჩი რომ მოიგოს და IV ადგილზე მყოფმა „ჩიხურამ“ ამდენივე შეხვედრა წააგოს, უპირატესობა მაინც საჩხერელთა მხარეს იქნება (ურთიერთშეხვედრების შედეგების გამო); ანუ, „ზესტაფონს“ თეორიული შანსიც აღარ დარჩა ევროპის ლიგის საგზურის მოსაპოვებლად, არადა, მოგეხსენებათ, რომ ეს იმერული კლუბი ბოლო წლების განმავლობაში სისტემატურად მონაწილეობდა ევროტურნირებზე.

„ზესტაფონის“ წარუმატებელი ასპარეზობა ამ სეზონის ერთ-ერთი უსიამოვნო მოულოდნელობაა; თუმცა, ამას ბევრი ობიექტური მიზეზიც აქვს — მწვრთნელების ხშირი ცვლა, ახალი ფეხბურთელების სიმრავლე და მათი ერთმანეთში შეთამაშების პრობლემა და სხვა; მაგრამ, არანაკლებ უსიამოვნო ამბავია ისიც, რომ სწორედ XXVIII ტურში გაირკვა ორიდან ერთი დაქვეითებული გუნდის ვინაობა: ფოთის „კოლხეთს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსიც აღარ დარჩა! ოღონდ, ასე მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რეგლამენტი... არ დაირღვა; ანუ, ხომ შეიძლება, სამომავლოდ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს, ან კიდევ „კოლხეთზე“ ზემოთ მყოფმა რომელიმე გუნდმა ლიცენზირების მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს? თუმცა ვარაუდებს სჯობს, რომ გასულ ტურს დავუბრუნდეთ, ოღონდ, ამჯერად „სუბორდინაციას“ დავარღვევთ და მიმოხილვას ქვედა ექვსეულიდან დავიწყებთ.

## იუბილე გაფერმკრთალდა

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: თუ ამ ზაფხულს ჩემპიონატის რეგლამენტში არაფერი შეიცვალა, ფოთის „კოლხეთს“ მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში მოუწევს ასპარეზობა. არადა, ყველას კარგად მოეხსენება, რომ წლეულს ფოთელთა კლუბის 100-წლიანი იუბილეა და აი, ასეთი არასახარბიელო შედეგიც...

ერთი შეხედვით, ფოთელთა ასეთი წარუმატებლობა მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო: პირველი ეტაპის შემდეგ „კოლხეთმა“ 22 მატჩში მხოლოდ 4 ქულა მოაგროვა და „გადამრჩენელ“, X ადგილს 14 ქულით ჩამორჩებოდა. რა თქმა უნდა, მეორე ეტაპზე გუნდმა თამაშის ხარისხიც გამოასწორა და ექვს შეხვედრაში 9 ქულა მიამატა თავის მწირ აქტივს (ბოლოს და ბოლოს, ორი გამარჯვებაც იზეიმა), მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა. კიდევ ვიმეორებთ: ერთი-ორად საწყენია, როცა ასეთი ტრადიციების გუნდი უმაღლესი ლიგიდან ვარდება; მით უფრო, რომ ადრეც იყო პრეცენდენტი, როცა უმაღლეს ლიგაში „კოლხეთი“ ოთხი სეზონის განმავლობაში ვერ ასპარეზობდა: თუმცა, ამ სეზონისგან განსხვავებით, „კოლხეთის“ პირველ „დაქვეითებაში“ „სპორტული პრინციპები“ არაფერ შუაშია! ყველაფერი კი ასე მოხდა: 2005-06 წლების სეზონი (გუნდს მაშინაც **სოსო ფილია** წვრთნიდა) „კოლხეთმა“ X ადგილზე (თექვსმეტგუნდიან ჩემპიონატში) დაამთავრა; თუმცა, მომავალი სეზონის დაწყებამდე კლუბმა ფინანსური გარანტიები ვერ წარმოადგინა და უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე უარი ეთქვა. ჰო, არცთუ შორეულ წარსულს ვიხსენებთ, როცა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა მხოლოდ „ქაღალდზე“ კი არ არსებოდა, არამედ მართლაც საქმიანობდა და „კოლხეთის“ გარდა, არაერთი ქართული გუნდი დააქვეითა ქვედა ლიგაში სწორედ ფინანსური გარანტიების არქონის გამო...

## ვეტერინარული გამოცოცხლება

ქვედა ექვსეულში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ინტრიგით, ლამის არის, „საჩემპიონო რბოლაც“ უკან ჩამოიტოვოს. თავად განსაჯეთ: ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ერთდროულად ოთხ გუნდს ემუქრება უმაღლესი ლიგიდან გავარდნა: ბათუმის „დინამოს“, „მერანს“, „სიონსა“ და „ვიტ ჯორჯიას“. თანაც, დღესდღეობით ისეთი სიტუაციაა, ამ ოთხეულიდან ვერც ერთ გუნდზე ვერ იტყვის ვინმე, უკეთესი თუ უარესი შანს(ებ)ი აქვსო; სიტუაცია კი გასულმა ტურმა „არია“: მეორე ეტაპის წინ ყველანაირად მომძლავრებულმა (ფინანსურადაც და შემადგენლობის მხრივაც) „სიონმა“, ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, „ვიტ ჯორჯიასთან“ დიდი ანგარიშით (0:3) წააგო! იმის გარდა, რომ ბოლნისელები ერთ-ერთ უშუალო კონკურენტთან დამარცხდნენ, საქმე სხვა მხრივაც გაირთულეს: თანაბარი ქულების შემთხვევაში უმთავრესი პრიორიტეტი ხომ ურთიერთშეხვედრებია და ამ მოგებით (თანაც, ასეთი ანგარიშით) უპირატესობა უკვე „ვეტერინარებს“ ექნებათ. ისე, „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდულ გუნდსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას: 2 დეკემბრის მერე „ვეტერინარებმა“ პირველი მატჩი მოიგეს და თავისი ძველ-ახალი მწვრთნელის, **ზურაბ ბერიძის** თავკაცობით უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსიც შეინარჩუნეს. არცთუ შორეულ წარსულში „ვიტ ჯორჯიას“ აბსოლუტურად განსხვავებული ამბიციები ჰქონდა, მაგრამ საქართველოს ორგზის ჩემპიონს, თასისა და სუპერთასის გათამაშებაში გამარჯვებულს ამ სეზონში მოკრძალებული მიზნები აქვს. თუმცა, „ვეტერინარებს“ საშინაო მატჩებშიც ისე წარმატებულად რომ ესპარეზათ, როგორც გასვლით შეხვედრებში (!), ასეთი ნერვული ფინიში აღარ ექნებოდათ.

## ძველი და ახალი ბათუმელები

მეორე ეტაპზე თუ რომელიმე გუნდია თითქმის 100 პროცენტით სახეშეცვლილი, უპირველეს ყოვლისა, ბათუმის „დინამო“: **გია გურულის** შეგირდებმა პირველ ეტაპზე P13 ქულა მოაგროვეს (22 შეხვედრაში), ახლა კი ამდენივეს ალება ექვს მატჩში მოახერხეს! გასულ ტურში კი სულაც გაილალეს ბათუმელებმა და ერთ-ერთი უშუალო კონკურენტის, „მერანის“ კარში ექვსი უპასუხო ბურთი გაიტანეს! აღსანიშნავია, რომ უკანასკნელად ბათუმის „დინამომ“ ასეთი ანგარიშით ... 13 წლის წინათ მოიგო უმაღლეს ლიგაში, როცა სამტრედიის „იბერია“ დაამარცხა. ისიც საინტერესოა, რომ 2000 წლის 4 მარტს ჩატარებულ იმ შეხვედრაში „დუბლი“ შესრულა **ამირან მუჯირმა**, დღესაც, 39 წლის ასაკში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად რომ რჩება. თუმცა თავის კარიერაში „მუმუს“ იმდენი გამორჩეული მატჩი ჩაუტარებია, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამირან მუჯირის გარდა ბათუმელთა ახალწვეულების აღნიშვნაც გვინდა: 31 წლის **ალექსანდრე კოშკაძემ** „დინამოს“ შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა 24 წლის **ბესიკ ჩიმაკაძემ** კი „დუბლი“ შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ჩიმაკაძემ ამ სეზონში უკვე მესამედ შეძლო ერთ მატჩში 2 გოლის გაიტანა: ერთხელ „ვიტ ჯორჯიას“ მაისურით რომ ასპარეზობდა (პირველ ეტაპზე), ორჯერ კი თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში გამოიჩინა თავი.

## აქ ყველაფერი უცვლელია

ჩემპიონობის ორივე ფავორიტმა სტუმრად გაიმარჯვა და სეზონის, ალბათ, გადამწყვეტი მატჩის წინ თბილისის „დინამო“ კვლავაც 4 ქულით უსწრებს თავის უშუალო მდევარს გორის „დილას“. **დუშან უჰრინის** გუნდს იოლი მატჩი რომ არ ელოდა განმუხურში, ყველასათვის ცხადი იყო. თუმცა 21 წლის **გიორგი გველესიანისა** (პირველი გოლი უმაღლეს ლიგაში!) და 28 წლის **ლევან ხმალაძის** ზუსტმა დარტყმებმა დინამოელებს 3 ქულა მოუტანა. სამწუხაროდ, ამ მატჩში მცირე ინციდენტი მოხდა, თუმცა ჩემპიონატის, უდავოდ. საუკეთესო ფეხბურთელს, 32 წლის **ჩისკოსაც** უნდა გავუგოთ: გამოცდილმა ესპანელმა ფეხბურთელმა ერთ ეპიზოდში მეტოქის ზღვარგადასული უხეშობა ვეღარ აიტანა და ხელიც უბიძგა! სხვათა შორის, მატჩის შემდეგ საფეხბურთო კლუბ „დინამო-თბილისის“ ვებ-გვერდზე ჩისკომ განმარტება გააკეთა და მომხდარის გამო, წუხილიც გამოთქვა...


ჩისკოს წინაალმდეგ ხშირად უხეშობდნენ ფოტო: fcdinamo.ge

დაბოლოს, „ზესტაფონი“ — „დილას“ შეხვედრაზეც: ამ მატჩში სტუმრები მართლაც რომ შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ და ერთი მეორეზე ეფექტური გოლებითაც გაანებივრეს საკუთარი ქომაგები. რაც მთავარია, **ვალდას ივანაუსკასის** გუნდმა თბილისის „დინამოსთან“ უპრინციპულესი მატჩის წინ მშვენიერი განწყობა შეიქმნა.

**გია ტუხაშვილი**

## XXIVIII ტურის სიმბოლური ნაკრები




### პირველი ლიგა

**XXVI ტური. A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გურია – გაგრა | 3:1 |
| რაჭა – ბეთლემი | 2:1 |
| ჭიათურა – მეშახტე | 1:0 |
| სულორი – სტუ | 1:0 |
| იმერეთი – სქური | 1:0 |
| სასკო – დინამო-2 | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 25 | 21 | 2 | 2 | 69-15 | 65 |
| 2. სასკო | 25 | 18 | 3 | 4 | 75-24 | 57 |
| 3. დინამო-2 | 26 | 15 | 5 | 6 | 71-38 | 50 |
| 4. გაგრა | 26 | 15 | 3 | 8 | 51-28 | 48 |
| 5. იმერეთი | 26 | 10 | 5 | 11 | 28-34 | 35 |
| 6. სტუ | 26 | 10 | 2 | 14 | 53-60 | 32 |
| 7. სქური | 26 | 8 | 7 | 11 | 27-40 | 31 |
| 8. მეშახტე | 26 | 8 | 6 | 12 | 28-51 | 30 |
| 9. ბეთლემი | 26 | 9 | 2 | 15 | 30-59 | 29 |
| 10. ჭიათურა | 26 | 7 | 6 | 13 | 26-42 | 27 |
| 11. სულორი | 26 | 5 | 4 | 17 | 21-59 | 19 |
| 12. რაჭა | 26 | 5 | 3 | 18 | 29-58 | 18 |

### დუბლების ჩემპიონატი

**XXIX ტური**

| | |
|---|---|
| კოლხეთი – დინამო (ბთ) | 1:0 |
| დილა – ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| ზუგდიდი – სიონი | 1:0 |
| ტორპედო – დინამო (თბ) | 1:3 |
| ჩიხურა – ზესტაფონი | 2:1 |
| მეტალურგი – მერანი | 2:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 29 | 21 | 2 | 6 | 76-33 | 65 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 29 | 17 | 5 | 7 | 61-30 | 56 |
| 3. ზუგდიდი | 29 | 16 | 5 | 8 | 45-39 | 53 |
| 4. ჩიხურა | 29 | 15 | 4 | 10 | 40-36 | 49 |
| 5. ზესტაფონი | 29 | 13 | 6 | 10 | 72-52 | 45 |
| 6. ტორპედო | 29 | 12 | 6 | 11 | 42-35 | 42 |
| 7. დილა | 29 | 11 | 7 | 11 | 39-34 | 40 |
| 8. მეტალურგი | 29 | 12 | 4 | 13 | 53-47 | 40 |
| 9. კოლხეთი | 29 | 10 | 5 | 14 | 34-53 | 35 |
| 10. დინამო (ბთ) | 29 | 8 | 4 | 17 | 35-55 | 28 |
| 11. მერანი | 29 | 6 | 3 | 20 | 17-59 | 21 |
| 12. სიონი | 29 | 5 | 5 | 19 | 27-68 | 20 |

## ლეგიონის უქმეები



ლევან კობიაშვილის (მარჯვნივ) ჰერტამ ბუნდესლიგის საგზური ვადაზე ადრე გაინაღდა

| ფეხბურთელი | ას. | კლ. | მეტ. | შედ. | შენ. | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. XXXI ტური** | | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ფეიენოორ | ს 0:2 | 90 წთ | 31 | 2 |
| ვაკო ყაზაიშვილი | 20 | ვიტესი | ფეიენოორ | ს 0:2 | 63-ე წთ-დან | 4 | - |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XXV ტური** | | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 20 | სპარტაკი მ. | ცსკა | ს 2:2 | არ უთამ. | 12 | 2 |
| საბა კვერკველია | 21 | რუბინი | ამკარი | ს 1:1 | 90 წთ | 1 | - |
| ნუკრი რევიშვილი | 26 | კრასნოდ | ზენიტი | ს 0:1 | არ უთამ. | 4 | - |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | მორდოვია | ს 3:1 | არ უთამ. | 19 | 1 |
| ალექს. ამისულაშვილი | 30 | კრილია | ალანია | შ 2:1 | 90 წთ | 5 | - |
| აკაკი ხუბუტია | 27 | მორდოვია | ვოლგა | შ 1:3 | 90 წთ | 6 | - |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ალანია | კრილია | ს 1:2 | სათად. | 2 | - |
| მამუკა კობახიძე | 20 | ალანია | კრილია | ს 1:2 | არ უთამ. | - | - |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XXV ტური** | | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | 27 | დნიპრო | შახტარი | შ 1:1 | არ უთამ. | 13 | 1 |
| ალექსანდრე კობახიძე | 26 | დნიპრო | შახტარი | შ 1:1 | სათად. | 2 | - |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩევეცი | ვორსკლა | შ 1:0 | 90-ე წთ-დან | 23 | 1 |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 21 | ილიჩევეცი | ვორსკლა | შ 1:0 | 46-ე წთ-დან | 22 | 3 |
| გიორგი ჯგერენაია | 19 | ილიჩევეცი | ვორსკლა | შ 1:0 | არ უთამ. | - | - |
| ჯაბა ლიპარტია | 25 | ზარია | დინამო კ. | შ 0:5 | 72-ე წთ-მდე | 23 | 1 |
| უჩა ლობჟანიძე | 26 | კრივბასი | მეტალურ.ზ | ს 0:2 | სათად. | 19 | - |
| მურთაზ დაუშვილი | 23 | კარპატი | არსენალი | ს | დღეს | 17 | - |
| ლევან ყენია | 22 | კარპატი | არსენალი | ს | დღეს | 15 | 2 |
| **თურქეთი. სუპერლიგა. XXX ტური** | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 31 | კაისერი | სივასპორი | შ 1:1 | 90 წთ, გაფრ | 25 | - |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა. XXIII ტური** | | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 26 | ლეგია | პოგონი | შ 3:1 | 90 წთ გოლი | 8 | 4 |
| ნიკა ძალამიძე | 21 | იაგელონია | ვისლა | შ 2:2 | ტრავმა | 15 | 4 |
| **დანია. სუპერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | | |
| მათე ვაწაძე | 24 | ორჰუსი | ჰორსენსი | შ 0:0 | ტრავმა | 13 | 3 |
| დავით დევდარიანი | 25 | ორჰუსი | ჰორსენსი | შ 0:0 | 70-ე წთ-დან | 22 | 3 |
| დავით სხირტლაძე | 20 | ორჰუსი | ჰორსენსი | შ 0:0 | 90 წთ | 16 | 1 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. II ტური** | | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 30 | ინტერი | მიეპა | ს 0:1 | 90 წთ | 1 | - |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXX ტური** | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | ზანდჰაუზ | შ 1:0 | 52-ე წთ-მდე | 8 | - |
| ალექსანდრე იაშვილი | 35 | ბოხუმი | ზტ. პაული | შ 3:0 | არ უთამ. | 25 | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | ზტ. პაული | შ 3:0 | არ უთამ. | 11 | 1 |
| **იტალია. სერია B. XXXVIII ტური** | | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 23 | ემპოლი | სპეცია | ს 0:3 | მე-80 წთ-დან | 13 | - |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | სპეცია | ს 0:3 | არ უთამ. | 8 | - |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. XXXIII ტური** | | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 23 | ლე მანი | გენგამი | ს 1:6 | 90 წთ | 4 | - |
| **აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. XXVII ტური** | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | 33 | ინტერი | სიმურგი | შ 5:0 | სათად. | 19 | - |
| რევაზ თევდორაძე | 25 | ინტერი | სიმურგი | შ 5:0 | არ უთამ. | 6 | - |
| ვალერი აბრამიძე | 33 | ინტერი | სიმურგი | შ 5:0 | 90 წთ | 13 | - |
| ილია კანდელაკი | 31 | ინტერი | სიმურგი | შ 5:0 | 90 წთ, გაფ. | 20 | - |
| ბაჩანა ცხადაძე | 25 | ინტერი | სიმურგი | შ 5:0 | სათად. | 23 | 7 |
| გიორგი ადამია | 32 | ინტერი | სიმურგი | შ 5:0 | 63-ე წთ-დან | 5 | 1 |
| გიორგი ფოფხაძე | 26 | ბაქო | ყარაბახი | შ 0:1 | 90 წთ, გაფ, | 15 | - |
| ირაკლი ბერაია | 29 | თურანი | ქაფაზი | ს 1:0 | სათად. | 17 | 1 |
| დავით ჯანელიძე | 23 | თურანი | ქაფაზი | ს 1:0 | 46-ე წთ-დან | 9 | - |
| ნიკოლოზ მაისურაძე | 23 | თურანი | ქაფაზი | ს 1:0 | 90 წთ, გაფ | 14 | - |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XXVIII ტური** | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | 23 | ბელინცონა | ვილი | ს | დღეს | 12 | 1 |
| **სამხრეთ აფრიკა. XXVI ტური** | | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 30 | მოროკა | კაიზერ ჩიფსი | შ 1:3 | 90 წთ გოლი | 22 | 1 |

# არის პირველი ბუნდესლიგა!

## კობი ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა

**ლევან კობიაშვილი** მომავალი სეზონიდან კვლავ პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს – სწორედ ეს არის გასულ უქმეებზე მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე გამოსარჩევი ამბავი. მეორე ბუნდესლიგის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ბერლინის "ჰერტამ" ელიტაში დაბრუნება ოფიციალურად გაიფორმა. სასიამოვნოა, რომ ამ მატჩში კობიმაც მიიღო მონაწილეობა. ვიმედოვნებთ, ვეტერანი ქართველი მომავალ სეზონში პირველი ბუნდესლიგის რეკორდს მოხსნის – გეხსომებათ, ლევანს შანსი აქვს, გახდეს უძლიერესი გერმანული ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი შეხვედრის ჩამტარებელი ლეგიონერი.

**ლადო დვალიშვილს** საქართველოს ნაკრების მაისურით უკვე ძალიან დიდი ხანია, არ გაუტანია, სამაგიეროდ, შესანიშნავად მისდის საკლუბო კარიერა. იგი ვარშავის "პოლონიაშიც" ბომბარდირთაგანი იყო და არც უფრო ამბიციურ "ლეგიასთან" ადაპტაცია გასჭირვებია. დვალიშვილმა მისი მაისურით უკვე მეოთხე გოლი გაიტანა. "ლეგია" პოლონეთის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს, ტიტულის მოპოვების დიდი შანსი აქვს და თუ დედაქალაქურმა კლუბმა ეს შეძლო, ამაში დვალიშვილის საკმაოდ წონადი წვლილი იქნება.

არნემის "ვიტესი" როტერდამში განცდილი მარცხით მეორედან მეოთხე პოზიციამდე დაქვეითდა, მაგრამ **გურამ კაშიასა** და **ვაკო ყაზაიშვილის** გუნდს ჯერ კიდევ აქვს მეორე ადგილისა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი.

ნეგატივიდან ყველაზე თვალში საცემი რუსეთში უთამაშებელი ლეგიონნია. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ჩვენი თანამემამულეები ჩრდილოეთში სათამაშო პრაქტიკას მოკლებულნი არიან. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მიმდინარე პრემიერლიგაში პირველი მატჩი ჩაატარა რუბინელმა **საბა კვერკველიამ.**

სამხრეთაფრიკული "მოროკა სვოლოვსის" წევრმა **გიორგი ნერგაძემ** ლიდერ "კაიზერ ჩიფსთან" საშინაო დაპირისპირებაში ანგარიში გახსნა, მაგრამ უფრო ძლიერმა მეტოქემ მაინც იძალა და 3:1 გაიმარჯვა.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში **კახა ცხადაძის** "ინტერმა" **გიორგი ჩიხრაძის** "სიმურგი" 5:0 გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ ტრავმით გამოწვეული რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, "ინტერს" **გიორგი ადამია** დაუბრუნდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIII ტური

# ბოლო წუთების დრამა

**მონპელიე-ლიონი** 1:2
გოლები: 0:1 ლ. ლოპესი (29), 1:1 ბელჰანდა (41), 1:2 გრენიე (90).

**მარსელი-ბრესტი** 1:0
გოლი: 1:0 შეირუ (45).

**ბასტია-ლილი** 1:2
გოლები: 1:0 ხაზრი (47), 1:1 დინიე (85), 1:2 ბაშა (90).

**ნანსი-ევიანი** 3:1
გოლები: 1:0 ალოო ეფულუ (21), 1:1 ხელიფა (34), 2:1 მუკანჯო (65), 3:1 მუკანჯო (80).

**სოშო-ბორდო** 2:2
გოლები: 1:0 ბუდებუზი (34-პენ), 1:1 მარიანო (51), 2:1 ბაკამბუ (64), 2:2 დიაბატე (78).

**რეიმსი-ვალანსიენი** 0:1
გოლი: 0:1 პუჟოლი (57).

**ტულუზი-ლორიანი** 0:1
გოლი: 0:1 ალიადიერი (77).

**პსჟ-ნიცა** 3:0
გოლი: 1:0 მენეზი (10). 2:0 იბრაჰიმოვიჩი (65. პენ). 3:0 შანტომი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 33 | 21 | 7 | 5 | 60-20 | 70 |
| 2. მარსელი | 33 | 18 | 7 | 8 | 37-32 | 61 |
| 3. ლიონი | 33 | 17 | 8 | 8 | 54-35 | 59 |
| 4. ლილი | 33 | 15 | 11 | 7 | 50-32 | 56 |
| 5. სტ. ეტიენი | 32 | 14 | 12 | 6 | 51-25 | 54 |
| 6. ნიცა | 33 | 15 | 9 | 9 | 48-40 | 54 |
| 7. ლორიანი | 33 | 13 | 11 | 9 | 53-51 | 50 |
| 8. მონპელიე | 33 | 14 | 6 | 13 | 50-43 | 48 |
| 9. ბორდო | 33 | 11 | 14 | 8 | 35-30 | 47 |
| 10. რენი | 32 | 12 | 6 | 14 | 43-47 | 42 |
| 11. ტულუზი | 33 | 10 | 11 | 12 | 40-42 | 41 |
| 12. ვალანსიენი | 33 | 10 | 10 | 13 | 42-48 | 40 |
| 13. ბასტია | 33 | 11 | 6 | 16 | 44-62 | 39 |
| 14. რეიმსი | 33 | 9 | 10 | 14 | 31-38 | 37 |
| 15. აიაჩო | 32 | 8 | 13 | 11 | 33-41 | 35 |
| 16. ევიანი | 33 | 8 | 10 | 15 | 39-49 | 34 |
| 17. ნანსი | 33 | 8 | 10 | 15 | 33-49 | 34 |
| 18. სოშო | 33 | 8 | 9 | 16 | 34-52 | 33 |
| 19. ბრესტი | 33 | 8 | 5 | 20 | 29-51 | 29 |
| 20. ტრუა | 32 | 4 | 13 | 15 | 36-55 | 25 |

შენიშვნა: „აიაჩოს“ -2 ქულა

**ბომბარდირები:** 27 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 17 - ობამეიანი (სენტ ეტიენი); 15 - ალიადიერი (ლორიანი)

## ოლიმპიკები

ლიგა 1-ის 33-ე ტური ძალიან საინტერესო მატჩით დაიწყო, რომელშიც „მონპელიემ“ „ლიონს“ უმასპინძლა. **რემი გარდის** შეგირდებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და 29-ე წუთზე **ლისანდრო ლოპესმა** ანგარიში გახსნა. **იუნეს ბელჰანდამ** მალე გაათანაბრა და ტაიმიც ასე დასრულდა. მეორე ნახევარში მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ანგარიში ბოლო წუთამდე არ შეცვლილა. როდესაც ყველამ იფიქრა, რომ მატჩი ფრედ მთავრდებოდა, სტუმრებმა სწორედ ამ დროს გაიტანეს - არბიტრის მიერ დამატებულ მესამე წუთზე თავი **კლემან გრენიემ** გამოიჩინა და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

მოიგო მეორე „ოლიმპიკმაც“, რომლის მეტოქეც „მონპელიეზე“ გაცილებით სუსტი „ბრესტი“ იყო, თანაც „მარსელი“ შინ თამაშობდა. ამის მიუხედავად, მასპინძლებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს და ისიც ტაიმის ბოლო წუთზე - **ბენუა შეირუმ** სეზონში თავისი მეორე გოლი გაიტანა.

## ლილის და ნანსის აღმასვლა

საოცარ ფორმაშია როგორც „ლილი“, ასევე „ნანსი“, თუმცა გუნდებს სხვადასხვა მიზნები აქვთ.

8 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება - ასეთი შედეგი აქვს ბოლო 10 თამაშში „ლილს“. „ძაღლებმა“ ამ ტურში კორსიკაზე იმოგზაურეს და „ბასტიასთან“ ურთულესი 90 წუთი გადაიტანეს. **რუდი გარსიას** გუნდი 85-ე წუთისთვის მარცხდებოდა, მაგრამ საბოლოოდ მოედანი გამარჯვებულმა დატოვა.

4 მოგება და 1 ფრე - ეს უკვე „ნანსის“ შედეგია. მიუხედავად ამისა, გუნდი ჯერ კიდევ სახიფათო ზონაშია, თუმცა გასავარდნი სამეული დატოვა. **პატრიკ გაბრიელის** გუნდის მორიგი მსხვერპლი „ევიანი“ გახდა, რომელსაც „ნანსი“ ქულებით წამოეწია, გასავარდნ ზონაში კი „სოშო“ ჩაუშვა, ვინც ამ ტურში შინ „ბორდოს“ ორჯერ უგებდა, მაგრამ საბოლოოდ ფრეს დასჯერდა.

## საფრანგეთი. ლიგის თასი. ფინალი

# ნანატრი გამარჯვება

**სენტ ეტიენი-რენი** 1:0
გოლი: 1:0 ბრანდაო (18).

საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვან გუნდს, 10-გზის ჩემპიონ „სენტ ეტიენს“, ბოლო ტიტული 1981 წელს ჰქონდა მოპოვებული, როდესაც უკანასკნელად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. გარდა ამისა, რომელიმე ტურნირის ფინალში „მწვანეები“ უკანასკნელად 1982 წელს იყვნენ, ხოლო „სტად დე ფრანსზე“ ისტორიაში პირველ თამაშს ატარებდნენ და ეს პირველი თამაში მათთვის იღბლიანი გამოდგა. 32-წლიანი ლოდინი დასრულდა და „სენტ ეტიენმა“ მორიგი ტიტული მოიპოვა! აღსანიშნავია, რომ ლიგის თასი „მწვანეებს“ მოგებული არ ჰქონდათ და საკუთარ საკლუბო მუზეუმს ახალი თასი შემატეს.

შეხვედრის ერთადერთი გოლი **ბრანდაომ**, მატჩის მე-18 წუთზე გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელმა ლიგის თასის ფინალში ზედიზედ მეორედ გაიტანა გამარჯვების მომტანი გოლი - შარშან, „მარსელის“ რიგებში „ლიონის“ კარი აიღო და საკუთარ გუნდს 1:0 მოაგებინა. ამჯერად, ბრანდაომ **პიერ-ემერიკ ობამეიანის** გადაცემით ისარგებლა და **ბენუა კოსტილს** თავური დარტყმით გაუტანა.

გოლის შემდეგ რამდენიმე წუთში „რენს“ კიდევ ერთხელ არ გაუმართლა. 25-ე წუთზე **მევლუთ ერდინჩმა** ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. თურქის გამოკლება **ფრედერიკ ანტონეტის** გუნდის თამაშზე უარყოფითად აისახა. მართალია, „რენი“ ბურთს უფრო ხშირად ფლობდა, მაგრამ მომენტებს პრაქტიკულად ვერ ქმნიდა. „მწვანეებს“ არაერთი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ბრანდაომ, **მოლომ** და **კოადმა** კოსტილს ვერ აჯობეს.

საბოლოოდ, შეხვედრა „სენტ ეტიენის“ მინიმალური გამარჯვებით დასრულდა და გუნდმა ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა, მაგრამ „მწვანეებს“ თვალი ჩემპიონთა ლიგისკენ უჭირავთ, სადაც მოხვედრას ჩემპიონატის დარჩენილ ტურებში ეცდებიან.

**ტატო ბაციკაძე**

## ჰოლანდია. ერედივიზიე. XXXI ტური

**აიაქსი-ჰერენვენი** 1:1
გოლები: 1:0 ფიშერი (26), 1:1 ფინბოგასონი (53).

**გრონინგენი-დენ ჰააგი** 2:1
გოლები: 1:0 ზეეფუიკი (38), 2:0 ტეშეირა (42), 2:1 კ. იანსენი (75).
გაძევება: ვან დეიკი (64. გრონინგენი), კ. იანსენი (86. დენ ჰააგი).

**ჰერაკლესი-ვაალვაიკი** 4:0
გოლები: 1:0 კუანსა (42-პენ), 2:0 ვეინოვიჩი (65), 3:0 ევერტონი (71), 4:0 ევერტონი (85).

**ვილემ II-როდა** 2:1
გოლები: 1:0 ჰაასტრუპი (50), 2:0 ჯოაკიმი (60-პენ), 2:1 მალკი (88).

**ალკმაარი-პსვ** 1:3
გოლები: 0:1 ვან ბომელი (36), 0:2 მერტენსი (57), 0:3 ლენსი (61), 1:3 იოჰანსონი (86).

**ვენლო-ტვენტე** 2:2
გოლები: 1:0 რიოსელერი (18), 2:0 ნვოფორი (23), 2:1 ბენგტსონი (58), 2:2 კასტაინოსი (59).

**უტრეხტი-ბრედა** 3:0
გოლები: 1:0 ვან დერ ჰოორნი (14), 2:0 ტოორნსტრა (18), 3:0 დუპლანი (74).

**ფეიენოორდი-ვიტესი** 2:0
გოლები: 1:0 პელე (39-პენ), 2:0 იმერსი (50).

**ნაიმეგენი-ზვოლე** 1:3
გოლები: 0:1 მოხტარი (18), 0:2 ბენსონი (24), 1:2 ჯორჯი (49), 1:3 კლიხი (85).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 31 | 19 | 10 | 2 | 74-31 | 67 |
| 2. პსვ | 31 | 20 | 3 | 8 | 93-36 | 63 |
| 3. ფეიენოორდი | 31 | 19 | 6 | 6 | 57-36 | 63 |
| 4. ვიტესი | 31 | 18 | 7 | 6 | 63-37 | 61 |
| 5. ტვენტე | 31 | 15 | 10 | 6 | 51-29 | 55 |
| 6. უტრეხტი | 31 | 16 | 6 | 9 | 46-38 | 54 |
| 7. ჰერენვენი | 31 | 11 | 9 | 11 | 48-54 | 42 |
| 8. გრონინგენი | 31 | 12 | 6 | 13 | 34-46 | 42 |
| 9. ჰერაკლესი | 31 | 9 | 10 | 12 | 57-61 | 37 |
| 10. ნაიმეგენი | 31 | 10 | 7 | 14 | 39-55 | 37 |
| 11. ზვოლე | 31 | 9 | 9 | 13 | 37-47 | 36 |
| 12. დენ ჰააგი | 31 | 8 | 12 | 11 | 44-58 | 36 |
| 13. ბრედა | 31 | 9 | 8 | 14 | 35-50 | 35 |
| 14. ალკმაარი | 31 | 8 | 9 | 14 | 48-52 | 33 |
| 15. ვაალვაიკი | 31 | 7 | 10 | 14 | 33-42 | 31 |
| 16. როდა | 31 | 5 | 12 | 14 | 44-63 | 27 |
| 17. ვენლო | 31 | 5 | 8 | 18 | 31-61 | 23 |
| 18. ვილემ II | 31 | 4 | 8 | 19 | 30-68 | 20 |

**ბომბარდირები:** 30 - ბონი (ვიტესი); 24 - ფინბოგასონი (ჰერენვენი), პელე (ფეიენოორდი); 21 - ალტიროდი (ალკმაარი); 16 - მალკი (როდა).

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტური

# უკვე შემდეგ ტურში?

## ბარსას შანსი აქვს, ჩემპიონობა სან მამესზე გაინაღდოს

მომავალ ტურში შეიძლება „ბარსელონა“ „სან მამესზე“ გახდეს ჩემპიონი. ამისთვის ორი რამ არის საჭირო - თავად დაამარცხოს „ბილბაო“ და „რეალი“ მადრიდულ დერბიში დამარცხდეს. თუკი ასე მოხდა, „საფეხბურთო კათედრალზე“ ზედიზედ მეორედ გაირკვევა ტიტულის ბედი, შარშან ბილბაოში „სამეფო გუნდი“ გაჩემპიონდა. ზედიზედ მესამედ კი ეს ველარ მოხდება, „სან მამესი“ ამ სეზონის შემდეგ საფეხბურთო ესპანეთს ემშვიდობება.

### ელვებმა კუნძულზე ორი ქულა და ვარსკვლავი დაკარგეს

**გრეგორიო მანსანოს** „მალიორკამ“ შინ ქულა მოიპოვა, რომელიც შეიძლება ბოლოს დარჩენისათვის ბრძოლაში გამოადგეს. თავიდან მადრიდელები დაწინაურდნენ, **პიტიმ** დამუშავების გარეშე, ორიგინალურად დაარტყა **კალატაიუდის** კარში. თუმცა ანგარიში მალევე გათანაბრდა, „რაიოს“ კართან კუთხურს არეულობა მოყვა და **ალეხანდრო ალფარომ** ამით ისარგებლა - 1:1. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა სამჯერ გაარტყეს ძელს (ერთხელ **ლეო კარილიომ**, ხოლო ორჯერ **ალჰასან ბანგურამ**), ამასთან, კარგად გაისარჯა სარეზერვო გოლკიპერი კალატაიუდი. სტუმართა ამომავალმა ვარსკვლავმა ლეო კარილიო ბაპტიშტაომ მეორე ტაიმში ლავიწის ძვალი გაიტეხა, ბრაზილიელი ძალიან უიღბლოა, ორ სეზონში მან მესამედ გაიტეხა ლავიწის ძვალი.

**გრეგორიო მანსანო** (მალიორკა): *„ფრე ყველაზე ნაკლები ბოროტებაა, განსაკუთრებით, თამაშის მიმდინარეობის გათვალისწინებით“.*

**პაკო ხემესი** (რაიო ვალეკანო): *„სირცხვილია, როცა ამხელა უპირატესობას ვერ იყენებ“.*

### რომ არა ებერტი და ხაიმე

„გრანადას“ უდიდესი სათამაშო უპირატესობა „ვალიადოლიდის“ ორი ფეხბურთელის გამო ანგარიშში არ აისახა - ჯერ გერმანელმა **პატრიკ ებერტმა** ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში და მასპინძლები რთულ სიტუაციაში ჩააგდო. მართალია, **იუსეფ ელ-არაბიმ** პირველ ტაიმშივე გაათანაბრა თავურით, მაგრამ მეტის უფლება ანდალუსიელებს უკვე მეკარე **ხაიმე ხიმენესმა** აღარ მისცა.

**ლუკას ალკარასი** (გრანადა): *„ეს იყო მატჩი მონოლოგი, სტუმართა მეკარემ სისხლი გაგვიშრო“.*

**მიროსლავ ჯუკიჩი** (ვალიადოლიდი): *„დღეს ხაიმე ბრწყინვალე იყო. უძლიერეს კონკურენტთან ქულა მოვიპოვეთ, კმაყოფილი ვარ“.*

### იოზილ-შოუ

**ჟოზე მოურინიომ** „ბეტისის“ წინააღმდეგ გუნდი გადაახალისა, განსაკუთრებით ეს დაცვის ხაზზე ითქმის. სევილიელები მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს გატყდნენ, როცა **ბენზემას** პასით **მესუთ იოზილმა** გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში უკვე ფრანგმა გაიტანა, ვისი ასისტენტობაც **კრიშტიანო რონალდომ** იკისრა. მატჩი ერთხელაც დაიძაბა, როცა **რუბენ კასტროს** მოცელვისთვის მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა, **ხორხე მოლინამ** ანგარიშში სხვაობა შეამცირა. დაძაბულობა ბოლო წუთამდე იგრძნობოდა, მაშინ კი იოზილმა დუბლი შეასრულა - 3:1.

„დორტმუნდთან“ მატჩის წინ „სამეფო კლუბს“ ძვირი დაუჯდა 3 ქულა - ტრავმები მიიღეს: **მარსელომ, რიკარდო კარვალიომ**, ბენზემამ და **ლუკა მოდრიჩმა**. აღვნიშნავთ 21 წლის ბრაზილიელი **კასემიროს** დებიუტს „რეალში“, ის „სან პაულოდან“ იჯარით თამაშობს ესპანეთის დედაქალაქში.

**აიტორ კარანკა** (რეალი): *„ყველაზე ცუდი ამ თამაშში ბიჭების ტრავმები იყო, კიდევ კარგი, ბენზემას ტრავმა უმნიშვნელოა, რასაც ვერ ვიტყვი მარსელოზე“.*

**პეპე მელი** (ბეტისი): *„მადრიდელებს მესუთ იოზილის სახით ნამდვილი მარგალიტი ჰყავთ“.*

### სესკმა უშველათ

**ლეო მესი** მატჩის განაცხადშიც არ იყო და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ლეოს გარეშე „ბარსა“ სულ სხვა გუნდია. პირველ ტაიმში **ინიესტას** წაქცევისთვის დანიშნული არცთუ 100%-იანი პენალტი ვერ გამოიყენა **დავიდ ვილიამ**, მას **კეილორ ნავასმა** აუღო. მეორეს დასაწყისში კი **რობერტ აკვაფრესკას** წესების დაცვით გატანილი არ ჩაუთვალეს. თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა გამოიგონა. „ბარსა“ უკვე ახლოს იყო პირველად ჩემპიონატში გოლის გაუტანლად მატჩის დასრულებამდე, მაგრამ 84-ე წუთზე კატალონიელები **სესკ ფაბრეგასმა** იხსნა.

**ჟორდი როურა** (ბარსელონა): *„მოხარული ვარ, რომ აბიდალმა სრული მატჩი ითამაშა და დაამტკიცა, რომ გუდში ძველებურად საჭიროა“.*

**ხუან იგნასიო მარტინესი** (ლევანტე): *„ფრე ძალიან კარგი შედეგი იქნებოდა, თუმცა გუნდის მონდომებით ახლაც კმაყოფილი ვარ“.*

### სრული რევანში

„ვალენსიას“ შური ჰქონდა საძიებელი, პირველ წრეში „მალაგასთან“ 0:4 დამარცხდა. „ღამურებმა“ ეს მეტად ორიგინალურად შეძლეს - 6 წუთში 4 გოლი გაუტანეს **მანუელ პელეგრინის** გუნდს, 25-ედან 31-ე წუთამდე! ჯერ **პარეხომ** ისარგებლა **მარტინ დემიკელისის** შეცდომით, შემდეგ **სისოკოს** გარღვევის შემდეგ **რობერტო სოლდადომ** გაიტანა, მალევე დემიკელისმა ორი მეტოქე მოცელა საჯარიმოში და სოლდადომ დუბლი შეასრულა, ნამებში კი **სერხიო კანალესმაც** გაიტანა. ტაიმის მიწურულს ერთი გოლი **ჟულიო ბაპტიშტამ** შორეული საჯარიმო დარტყმით გაქვითა. მეორე ტაიმში **ევერ ბანეგამ** დაასრულა ანდალუსიელთა რბევა - 5:1.

**ერნესტო ვალვერდე** (ვალენსია): *„ჩვენი მიზანი იყო მოგება და არა მეტოქის განადგურება“.*

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): *„ძალიან ძნელია, რაიმე ახსნა მოუძებნო იმას, რაც მოედანზე მოხდა“.*

### მეფე ლომის პირველი გოლი სექტემბრის შემდეგ

კვირას „ესპანიოლმა“ სტუმრად 2:0 დაამარცხა 9-კაციანი „ხეტაფე“ და რეალურად ჩაება ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაში. „დეპორტივომ“ 10-კაციან „ბილბაოს“ ვერ მოუგო - 1:1. ამ შეხვედრაში გოლი გაიტანა „მეფე ლომმა“ **ფერნანდო ლორენტემ**, რომელმაც ლა ლიგაში თავი სექტემბრის შემდეგ პირველად (!) გამოიჩინა. პამპლონაში ჩემპიონთა ლიგისთვის მებრძოლ „რეალ სოსიედადს“ მნიშვნელოვანი ორი ქულა დააკარგვინეს - 0:0.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



უტევს დანი ალვეში

### მალიორკა-ვალეკანო 1:1

**გოლები:** 0:1 პიტი (7), 1:1 ალფარო (12)

**მალიორკა (4-3-3):** კალატაიუდი - ჰატონი, ჟერომელი, ბიგასი, კევინი - პინა, მარტი, ხ. მარკესი (76. არისმენდი) - ალფარო, ჰემედი (69. მ. პერეირა), ჯოვ. დოს სანტოსი.

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, ამატი (71. არბილია), ფიგერასი, კასადო - ფუეგო, ტრაშორასი - ლ. ბანგურა, ლეო კარილიო (65. ხოსე კარლოსი), პიტი - დელიბაშიჩი (79. ტამუდო).

**გაფრთხილება:** ბიგასი, კევინი, ჰემედი, პინა - ამატი, რუბენი, ტიტო, ბანგურა, კასადო

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 30-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-19 (5-3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 15 000

### გრანადა-ვალიადოლიდი 1:1

**გოლები:** 0:1 ებერტი (59), 1:1 ელ-არაბი (72)

**გრანადა (4-4-2):** რობერტო - ნიომი, დიახატე, მაინსი, სიკეირა - ტორჟე (63. ბუონანოტე), რესიო, მ. რიკო, ნოლიტო - ელ-არაბი, იგჰალო (76. არანდა).

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე - რუკავინა, რუედა, ვალიენტე, ბალენსიაგა - რუბიო, ვ. პერესი - ებერტი (68. ბუენო), გერა, ოსკარი (76. სასტრე) - ლარსონი (84. ომარი).

**გაფრთხილება:** ტორჟე, დიახატე, რესიო

**კუთხური:** 9-0; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 28-2 (10-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 21 000

### რეალი-ბეტისი 3:1

**გოლები:** 1:0 იოზილი (45), 2:0 ბენზემა (57), 2:1 მოლინა (73-პენ), 3:1 იოზილი (90)

**რეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - ნაჩო, ალბიოლი, კარვალიო, მარსელო (14. ვარანი) - კასემირო, მოდრიჩი (62. პეპე) - კალეხონი, იოზილი, რონალდო - ბენზემა (72. იგუაინი).

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ჩიკა, პაულაუ, ამაია, ა. მარტინესი - კანიასი (66. რ. პერესი), ბენიატი - პაბონი, ნოსა (46. მოლინა), კემბელი (58. ვადილიო) - რ. კასტრო.

**გაფრთხილება:** ნაჩო, იგუაინი, რონალდო - კანიასი

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 8-14; **თამაშგარე:** 8-2; **კარში დარტყმა:** 20-20 (8-7); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 75 000

### ბარსელონა-ლევანტე 1:0

**გოლი:** 1:0 ფაბრეგასი (84)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, ადრიანო, აბიდალი, მონტოია - ტ. ალკანტარა (66. პედრო), სონგი, ინიესტა (58. ჩავი) - ვილია, ფაბრეგასი, ტელიო (76. ა. სანჩესი).

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პ. ლოპესი, ვინტრა, დ. ნავარო, ხუანფრანი - სიმაო, დიოპი - ელ ჟარი (68. ვალდო), ბარკერო, რუბენ გარსია (89. როხერი) - აკვაფრესკა.

**გაფრთხილება:** სონგი - დიოპი, ლოპესი

**შენიშვნა:** ვილიამ ვერ გაიტანა პენალტი (17)

**კუთხური:** 11-1; **ჯარიმა:** 13-5; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 18-4 (9-0); **ბურთის ფლობა:** 78%-22%.

**მაყურებელი:** 79 000

### ვალენსია-მალაგა 5:1

**მაყურებელი:** 17 391

### სანდერლენდი-ევერტონი 1:0

**გოლი:** 1:0 სესინიონი (45)
**სანდერლენდი** (4-4-1-1): მინიოლე – ლარსონი (80. ვონი), ოში, კუელიარი, როუზი – კოლბეკი, ნდიაიე, მაკლინი, ა. ჯონსონი – სესინიონი (90. მანგანე) - გრემი
**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი – კოულმენი, ჰეიტინგა, დისტენი, ბეინსი – გიბსონი (46. იელავიჩი), ფელაინი, მირალიაში, პიენაარი – ოსმანი (77. ბერკლი) – ანიჩებე (77. ნეისმიტი)
**გაფრთხილება:** მინიოლე – ჰეიტინგა, კოულმენი
**კარში დარტყმა:** 9-6 (5-2) **კუთხური:** 3-10 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 6-17 **ბურთის ფლობა:** 56%-44%
**მაყურებელი:** 44 614

### სუონსი-საუთჰემპტონი 0:0

**სუონსი** (4-4-2): ვორმი – ბ. დევისი, უილიამსი, ჩიკო, რანხელი – ერნანდესი (62. კი), დე გუზმანი, დაიერი, ბრიტონი – მური (46. რუტლეჯი), მიჩუ
**საუთჰემპტონი** (4-4-2): ბორუცი – კლაინი, იოშიდა, ჰოიველდი, ფოქსი – კორკი, ს. დევისი, შნაიდერლინი, ლალანა (77. პანჩეონი) – ჯ. როდრიგესი (88. მაუკა), ლამბერტი (63. რამირესი)
**გაფრთხილება:** არ ყოფილა
**კარში დარტყმა:** 7-7 (2-4) **კუთხური:** 7-2 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 11-13 **ბურთის ფლობა:** 51%-49%
**მაყურებელი:** 20 561

### ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი 1:1

**გოლები:** 0:1 გუფრანი (9), 1:1 ბ. ჯონსი (64)
**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – პოპოვი, ოლსონი, მაკაული, ბ. ჯონსი – მორისონი, იაკობი (46. ლონგი), ბრანტი, დორანსი – ლუკაკუ (90. ტომასი), ფორჩუნი (90. როსენბერგი)
**ნიუკასლი** (4-4-2): ელიოტი – დებუში, ს. ტეილორი, იანგა-მბივა, აიდარა (79. ბენ არფა) – კაბაი (90+5. გოსლინგი), სისოკო, პერჩი, ხონასი – გუფრანი (69. შ. ამეობი), სისე
**გაფრთხილება:** - კაბაი, სისოკო
**კარში დარტყმა:** 10-7 (5-4) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%
**მაყურებელი:** 25 671

### ვესტ ჰემი-უიგანი 2:0

**გოლები:** 1:0 ჯარვისი (21), 2:0 ნოლანი (80)
**ვესტ ჰემი** (4-4-2): იასკელაინენი – დემელი, კოლინსი, რიდი, ობრაიენი – ონილი (52. ნოუბლი), დიამე (75. კოლისონი), ნოლანი, ვას ტე (62. ჯ. კოული) – კეროლი, ჯარვისი
**უიგანი** (3-4-3): რობლესი – შარნერი, კოლდუელი, ალკარასი (16. ბოსეჟური) – მაკარტი, გომესი (84. დი სანტო), ბოისი, ფიგეროა – მაკმანამანი (46. მაკარტური), კონე, მელონი
**გაფრთხილება:** კეროლი, ჯ. კოული, კოლინსი - კოლდუელი
**კარში დარტყმა:** 9-11 (4-3) **კუთხური:** 3-6 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 11-5 **ბურთის ფლობა:** 53%-47%
**მაყურებელი:** 34 544

### ტოტენჰემი-სიტი 3:1

**გოლები:** 0:1 ნასრი (5), 1:1 დემპსი (75), 2:1 დეფო (79), 3:1 ბეილი (82)
**ტოტენჰემი** (4-4-1-1): ლორისი – უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, ასუ-ეკოტო – დემბელე, პარკერი (61. ჰადლსტოუნი), სიგურდსონი (61. ჰოლტბი), ბეილი – დემპსი – ადებაიორი (71. დეფო)
**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კლიში (90. ლესკოტი) – ი. ტურე, ბარი – ნასრი, მილნერი (46. კოლაროვი), ტევესი – ჯეკო (83. სინკლერი)
**გაფრთხილება:** დოუსონი, ასუ-ეკოტო, ჰადლსტოუნი - ი. ტურე, კოლაროვი, ჰარტი
**კარში დარტყმა:** 10-10 (7-4) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 47%-53%
**მაყურებელი:** 36 121

### ლივერპული-ჩელსი 2:2

**გოლები:** 0:1 ოსკარი (26), 1:1 სტარიჯი (52), 1:2 აზარი (57-პენ), 2:2 სუარესი (90+6)
**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა – ჯონსონი, კარაგერი, აგერი, ხ. ენრიკე – ლუკასი, ჰენდერსონი – ჯერარდი, კოუტინიო (46. სტარიჯი), დაუნინგი (80. შელვი) - სუარესი
**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ასპილიკუეტა, ივანოვიჩი, ლუისი, ბერტრანი – მიკელი, რამირესი – მატა (90. ლამპარდი), ოსკარი (84. მოზესი), აზარი (78. ბენაიუნი) - ტორესი
**გაფრთხილება:** ჰენდერსონი, ლუკასი, სუარესი, კარაგერი, შელვი - ტორესი, ასპილიკუეტა,
**კარში დარტყმა:** 17-7 (9-5) **კუთხური:** 8-5 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 63%-37%
**მაყურებელი:**

### 22 აპრილი

იუნაიტედი-ასტონ ვილა 23:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 33 | 26 | 3 | 4 | 75-35 | 81 |
| 2. სიტი | 33 | 20 | 8 | 5 | 59-30 | 68 |
| 3. არსენალი | 34 | 18 | 9 | 7 | 65-35 | 63 |
| 4. ჩელსი | 33 | 18 | 8 | 7 | 66-35 | 62 |
| 5. ტოტენჰემი | 33 | 18 | 7 | 8 | 58-41 | 61 |
| 6. ევერტონი | 34 | 14 | 14 | 6 | 51-38 | 56 |
| 7. ლივერპული | 34 | 13 | 12 | 9 | 61-42 | 51 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 33 | 13 | 6 | 14 | 43-44 | 45 |
| 9. სუონსი | 33 | 10 | 12 | 11 | 43-42 | 42 |
| 10. ვესტ ჰემი | 34 | 11 | 9 | 14 | 40-47 | 42 |
| 11. ფულჰემი | 34 | 10 | 10 | 14 | 44-52 | 40 |
| 12. საუთჰემპტონი | 34 | 9 | 12 | 13 | 47-54 | 39 |
| 13. ნორვიჩი | 34 | 8 | 14 | 12 | 33-53 | 38 |
| 14. სანდერლენდი | 34 | 9 | 10 | 15 | 38-45 | 37 |
| 15. სტოკი | 34 | 8 | 13 | 13 | 30-41 | 37 |
| 16. ნიუკასლი | 34 | 10 | 7 | 17 | 43-60 | 37 |
| 17. ასტონ ვილა | 33 | 8 | 10 | 15 | 36-60 | 34 |
| 18. უიგანი | 33 | 8 | 7 | 18 | 37-60 | 31 |
| 19. ქუინზ პარკი | 34 | 4 | 12 | 18 | 29-56 | 24 |
| 20. რედინგი | 34 | 5 | 9 | 20 | 37-65 | 24 |

**ბომბარდირები:** 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 21 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 18 - გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), 17 - მიგელ მიჩუ (სუონსი).

### მომდევნო ტური

**27 აპრილი:** მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი, ჩელსი-სუონსი, ევერტონი-ფულჰემი, საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი, სტოკ სიტი-ნორვიჩი, უიგანი-ტოტენჰემი, ნიუკასლი-ლივერპული
**28 აპრილი:** რედინგი-ქუინზ პარკი, არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი
**29 აპრილი:** ასტონ ვილა-სანდერლენდი

### ჩემპიონშიპი. XLIV ტური

**ჰალი-ბრისტოლ ს.** 0:0

**ნოტინგემი-ბარნსლი** 0:0

**ჰადერსფილდი-მილუოლი** 3:0
**გოლები:** 1:0 ბეკფორდი (37), 2:0 ჯ. ვონი (55), 3:0 ბეკფორდი (62)

**ბარნლი-კარდიფი** 1:1
**გოლები:** 0:1 კონვეი (27), 1:1 ედგარი (90)

**ბირმინგემი-ლიდსი** 1:0
**გოლი:** 1:0 მულინსი (71)

**ბოლტონი-მიდლსბრო** 2:1
**გოლები:** 1:0 იგლსი (50), 1:1 დაიერი (56), 2:1 სორდელი (59-პენ)
**გაძევება:** - ვუდგეიტი (64)

**ბრაიტონი-ბლეკპული** 6:1
**გოლები:** 1:0 ბაკლი (9), 2:0 აპსონი (23), 3:0 ორლანდი (45), 4:0 ლოპესი (46), 4:1 ჰემონდი (53-ს.კ-ში), 5:1 ბარნსი (76), 6:1 ბარნსი (90)

**ჩარლტონი-ვულვზი** 2:1
**გოლები:** 1:0 დერვიტი (63), 1:1 დოილი (66), 2:1 ობიკა (90)

**კრისტალ პალ-ლესტერი** 2:2
**გოლები:** 1:0 გებიდონი (26), 1:1 კინგი (37), 2:1 დობი (67), 2:2 კ. ვუდი (73)

**დერბი-პიტერბორო** 3:1
**გოლები:** 1:0 ბრაისონი (41), 2:0 მარტინი (50), 3:0 კიო (52), 3:1 მაკანი (64-პენ)
**გაძევება:** ფილდინგი (62) -

**შეფილდ უენ-იპსვიჩი** 1:1
**გოლები:** 0:1 ტაბი (12), 1:1 ლიტა (58)

**უოტფორდი-ბლეკბერნი** 4:0
**გოლები:** 1:0 დინი (52), 2:0 დინი (61), 3:0 აბდი (67), 4:0 ბრიგსი (75)
**გაძევება:** - ბესტი (90+6)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 44 | 25 | 10 | 9 | 69-42 | 85 |
| 2. ჰალ სიტი | 44 | 24 | 6 | 14 | 59-48 | 78 |
| 3. უოტფორდი | 44 | 22 | 8 | 14 | 82-55 | 74 |
| 4. ბრაიტონი | 44 | 17 | 18 | 9 | 65-42 | 69 |
| 5. კრ. პალასი | 43 | 18 | 13 | 12 | 69-59 | 67 |
| 6. ბოლტონი | 44 | 18 | 12 | 14 | 66-58 | 66 |
| 7. ლესტერი | 44 | 18 | 11 | 15 | 67-44 | 65 |
| 8. ნოტინგემი | 44 | 16 | 16 | 12 | 60-56 | 64 |
| 9. ჩარლტონი | 44 | 16 | 13 | 15 | 59-56 | 61 |
| 10. ბირმინგემი | 44 | 15 | 15 | 14 | 61-65 | 60 |
| 11. დერბი | 44 | 15 | 13 | 16 | 63-60 | 58 |
| 12. მიდლსბრო | 44 | 18 | 4 | 22 | 59-66 | 58 |
| 13. ლიდსი | 44 | 16 | 10 | 18 | 54-63 | 58 |
| 14. იპსვიჩი | 44 | 15 | 12 | 17 | 45-58 | 57 |
| 15. ბარნლი | 44 | 14 | 13 | 17 | 58-59 | 55 |
| 16. ბლეკპული | 44 | 13 | 16 | 15 | 58-60 | 55 |
| 17. მილუოლი | 42 | 15 | 10 | 17 | 50-58 | 55 |
| 18. შეფილდ უენ. | 44 | 15 | 10 | 19 | 51-60 | 55 |
| 19. ჰადერსფილდი | 44 | 14 | 12 | 18 | 48-70 | 54 |
| 20. ბლეკბერნი | 43 | 13 | 14 | 16 | 51-59 | 53 |
| 21. პიტერბორო | 44 | 14 | 9 | 21 | 63-72 | 51 |
| 22. ვულვზი | 44 | 14 | 9 | 21 | 54-65 | 51 |
| 23. ბარნსლი | 44 | 13 | 12 | 19 | 52-68 | 51 |
| 24. ბრისტოლ ს. | 44 | 11 | 8 | 25 | 57-77 | 41 |

**ბომბარდირები:** 29 - გლენ მარი (კრისტალ პალასი), 25 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), 24 - ჩარლი ოსტინი (ბარნლი), 20 - მატეი ვიდრა (უოტფორდი), კრის ვუდი (ლესტერი)

### ლიგა ერთი. XLV ტური

ბორნმუთი-კარლაისლი 3:1, კოლჩესტერი-შრიუსბერი 0:0, ქოვენთრი-ლეიტონი 0:1, დონკასტერი-ნოთს ქაუნთი 0:1, მილტონი-სკანტორპი 0:1, ოლდჰემი-ქროული 2:1, პორტსმუთი-შეფილდ იუნ 3:0, პრესტონი-ტრანმერი 1:0, სუინდონი-სტივენეიჯი 3:0, უოლსოლი-ბერი 1:1, იოვილი-ქრიუ 1:0, ჰარტლპული-ბრენტფორდი 1:1

### ლიგა ორი. XLV ტური

ალდერშოტი-დაგენჰემი 1:0, ბრედფორდი-ბარტონი 1:0, ბრისტოლ რ-აკრინგტონი 0:1, ექსეტერი-ჩელტენჰემი 0:1, ფლიტვუდი-ჩესტერფილდი 1:3, ჯილინგემი-უიმბლდონი 2:2, მოურკემბი-ტორკი 0:2, ოქსფორდი-როჩდეილი 3:0, პლიმუთი-როტერჰემი 0:1, პორტ ვეილი-ნორთჰემპტონი 2:2, იორკი-საუთენდი 2:1, ბარნეტი-უიკომბი 1:0

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### კონფერენსი

XLVI ტური

ტელფორდი-ჰერეფორდი 0:4
ალფრეტონი-ფორესტ გრინი 2:1
ბაროუ-ბრეინტრი 0:1
დარტფორდი-ნანიტონი 0:1
გეიტსჰედი-ებსფლიტი 2:0
გრიმსბი-ნიუპორტი 3:0
ჰაიდი-ლინკოლნი 1:5
კიდერმინსტერი-სტოკპორტი 4:0
მაკლსფილდი-კემბრიჯი 2:1
მენსფილდი-რექსამი 1:0
საუთპორტი-ლუტონი 1:3
ტამუორტი-უოკინგი 2:1

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXX ტური

სტ. პაული II-ვიქტორია 3:1
ვოლფსბურგი II-ობერნოილანდი 4:1
კლოპენბურგი-ნოიმიუნსტერი 3:1
რეჰდენი-ვაიხე 2:3
ჰაველსე-ოლდენბურგი 2:0

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XXV ტური

ბერლინერი-აუერბახი 2:0
კარლ ცაისი-მოისელვიცი 4:1
ცვიკაუ-პლაუენი 3:1
ლაიპციგი-ტორგელოვერი 5:0
კოტბუსი II-ჰერტა II 0:1
მაგდებურგი-ლოკ ლაიპციგი 3:2
ნოიშტრელიცი-რატენოვი 1:0
უნიონი II-გერმანია 1:1

### რეგიონალლიგა (დას)

XXXII ტური

ბერგიში-ობერჰაუზენი 2:1
ფორტუნა-ლევერკუზენი II 0:2
ფორტუნა II-ვერლი 0:1
ვუპერტალერი-ბოხუმი II 0:2
ლოტე-გლადბახი II 1:0
ზიგენი-დუისბურგი II 2:1
ესენი-ვიქტორია 4:0
ფელბერტი-ვიდენბრუკი 2:0
კიოლნი II-კრაი 0:1

### რეგიონალლიგა (ს-დ)

XXXII ტური

ტრირი-ბაიერნი (ა) 5:0
ჰომბურგი-მანჰაიმი 1:1
მაინცი II-კობლენცი 1:0
ულმი-ზონენჰოფი 2:1
ვორმაცია-ეშბორნი 2:2
აინტრახტი II-კაიზერი II 0:2
პფულენდორფ-ელვერსბერგი გადაიდო
ფრაიბურგი II-კასელი 0:1
ფრანკფურტი II-ოფენბახი 1:1

### რეგიონალლიგა (ბაიერნი)

XXXIII ტური

ზელიგენპორტენი-ნიურნბერგი II 0:0
ბაიერნ ჰოფი-მემინგენი 1:1
ჰაიმშტეტენი-ელტერსდორფი 2:3
ილერტისენი-მიუნხენი II 1:1
ისმანინგი-ბაიერნი II 1:3
ფიურტი II-ბამბერგი 1:3
ვიქტორია-ფრონლახი 0:2
რაინი-ბუხბახი 3:2
ვიურცბურგერი-როზენჰაიმი 1:1
აუგსბურგი II-ინგოლშტადტი II 1:0

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XXXIII ტური

ლანსი-ნიმი 1:2
ნანტი-ისტრი 1:1
მონაკო-კლერმონი დღეს

### ნასიონალი

XXXIII ტური

ბულონი-ბასტია 4:1
კრეტეი-ბური 3:1
მეცი-რუანი 1:0
კევილი-კოლმარი 1:2
ეპინალი-ამიენი 2:2

## დანია

XXVIII ტური

აგფ ორჰუსი-ჰორსენსი 0:0
რანდერსი-ნორდშილანდი 0:0
სონდერიისკი-ოდენსე 4:1
ბრონდბიუ-სილკებორგი 2:2
ოლბორგი-კოპენჰაგენი 1:1
ესბერგი-მიდტიულანდი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 28 | 18 | 8 | 2 | 61-28 | 62 |
| 2. ნორდშილანდ | 28 | 15 | 7 | 6 | 51-28 | 52 |
| 3. რანდერსი | 28 | 13 | 6 | 9 | 32-36 | 45 |
| 4. ოლბორგი | 28 | 12 | 6 | 10 | 45-37 | 42 |
| 5. ოდენსე | 28 | 10 | 7 | 11 | 45-43 | 37 |
| 6. ესბერგი | 27 | 9 | 8 | 10 | 28-28 | 35 |
| 8. აგფ ორჰუსი | 28 | 9 | 7 | 12 | 43-44 | 34 |
| 7. მიდტიულანდ | 27 | 8 | 10 | 9 | 40-41 | 34 |
| 9. სონდერიისკი | 28 | 10 | 3 | 15 | 44-50 | 33 |
| 10. ბრონდბიუ | 28 | 6 | 10 | 12 | 31-43 | 28 |
| 11. ჰორსენსი | 28 | 6 | 10 | 12 | 26-43 | 28 |
| 12. სილკებორგი | 28 | 8 | 4 | 16 | 32-57 | 28 |

### II დივიზიონი

XXVI ტური

ბრონსჰოი-ვეილე 1:3; ფრედერისია-ვიბორგი 1:1; სკივე-კიოგე 0:1; ვესტსიელანდი-ფინი 3:0; აკადემისკი-ჰობრო 0:0; ლუნგბიუ-ჰიორინგი 2:1

## ბელგია

### საჩემპიონო პლეი ოფი

V ტური

ლოკერენი-სტანდარდი 4:1
გენკი-ბრიუგე 0:2
ვარეგემი-ანდერლეხტი 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვარეგემი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-10 | 40 |
| 2. ანდერლეხტი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 39 |
| 3. სტანდარდი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 35 |
| 4. გენკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 35 |
| 5. ბრიუგე | 5 | 2 | 1 | 2 | 10-8 | 34 |
| 6. ლოკერენი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 30 |

### უეფას პლეი ოფი

V ტური

გენტი-ლირსი 3:0
მონსი-კორტრეიკი 2:1
მეხელენი-ვესტერლო 1:5
ვაასლანდი-შარლერუა 0:0

### გასავარდნი პლეი ოფი

სერკლი-ბეერსხოტი 2:1

### II დივიზიონი

XXXIII ტური

დესელი-ბორინაჟი 1:1; აალსტი-ტუბეკე 2:2; ჰაისტი-ვიზე 3:1; უდენაარდე-ანტვერპენი 2:1; ლომელი-ბრიუსელი 1:0; მუსკრონი-სტ. ნიკლაასი 2:0; ოსტენდე-რუზელარე 4:2; სტ. ტრუიდენი-ვესტერლო 0:2; ვოლუვე-ეუპენი 3:2.

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXXVII ტური

პენაფიელი-პორტიმონენსე 1:1
ოლივეირენსე-ტონდელა 1:3
მარიტიმუ B-ბენფიკა B 1:1
ლეიქსოესი-პორტუ B 2:1
სპორტინგი B-უნიაო 2:0
აროკა-ფეირენსე 1:0
ატლეტიკო-ნავალი 0:2
ფრეამუნდე-სტ. კლარა 2:2
კოვილია-ბელენენსეში 4:1
ტროფენსე-ბრაგა B 3:0
გიმარაეში B-ავეში 0:0

## შოტლანდია

XXXIV ტური

კილმარნოკი-პარტისი 0:1
სტ. მირენი-დანდი 1:2
სელტიკი-ინვერნესი 4:1
სტ. ჯონსტონი-როსი 2:2
ჰიბერნიანი-აბერდინი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 34 | 22 | 6 | 6 | 82-31 | 72 |
| 2. მოზერველი | 34 | 16 | 9 | 9 | 59-44 | 57 |
| 3. ინვერნესი | 34 | 12 | 15 | 7 | 59-53 | 51 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 34 | 11 | 14 | 9 | 41-40 | 47 |
| 5. როსი | 34 | 11 | 13 | 10 | 44-45 | 46 |
| 6. დანდი იუნ | 34 | 10 | 14 | 10 | 49-55 | 44 |
| 7. კილმარნოკი | 34 | 10 | 12 | 12 | 47-44 | 42 |
| 8. აბერდინი | 33 | 10 | 11 | 12 | 38-41 | 41 |
| 9. ჰიბერნიანი | 33 | 10 | 10 | 13 | 40-47 | 40 |
| 10. პარტისი | 34 | 10 | 10 | 14 | 35-45 | 40 |
| 11. სტ. მირენი | 34 | 8 | 12 | 14 | 41-53 | 36 |
| 12. დანდი | 34 | 6 | 8 | 20 | 24-61 | 26 |

### I დივიზიონი

XXXIV ტური

დამბარტონი-ეირდრი 4:1; დანფერმლაინი-კოუდენბითი 1:0; ფალკირკი-პარტიკი 0:2; ჰემილტონი-რეითი 2:0; ლივინგსტონი-მორტონი 0:2.

### II დივიზიონი

XXXIV ტური

ალბიონი-ბრეჩინი 3:1; არბროა-სტრანრარი 1:0; ისტ ფაიფი-ალოა 2:1; ფორფარი-ქუინი 0:4; სტენჰაუზმური-ეირი 4:0.

### III დივიზიონი

XXXIV ტური

ანენი-სტირლინგი 0:1; კლაიდი-მონროუზი 1:0; ელჯინი-ბირუიკი 1:2; ქუინზ პარკი-ისტ სტირლინგი 5:1; რეინჯერსი-პიტერჰედი 1:2.

## ავსტრია

XXX ტური

ტიროლი-რიდი 2:0
შტურმი-მატერსბურგი 2:2
ზალცბურგი-ვოლფსბი 6:2
ვიენერი-ადმირა 3:0
აუსტრია-რაპიდი 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია | 30 | 20 | 7 | 3 | 69-26 | 67 |
| 2. ზალცბურგი | 30 | 17 | 10 | 3 | 72-34 | 61 |
| 3. რაპიდი | 30 | 13 | 8 | 9 | 48-33 | 47 |
| 4. შტურმი | 30 | 12 | 9 | 9 | 42-41 | 45 |
| 5. ვოლფსბი | 30 | 11 | 9 | 10 | 47-48 | 42 |
| 6. რიდი | 30 | 12 | 5 | 13 | 53-46 | 41 |
| 7. ვიენერი | 30 | 7 | 8 | 15 | 23-47 | 29 |
| 8. ადმირა | 30 | 7 | 7 | 16 | 42-62 | 28 |
| 9. მატერსბურგი | 30 | 7 | 7 | 16 | 29-58 | 28 |
| 10. ტიროლი | 30 | 8 | 2 | 20 | 31-61 | 26 |

## სლოვაკეთი

XXVII ტური

სლოვანი-მიავა 1:1
ტრენჩინი-ჟილინა 1:2
რუჟომბეროკი-კოშიცე 1:1
მორავცე-პრეშოვი 0:0
ნიტრა-ბისტრიცა 3:1
სენიცა-ტრნავა 3:2

## კვიპროსი

### საჩემპიონო ჯგუფი

IV ტური

ანორთოსისი-ომონია 0:0
აეკ-აპოელ 0:1

### პლეი ოფი

IV ტური

აპოლონი-ენოსისი 4:1
დოქსა-აელ 1:1

### გასავარდნი ჯგუფი

IV ტური

ნეა სალამისი-ალკი 1:3
ოლიმპიაკოსი-ეთნიკოსი 4:2

## ფინეთი

II ტური

ტურკუ-ვაასა 0:1
როვანიემი-ლაჰტი 1:1
იარო-კუოპიო 2:1
მარიეჰამნი-იუვიასკიულა 2:2
მიკა-ინტერი 1:0
ჰონკა-ჰიკ დღეს

## საბერძნეთი

XXX ტური

ასტერასი-ოფი 2:1
ატრომიტოსი-აეკ 1:0
ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი 2:1
პანათინაიკოსი-ვერია 3:2
პანთრაკიკოსი-კერკირა 2:1
პაოკ-იანინა 2:0
პლატანიასი-ლევადია 2:0
ქსანთი-არისი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 30 | 24 | 5 | 1 | 64-16 | 77 |
| 2. პაოკ | 30 | 18 | 8 | 4 | 46-19 | 62 |
| 3. ასტერასი | 30 | 17 | 5 | 8 | 41-25 | 56 |
| 4. ატრომიტოსი | 30 | 11 | 13 | 6 | 26-22 | 46 |
| 5. იანინა | 30 | 12 | 8 | 10 | 28-24 | 44 |
| 6. პანათინაიკოს | 30 | 10 | 12 | 8 | 32-30 | 40 |
| 7. ქსანთი | 30 | 10 | 10 | 10 | 28-26 | 40 |
| 8. პანიონიოსი | 30 | 11 | 3 | 16 | 35-42 | 36 |
| 9. პლატანიასი | 30 | 10 | 6 | 14 | 29-42 | 36 |
| 10. პანთრაკიკოს | 30 | 10 | 6 | 14 | 30-33 | 36 |
| 11. ლევადია | 30 | 9 | 7 | 14 | 21-35 | 34 |
| 12. ვერია | 30 | 8 | 9 | 13 | 30-35 | 33 |
| 13. არისი | 30 | 7 | 12 | 11 | 32-40 | 33 |
| 14. ოფი | 30 | 8 | 8 | 14 | 33-46 | 32 |
| 15. აეკ | 30 | 8 | 6 | 16 | 21-36 | 27 |
| 16. კერკირა | 30 | 4 | 8 | 18 | 16-41 | 20 |

### II დივიზიონი

XXXV ტური

ერგოტელისი-ანაგენისი (ე) 2:0; კალითეა-აპოლონი 2:1; ნიკი ვოლუ-ოლიმპიაკოსი (ვ) 1:1; დოქსა-კავალა 2:0; ფოკიკოსი-ირაკლისი (ს) 0:1; ლარისა-პიერიკოსი 4:2; პანახაიკი-ეთნიკოსი 2:0; პანსერაიკოსი-ირაკლისი (პ) 1:0; ტრასივულოსი-პანაიტოლიკოსი 1:3; ვიცასი-კალონი 0:0.

## ირლანდია

IX ტური

ბრეი-ლიმერიკი 0:4

### II დივიზიონი

VII ტური

ლონგფორდი-ეთლონი 2:1

## ჩრ. ირლანდია

### საჩემპიონო ჯგუფი

XXXVII ტური

კოლრეინი-კლიფტონვილი 0:2
კრუზეიდერსი-გლენტორანი 3:2
ლინფილდი-ბალინამალარდი 0:1

### გასავარდნი ჯგუფი

XXXVII ტური

ბალიმენა-გლენავონი 0:2
ლისბურნი-დუნგანონი 0:1
დონეგალი-პორტადაუნი 1:2

## ნორვეგია

V ტური

ოდ გრენლანდი-მიოლდე 1:1
ბრანი-ვიკინგი 2:0
ოლესუნდი-ტრომსიო 0:0
სანდნესი-ჰიონეფოსი 1:1
სოგნდალი-სარპსბორგი 0:0
სტრიომსგოდსეტი-ლილესტრიომი 1:0
ჰაუგესუნდი-რუსენბორგი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლესუნდი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-3 | 13 |
| 2. რუსენბორგი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 3. სტრიომსგოდ | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| 4. ვიკინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-5 | 9 |
| 5. ბრანი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-7 | 9 |
| 6. სტარტი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-5 | 8 |
| 7. ლილესტრიომ | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 8. ჰაუგესუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 9. ტრომსიო | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 10. სარპსბორგი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| 11. სანდნესი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |
| 12. სოგნდალი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 13. ჰიონეფოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 8-9 | 4 |
| 14. ოდ გრენლან | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| 15. ვოლერენგა | 5 | 1 | 0 | 4 | 2-9 | 3 |
| 16. მიოლდე | 5 | 0 | 1 | 4 | 4-8 | 1 |

### II დივიზიონი

III ტური

კონგსვინგერი-სტაბეკი 2:2; ბოდო გლიმტი-ელვერუმი 3:0; ჰამ კამი-ულ კისა 2:1; კრისტიანსუნდი-ვარდ ჰაუგესუნდი 1:2; რანჰაიმი-ბრინი 0:0; სტრომენი-მიონდალენი 1:1; ფრედრიკსტადი-სანდეფიორდი დღეს.

## შვედეთი

IV ტური

ატვიდაბერგი-გიოტებორგი 1:2
ჰალმსტადი-კალმარი 1:2
ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი 0:2
ჰაკენი-მიალბიუ 2:0
გეფლე-აიკ დღეს
მალმიო-ოსტერი დღეს
სირიანსკა-ნორჩოპინგი დღეს
ელფსბორგი-იურგორდენი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გიოტებორგი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-1 | 13 |
| 2. ჰელსინგბორგ | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 3. მალმიო | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 4. ოსტერსი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 4. კალმარი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 6. ჰაკენი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 7. გეფლე | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 8. მიალბიუ | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| 9. ნორჩოპინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 10. ბრომაპოიკარ | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 11. ელფსბორგი | 4 | 0 | 4 | 0 | 4-4 | 4 |
| 12. ატვიდაბერგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| 13. ჰალმსტადი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-6 | 3 |
| 14. აიკ | 4 | 0 | 2 | 2 | 2-4 | 2 |
| 15. სირიანსკა | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |
| 16. იურგორდენ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |

### II დივიზიონი

III ტური

ოსტერსუნდი-ლანდსკრონა 2:2; ვარბერგსი-სუნდსვალი 0:4; ვარნამო-ფალკენბერგსი 0:1; ლიუნგსკილე-ასირისკა 0:1; ჰამარბიუ-ერებრო 2:1; იორგრიტებრაგე დღეს.

## შვეიცარია

XXVIII ტური

ლოზანა-სტ. გალენი 1:3
ციურიხი-სერვეტი 4:0
ლუცერნი-გრასჰოპერსი 1:1
თუნი-ბაზელი 2:2
სიონი-იანგ ბოიზი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 28 | 16 | 9 | 3 | 53-24 | 57 |
| 2. გრასჰოპერსი | 28 | 15 | 9 | 4 | 35-23 | 54 |
| 3. სტ. გალენი | 28 | 14 | 8 | 6 | 40-24 | 50 |
| 4. სიონი | 28 | 11 | 9 | 8 | 33-34 | 42 |
| 5. ციურიხი | 28 | 10 | 6 | 12 | 43-38 | 36 |
| 6. თუნი | 28 | 9 | 7 | 12 | 33-39 | 34 |
| 7. იანგ ბოიზი | 28 | 8 | 9 | 11 | 34-36 | 33 |
| 8. ლოზანა | 28 | 6 | 8 | 14 | 22-36 | 26 |
| 9. ლუცერნი | 28 | 5 | 11 | 12 | 25-40 | 26 |
| 10. სერვეტი | 28 | 4 | 8 | 16 | 22-46 | 20 |

### ჩელენჯლიგა

XXVIII ტური

კიასო-ვინტერტური 0:1; ლოკარნო-ვოლენი გადაიდო; ვადუცი-ბილი 0:0; არაუ-ლუგანო დღეს; ვილი-ბელინცონა დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXXI ტური

ქარსიაკა-კონია 1:1
1461 ტრაბზონი-გიოზთეფე 1:1
ადანა-ერჩიესი 3:2
ბუკა-სამსუნი 0:0
ბბ გაზიანთეფი-თავშანლი 3:2
ქართალი-ადანა დემირი 3:1
მანისა-დენიზლი 0:1
შანლიურფა-რიზე 2:2
ანკარაგიუჯუ-ბოლუ დღეს

## უელსი

XXXI ტური

### საჩემპიონო ზონა

კარმარტენი-პორტ ტალბოტი 0:0
პრესტატინი-ტნს 1:7
ეირბასი-ბანგორი 2:0

### გასავარდნი ზონა

ქონასი-ნიუთაუნი 0:2
ლანელი-ბალა 1:5

## ბელარუსი

V ტური

ბატე-ბრესტი 3:2
დნეპრი-ბელშინა 0:1
მინსკი-ნემანი 1:0
შახტიორი-დინამო (მნ) 1:1
ნაფტანი-სლავია დღეს
გომელი-ტორპედო დღეს

## ბოსნია

XVII ტური

ზვიეზდა-რუდარი 4:1
ტრავნიკი-ოლიმპიკი 2:3
ბორაცი-გრადინა 1:0
ჟელეზნიჩარი-ჩელიკი 1:1
ლეოტარი-ველეჟი 0:0
სლავია-რადნიკი 1:0
ზრინსკი-გაბელა 0:3
შიროკი ბრიეგი-სარაევო 2:1

## ბულგარეთი

XXIII ტური

ლიტექსი-ლევსკი 1:2
ბოტევი-ჩერნომორეცი 0:2
ლოკომოტივი (ს)-ბოტევი 1:2
ლოკომოტივი (პ)-ეტარი 3:0
მინიორი-ლუდოგორეცი 1:2
ცსკა-სლავია 2:1
პირინი-მონტანა 4:2
ბეროე-ჩერნო მორე 1:0

## ხორვატია

XXVIII ტური

სიბალია-დინამო 0:1
რიეკა-ლოკომოტივა 1:3
სპლიტი-ოსიეკი 4:1
სლავენი-ჰაიდუკი 1:1

## ჩეხეთი

XXIV ტური

ლიბერეცი-ბრნო 2:0
ბანიკი-სპარტა 0:1
სიგმა-ბოლესლავი 2:2
პრადეცი-დუკლა 0:3
სლავია-სლოვაცკო დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 24 | 16 | 5 | 3 | 43-15 | 53 |
| 2. სპარტა | 24 | 16 | 5 | 3 | 41-16 | 53 |
| 3. იაბლონეცი | 24 | 11 | 8 | 5 | 42-30 | 41 |
| 4. სიგმა | 24 | 11 | 7 | 6 | 34-24 | 40 |
| 5. ლიბერეცი | 24 | 11 | 5 | 8 | 32-29 | 38 |
| 6. დუკლა | 24 | 9 | 10 | 5 | 40-28 | 37 |
| 7. ბოლესლავი | 24 | 10 | 6 | 8 | 29-28 | 36 |
| 8. იჰლავა | 23 | 6 | 11 | 6 | 27-33 | 29 |
| 9. სლავია | 23 | 6 | 9 | 8 | 27-27 | 27 |
| 10. ბრნო | 24 | 7 | 4 | 13 | 25-41 | 25 |
| 11. სლოვაცკო | 23 | 6 | 6 | 11 | 26-33 | 24 |
| 12. პრშიბრამი | 24 | 5 | 9 | 10 | 22-34 | 24 |
| 13. ტეპლიცე | 24 | 5 | 8 | 11 | 26-37 | 23 |
| 14. ბანიკი | 23 | 5 | 7 | 11 | 26-34 | 22 |
| 15. ჰრადეცი | 24 | 4 | 9 | 11 | 23-34 | 21 |
| 16. ბუდეიოვიცე | 24 | 5 | 5 | 14 | 19-39 | 20 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ბოჰემიანსი-ოლომოუცი 1:1; უსტი-სოკოლოვი 1:2; ტაბორსკო-ზნოიმო 0:0; მოსტი-პარდუბიცე 1:2; ვლაშიმი-ბოჰემიანსი 1905 0:0; ვიქტორია-კარვინა 3:1; ჩასლავი-ჟლინი 1:3; ვარნსდორფი-ოპავა 2:0.

## ესტონეთი

VII ტური

ლევადია-ინფონეტი 2:1
ტალინა-კალიუ 1:3
კურესაარე-ფლორა 2:4
ტრანს ნარვა-პაიდე 0:1

## უნგრეთი

XXIV ტური

ჰონვედი-კეჩკემეტი 0:0
ეგრი-კაპოშვარი 1:0
ვიდეოტონი-პაკში 2:0
ლომბარდ პაპა-დიორი 1:1
დიოშდიორი-ფერენცვაროში 2:2
პალადაში-დებრეცენი 1:0

## ისრაელი

XXXII ტური

### საჩემპიონო ზონა

ჰაპოელი (თ-ა)-ირონი (ქ-შ) 1:4
ბნეი იეჰუდა-მაკაბი (ჰ) 2:1
ირონი (რ-ჰ)-მაკაბი (თ-ა) დღეს

### გასავარდნი ზონა

ბ შახნინი-ჰაპოელი (რ-გ) 0:0 შეწყდა
ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (ა) 0:0
ჰაპოელი (ჰ)-ბეითარი 3:1
მაკაბი (ნ)-აშდოდი 2:1

## ლატვია

V ტური

ვენტსპილსი-სპარტაკსი 1:0
იელგავა-ილუკსტესი 2:2
დაუგავა-მეტალურგსი 1:1
მეტა-იურმალა 1:2

## ლიტვა

VIII ტური

შიაულიაი-ეკრანასი 1:4
ტაურასი-დაინავა 0:0
ჟალგირისი-ბანგა 4:2
ატლანტასი-კრუოია 2:0

## პოლონეთი

XXIII ტური

პოდბესკიძე-ბელხატოვი 1:1
იაგელონია-ვისლა 2:2
ლეგია-პოგონი 3:1
შლიონსკი-ლეჩია 1:1
ლეხი-ზაგლები 3:1
რუხი-პოლონია დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეგია | 23 | 16 | 4 | 3 | 48-21 | 52 |
| 2. ლეხი | 23 | 15 | 3 | 5 | 37-18 | 48 |
| 3. შლიონსკი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-29 | 37 |
| 4. გურნიკი | 23 | 9 | 7 | 7 | 29-22 | 34 |
| 5. პიასტი | 23 | 10 | 4 | 9 | 30-32 | 34 |
| 6. პოლონია | 22 | 9 | 6 | 7 | 35-25 | 33 |
| 7. იაგელონია | 23 | 7 | 12 | 4 | 29-29 | 33 |
| 8. ლეჩია | 23 | 8 | 6 | 9 | 31-32 | 30 |
| 9. კორონა | 23 | 8 | 6 | 9 | 24-28 | 30 |
| 10. ზაგლები | 23 | 9 | 5 | 9 | 29-28 | 29 |
| 11. ვიძევი | 23 | 7 | 7 | 9 | 24-31 | 28 |
| 12. ვისლა | 23 | 7 | 7 | 9 | 22-29 | 28 |
| 13. რუხი | 22 | 7 | 4 | 11 | 25-34 | 25 |
| 14. პოგონი | 23 | 6 | 5 | 12 | 19-31 | 23 |
| 15. პოდბესკიძე | 23 | 4 | 7 | 12 | 28-35 | 19 |
| 16. ბელხატოვი | 23 | 2 | 8 | 13 | 12-32 | 14 |

## სლოვენია

XXIX ტური

ოლიმპია-რუდარი 1:0
კოპერი-მარიბორი 2:1
ალუმინი-ტრიგლავი 2:2
მურა-გორიცა 1:1
პუბლიკუმი-დომჟალე 0:0

## მოლდოვა

XXVII ტური

აკადემია-ნისტრუ 5:1
ცსკა-შერიფი 0:2
მილსამი-დაჩია 1:0
ოლიმპია-ზიმბრუ 2:2
ტირასპოლი-სპერანცა 5:0
ისკრა-კოსტულენი გადაიდო

## ჩერნოგორია

XXVI ტური

ჩელიკი-მლადოსტი 1:0
ლოვჩენი-იედინსტვო 2:0
მორნარი-პეტროვაცი 1:1
რუდარი-გრბალი 0:2
სუტიესკა-ზეტა 2:0
ბუდუჩნოსტი-მოგრენი 1:2

## რუმინეთი

XXVII ტური

ტურნუ-იაში 2:1
კონსტანცა-რაპიდი 1:2
ასტრა-ჩახლაული 4:2
გლორია-კლუჟი 0:5
კონკორდია-ვასლუი 1:1
პანდური-დინამო 2:0
ბრაშოვი-ოცელული დღეს
სტიაუა-პეტროლული დღეს

## რუსეთი

XXV ტური

მორდოვია-ვოლგა 1:3
კრ. სოვეტოვი-ალანია 2:1
კუბანი-ლოკომოტივი 0:0
ცსკა-სპარტაკი 2:2
ზენიტი-კრასნოდარი 1:0
ანჟი-დინამო 3:3
როსტოვი-ტერეკი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 25 | 18 | 3 | 4 | 44-19 | 57 |
| 2. ზენიტი | 25 | 16 | 5 | 4 | 43-21 | 53 |
| 3. ანჟი | 25 | 13 | 8 | 4 | 41-28 | 47 |
| 4. რუბინი | 25 | 12 | 5 | 8 | 31-21 | 41 |
| 5. სპარტაკი | 25 | 12 | 5 | 8 | 44-36 | 41 |
| 6. დინამო | 25 | 12 | 4 | 9 | 35-30 | 40 |
| 7. კუბანი | 25 | 11 | 7 | 7 | 39-26 | 40 |
| 8. კრასნოდარი | 25 | 10 | 5 | 10 | 39-33 | 35 |
| 9. ტერეკი | 24 | 10 | 5 | 9 | 27-36 | 35 |
| 10. ლოკომოტივი | 25 | 9 | 7 | 9 | 28-26 | 34 |
| 11. როსტოვი | 24 | 6 | 7 | 11 | 23-29 | 25 |
| 12. ამკარი | 25 | 6 | 7 | 12 | 28-39 | 25 |
| 13. ვოლგა | 25 | 6 | 6 | 13 | 25-40 | 24 |
| 14. კრილია | 25 | 6 | 5 | 14 | 24-43 | 23 |
| 15. მორდოვია | 25 | 4 | 4 | 17 | 24-48 | 16 |
| 16. ალანია | 25 | 3 | 7 | 15 | 23-43 | 16 |

## სერბეთი

XXIV ტური

დონი სრემი-რადნიჩკი 1923 2:0
ჰაიდუკი-ვოივოდინა 0:0
ოფკ-ნოვი პაზარი 1:0
პარტიზანი-რადი 2:0
ბორჩა-ცრვენა ზვეზდა 0:1
სლობოდა-იავორი 2:2
სპარტაკი-სმედერევო 2:0
იაგოდინა-რადნიჩკი 1:0

## უკრაინა

XXV ტური

მეტალურგი (ზ)-კრივბასი 2:0
მეტალურგი (დ)-გოვერლა 2:1
ზორია-დინამო 0:5
ტავრია-ვოლინი 3:0
მეტალისტი-ჩერნომორეცი 3:1
დნიპრო-შახტარი 1:1
არსენალი-კარპატი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 25 | 23 | 1 | 1 | 68-13 | 70 |
| 2. მეტალისტი | 25 | 17 | 4 | 4 | 50-21 | 55 |
| 3. დინამო | 25 | 17 | 2 | 6 | 47-18 | 53 |
| 4. დნიპრო | 25 | 14 | 7 | 4 | 41-20 | 49 |
| 5. მეტალურ (დ) | 25 | 11 | 6 | 8 | 39-30 | 39 |
| 6. ჩერნომორეცი | 25 | 11 | 4 | 10 | 27-31 | 37 |
| 7. ილიჩივეცი | 25 | 10 | 6 | 9 | 27-20 | 36 |
| 8. კრივბასი | 25 | 10 | 5 | 10 | 28-34 | 35 |
| 9. ტავრია | 25 | 9 | 4 | 12 | 21-31 | 31 |
| 10. ზორია | 25 | 8 | 6 | 11 | 25-36 | 30 |
| 11. არსენალი | 24 | 6 | 7 | 11 | 21-36 | 25 |
| 12. ვორსკლა | 25 | 6 | 6 | 13 | 21-31 | 24 |
| 13. ვოლინი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-39 | 24 |
| 14. კარპატი | 24 | 6 | 5 | 13 | 28-38 | 23 |
| 15. გოვერლა | 25 | 4 | 6 | 15 | 25-46 | 18 |
| 16. მეტალურ (ზ) | 25 | 1 | 5 | 19 | 8-53 | 8 |

## მექსიკა

XV ტური

ხაგუარესი-ლეონი 2:2
ს. ლაგუნა-მონტერეი 1:0
ამერიკა-პუმასი 1:0
კერეტარო-სან ლუისი 2:1
ტიგრესი-პაჩუკა 3:1
ტიხუანა-მორელია 1:2
ატლასი-გვადალახარა 1:0
ტოლუკა-კრუს ასული 0:2
ატლანტე-პუებლა გვ. დასრულდა

## იაპონია

VII ტური

კავასაკი-ვეგალტა 4:2
შიმიძუ-სერეზო 1:1
ტოკიო-ნაგოია 3:1
ტოსუ-კაშივა 0:3
ივატა-ჰიროშიმა 0:2
ომიია-ურავა 1:0
შონანი-ოიტა 2:1
კაშიმა-კოფუ 0:0
ნიიგატა-იოკოჰამა 1:0

ჭადრაკი


სოფიკო ხუხაშვილი, ლუკა პაიჭაძე, ბელა ხოტენაშვილი, ლევან ფანცულაია

# ფულადი ჯილდოები, სარეიტინგო ქულებით

თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოჭადრაკეთა გრან პრის გათამაშების პირველი ეტაპი რაპიდსა და ბლიცში. საასპარეზოდ ქვეყნის უძლიერესმა დიდოსტატებმა და საერთაშორისო ოსტატებმაც მოიყარეს თავი.

სწრაფ ჭადრაკს (რაპიდი, თითოეული პარტიისთვის 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ორი დღე დაეთმო. ქალებში თავიდან 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები - **ლელა ჯავახიშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი** დაწინაურდნენ. ფინიშამდე მათი დაპირისპირება არ განელებულა. საბოლოოდ ხუხაშვილმა 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით პირველი ადგილი და მთავარი პრიზი (250 ლარი და 500 ქულა) მოიპოვა. 7 ქულით მეორე ადგილი ლელა ჯავახიშვილს (150 ლარი და 300 ქულა) ხვდა, 6,5 ქულით მე-3 ადგილი საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა **მაია ლომინეიშვილმა** (100 ლარი და 250 ქულა) დაიკავა.

ვაჟებში 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს **ლუკა პაიჭაძემ** და **კონსტანტინე შანავამ.** უკეთესი კოეფიციენტით პირველობა პაიჭაძეს ერგო. 7 ქულით მესამე იყო საქართველოს ექსჩემპიონი **დავით ზარქუა.**

ელვისებურ ჭადრაკშიც (ბლიცი, თითოეული პარტიისთვის 3-3 წუთი, ყოველ სვლაზე 2-2 წამის დამატებით) 9 ტური გათამაშდა. ამჯერად უფრო დაძაბული ქალთა პაექრობა აღმოჩნდა. 9 ტურის შემდეგ **ბელა ხოტენაშვილმა, მერი არაბიძემ** და **სოფიო გურამიშვილმა** 6,5-6,5 ქულით, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით, პირველი-მესამე ადგილები შესაბამისი თანმიმდევრობით გაიყვეს. ვაჟებში 8 ქულით პირველი იყო **ლევან ფანცულაია.** გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა **კონსტანტინე შანავა.** 7 ქულით **თამაზ მგელაძე** მესამე ადგილს დაჰყაბულდა.

გრან პრის გათამაშებაში პირველ ადგილზე გასულ ყველა მოჭადრაკეს 250 ლარი და 500 სარეიტინგო ქულა ერგო. მეორე-მესამე ადგილოსნებს, შესაბამისად - 150 ლარი, 300 ქულა და 100 ლარი, 250 ქულა.

**ვაჟა დანელია**

# ქართველთა ხუთეული ნახჭევანში

აზერბაიჯანის ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით დღეიდან ნახჭევანში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყება, რომელიც ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის - ჰეიდარ ალიევის 90-ე წლისთავს ეძღვნება.

შეჯიბრებაში, რომლის გამარჯვებულიც 10.000 ამერიკულ დოლარს მიიღებს, ქართველთაგან საპრიზო ადგილებისთვის მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, გიგა ყუფარაძე, ბაჩანა მორჩიაშვილი და ზურაბ ჯავახაძე იბრძოლებენ. ასპარეზობა პირველ მაისს დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. ბაქოს ტურნირი

# წარმატებული თავისუფალი დასასრული

ბაქოში გუშინ დასრულდა „აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასის" გათამაშება ჭიდაობაში, სადაც ამ უქმეებზე თავისუფალი სტილის ფალავნებმა იასპარეზეს - შაბათს ჭაბუკებმა, კვირას - ახალგაზრდებმა. ამათგან ოდნავ მეტი წარმატებით უმცროსები გამოვიდნენ - სამივე სინჯის 2-2 ანუ ჯამში 6 მედალი მოიპოვეს, უფროსები კი 5-ს დასჯერდნენ, რადგან ერთი ბრინჯაოთი ნაკლები ირგუნეს. ჭაბუკები გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავიდნენ, ახალგაზრდები კი პრიზიორებში ვერ მოხვდნენ. სხვათა შორის, ბაქოში ჩასული 4 ქართული გუნდიდან (2-2 ნაკრები ორივე სტილის ასაკობრივ ტურნირში) მხოლოდ ესენი დარჩნენ გუნდურში უმედლოდ. თუმცა ამას მწვრთნელების - **გიორგი გოგშელიძისა** და **ოთარ თუშიშვილის** გასაკრიტიკებლად როდი ვამბობთ, მხოლოდ ფაქტს ვაფიქსირებთ, თორემ ამ გუნდმა 10-დან 5 წონაში მედალი მოიპოვა და 4-ში ფინალი იჭიდავა.

ჭაბუკთა შორის ტურნირის ჩემპიონები **ალექსანდრე კილაძე** (42) და **შმაგი თოდუა** (460) გახდნენ, ვერცხლის მედლები **ედუარდ ნიკოლიშვილმა** (63) და **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (60) ირგუნეს, ბრინჯაოსი - **რამაზ ზოიძემ** (58) და **გივი მაჭარაშვილმა** (100). ბრინჯაოსთვის **გიორგი პასიკაშვილმაც** (50) იჭიდავა, მაგრამ დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. ახალგაზრდებში ოქროს მედლები **შოთა ფარტენაძემ** (60) და **გენო პეტრიაშვილმა** (120) მოიპოვეს, ვერცხლისა - **ბექა ბუჯიაშვილმა** (55) და **როლანდ ანდრიაძემ** (96), ბრინჯაოსი - **გიორგი კაკაურიძემ** (96).




## ჭაბუკები

ჭაბუკთა ნაკრების დამრიგებელ **ემზარ ბედინეიშვილისთვის** ეს პირველი უცხოური შეჯიბრება იყო და წარმატებული დებიუტითაც აღნიშნა. მას ყველაზე მეტად მჩატეებმა გაუმართლეს - კილაძემ ფინალამდე ყაზახი **სანჯარბეკ ტურდუბაიევი** და თურქი **უტკუ დოგანი** ჩამოიცილა გზიდან, გადამწყვეტ პაექრობაში კი კიდევ ერთი ყაზახი - **აიუბეკ სულეიმანოვი** დაამარცხა. თოდუამ ფინალამდე მასპინძლებს - **ფაზილ ჰასანოვსა** და **ორხან აბასოვს** აჯობა, ოქროს მედლისთვის კი მანაც ყაზახი მეტოქე დაჯაბნა - **ნურჯან საიდოვი.**

ედუარდ ნიკოლიშვილი ამ ნაკრებში შედარებით ახალი წევრია, თუმცა ამას წარმატების მიღწევაში ხელი არ შეუშლია. თურქ **აიდინ ტოლგასა** და რუს **აბდულა მაგომედალიევთან** გამარჯვების შემდეგ მან ფინალი მასპინძელ **რუსტამ გასიმოვთან** წააგო. ნიკოლიშვილისგან განსხვავებით, გაფრინდაშვილი ამ გუნდის სტაჟიანი წევრია, თუმცა ფინალში აზერბაიჯანელ **მოჰამედრასულ მუხუტდინოვს** მაინც ვერ გადაახტა. არადა, მანამ ყაზახ **იერნარ ამანგალდიევსა** და კიდევ ერთ მასპინძელ **მურად მოჰამედსაიდოვს** დამაჯერებლად მოუგო.

„თავისუფალთა" ტურნირში კვლავ მოსინჯა ძალა „ლელოს" ვერსიით შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენმა, ბათუმელმა რამაზ ზოიძემ, რომელიც პარალელურად ჭიდაობს ორივე სტილში, თუმცა უფრო დიდ წარმატებას ბერძნულ-რომაულში მიაღწია - ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია. აზერბაიჯანელ **მურად სულეიმანოვთან** მოგების შემდეგ ის ყაზახ **აიდინ ტაჯიგალისთან** დამარცხდა და მერე სანუგეშოში იყოჩაღა. მედლამდე ზუსტად ასეთივე გზა გაიარა მაჭარაშვილმაც ანუ მასპინძელ **ნიზამი შამილოვთან** გამარჯვებას თურქ **ერენ დურსუნ თურანთან** მარცხი მიაყოლა და მერე ამანაც სანუგეშოში გაიკაფა გზა.

## ახალგაზრდები

ისე ეტყობა, გენო პეტრიაშვილს თავის ასაკში ტოლ-სწორი უკვე აღარ ჰყავს და ამ ნაკრებში გასატარებელი წლები თავისუფლად შეუძლია, ახალი ტექნიკა-ტაქტიკა-სტრატეგიის დასამუშავებლად გამოიყენოს და უფროსებში გადასასვლელად მყარი პლაცდარმი შეიქმნას იმის მიუხედავად, რომ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში უკვე ევროპული ბრინჯაო მოიპოვა. ვერც ყაზახმა **ოლეგ ბოლტინმა** და ვერც მასპინძლებმა - **ტოგრულ ცავადლიმ** და ფინალში **ალი მაგრმედაბიროვმა** მას ჯეროვანი წინაალმდეგობა ვერ გაუწიეს. არადა, მაგომედდაბიროვს აზერბაიჯანელები უკვე ეროვნულ ნაკრებში ცდიან.

ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ფარტენაძემაც ძლიერად იჭიდავა. პირველ წრეში მან თურქ **სედატ ოზდემირს** ორივე პერიოდი ბურთულით მოუგო, როცა მისი ფერი ამოვიდა და ამანაც წარმატებით გადაიყვანა, თუმცა ბურთულამდეც საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და ინიციატივა მთლიანად მის ხელში იყო. ნახევარფინალიც წარმატებით გაიარა მეორე თურქ **ბურაკ დოგანთან** და ფინალიც - მასპინძელ **ნურლან ჰაციევთან.**

ბუჯიაშვილიც კარგად ჩაება ტურნირში. მას პირველ წრეში თურქ **ალი კარაბოგასთან** დამატებითი დრო დასჭირდა, თუმცა მეორე პერიოდი 2:2-ზე დათმო. ისიც სათქმელია, რომ აქ ბოლომდე იბრძოლა და ანგარიშიც გაუთანაბრა მეტოქეს. დამატებითი პერიოდი მისი ზეობის ორწუთეულად იქცა - დასაწყისშივე მედგრად შეუტია მეტოქეს და ჯერ ფეხში შესვლით მოიპოვა 1 ქულა, რასაც იქვე ფეხიდან ჯვარზე ორჯერ ტრიალი მიაყოლა - 5:0. ამასაც არ დასჯერდა და მალე წელში შესვლით ისევ გადააგდო სამქულიანზე. ამ დროს მეტოქემ ილეთის გაგრძელება მოინდომა, თუმცა ბუჯიაშვილმა არ დაანება და ილეთი დაუხურა, მაგრამ თურქმა მაინც გააპროტესტა. სხვათა შორის, პირველ პერიოდშიც ზუსტად ანალოგიური ეპიზოდი იყო, მაგრამ იმისგან განსხვავებით, ამჯერად მსაჯებმა მისი პროტესტი დააკმაყოფილეს და ერთი ქულა მასაც მისცეს, მაგრამ ჩვენებურმა ქულებით მაინც წმინდად მოიგო.

როგორც ხედავთ, 96-ში ორი მედალოსანი გვყავს და ორივე - შედარებით ახალი კადრია ამ ნაკრებში. უბრალოდ, ცუდია, რომ ორივე ერთსა და იმავე ფალავანთან, თურქთა მომავალ ჩემპიონ **იუსუფ ცან ზეიბეკთან** დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# მეორე ადგილით დაკმაყოფილდა


ოქსანა კალაშნიკოვა

22 წლის თბილისელი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** ქალთა მსოფლიოს რეიტინგით 375-ე ადგილზეა, მაგრამ ორშაბათიდან აუცილებლად დაწინაურდება, რადგან უზბეკეთის ქალაქ ნაგმანგანის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მეორე ადგილი დაიკავა და რეიტინგი 34 ქულით გაიმდიდრა: ფინალში ჩვენებური 20 წლის უკრაინელ ნადია კიჩენოკთან (რეიტინგით 190-ე) დამარცხდა - 2:6, 3:6. საგულისხმოა, რომ კიჩენოკმა მეოთხედფინალში **სოფიო შაფათავასაც** სძლია, ხოლო კალაშნიკოვამ მერვედფინალში ნადიას ტყუპისცალ ლუდმილა კიჩენოკს აჯობა.

კალაშნიკოვა უზბეკეთშივე რჩება და ხვალიდან ანდიჟანის ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. იგი მე-5 ნომრადაა განთესილი და სტარტზე ვლადა ეკშიბაროვას (უზბეკეთი) დაუპირისპირდება. ტურნირის რეიტინგფავორიტია უკრაინელი ვერონიკა კაპშაი - იგი პირველ წრეში მასპინძელ ალინა აბდურახიმოვას გაუწევს მეტოქეობას.

სტამბოლის 50.000-იან საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება სოფიო შაფათავა.

**ვაჟა დანელია**

გურამ ფანჯიკიძე - 80



# ქართული სპორტის დიდი პატრიოტი

მაისად აპრილში ჩვენს გაზეთს დაარსებიდან 80 წელი შეუსრულდება. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა თაობის ადამიანების მოგონებებს „ლელოზე", აგრეთვე, გაიხსენებს მათ, რომელთა შემოქმედებამაც ჩვენი გაზეთის ავტორიტეტი აამაღლა.

ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით მწერალ გურამ ფანჯიკიძის ამაგს, მის მართლაც რომ გულიან მეგობრობას თავისი თაობის სპორტსმენებთან თუ სპორტის სპეციალისტებთან, „ლელოს" რედაქციის შემოქმედებით მუშაკებთან; იმ დიდ სიყვარულს, რომელიც მან დაიმსახურა მკითხველში. ახლა, ამას რომ ვწერ, სპორტის თემაზე გურამ ფანჯიკიძის გამოქვეყნებული პუბლიკაციები და წიგნები მაქვს მხედველობაში. არადა, რამდენია!

პატრიოტიზმის გამოვლენასაც სარბიელი უნდა. ცხადია, საქმის უხმაუროდ კეთებითაც არ დაიჩრდილება პატრიოტიზმი, მაგრამ მწერალს სულ სხვა როლი დააკისრა განგებამ - მისი სიტყვა, გინდა არ გინდა, ხმაურობს, დიდ რეზონანსს იწვევს საზოგადოებაში. ფანჯიკიძის მწერლური შემოქმედება ხომ განგაშის ზარების შემოკვრის დარი იყო.

სპორტის თემატიკისთვის ვის არ შეუბედავს, მაგრამ ამ ჭიდილიდან ბატონი გურამივით გამარჯვებული არავინ გამოსულა.

ბევრმა, ალბათ, არც იცის, რომ დიდმა მწერალმა ქართულ სპორტულ სამყაროში ისეთი ნდობა დაიმსახურა, ამ სფეროს მესვეურებმა საქართველოს სპორტის პროპაგანდის ფედერაცია 1960-იანი წლების მეორე ნახევარში მას ჩააბარეს. თვალწინ მიდგას ის დღე. სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოვედით და მე, როგორც ხსენებული ფედერაციის ახალგაზრდა გენერალურ მდივანს, ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე კომიტეტის დერეფანში ერთმანეთთან დაშორებისას ბატონმა გურამმა მოკლედ მითხრა: „ალბათ, რამეს გავაკეთებთ!" პასუხისმგებლობას გრძნობდა - იტყოდა, შეასრულებდა.

ბევრ კარგ ღონისძიებას დაუდო სათავე - განსაკუთრებით სპორტის მასობრიობაში. მუდამ იმეორებდა, რომ ჩვენი ხალხის მხოლოდ ქართველი ათლეტების წარმატებებით ტკბობა არასაკმარისია, სხვადასხვა ასაკის ადამიანები თავადაც უნდა ეზიარონ სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის სიკეთესო. მაშინ იყო ჯერ თბილისში, შემდეგ სხვა ქალაქებში ცნობილ სპორტსმენთა სახელობის გამაჯანსაღებელ-სპორტული კლუბები რომ გაიხსნა უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებთან.

იმ პერიოდიდან განსაკუთრებით იმატა საზღვარგარეთ ასპარეზობებზე საქართველოდან სპორტულ ჟურნალისტთა მივლინებებმა, დამყარდა კონტაქტები უცხოელ კოლეგებთან. თავად ესწრებოდა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატებს და გვჩუქნიდა შედევრებს - „ფეხბურთის სამშობლოში", „ფორცა, იტალია", „მექსიკა ბურთით და უბურთოდ", „მარადონა რეი". გაიხსენეთ, როგორ გააფართოვა მკითხველის წარმოდგენა მისმა ბესტსელერებმა არა მხოლოდ ფეხბურთზე, არამედ იმ ქვეყანებსა და ხალხებზე, რომელიც ჩემპიონატებს მასპინძლობდნენ.

„ფეხბურთზე გიჟდებოდა", - ამას მისი უფროსი ქალიშვილი, ქალბატონი მაია იგონებს. „თავადაც რაჭაში, რაჭველებთან ერთად თამაშობდა ხოლმე ფეხბურთს მდინარის ნაპირზე", - ესეც მისი სიტყვებია.

იმის მიუხედავად, რომ ძალიან იყო დატვირთული, - რუსთაველისა თუ მარჯანიშვილის თეატრებისთვის საკუთარი ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლების სცენარსაც წერდა და რეჟისორებსაც გვერდით ედგა, სპორტთანაც ურთიერთობა არასდროს გაუწყვეტია. პირიქით, ამ ჯანსაღ და ენერგიულ სამყაროდან თავადაც დადებითად იმუხტებოდა სიტყვითაც და საქმითაც. სპორტს მისი ცხოვრების გულის გულში ჰქონდა მიჩენილი ადგილი.

დღეს გურამ ფანჯიკიძე 80 წლისა გახდებოდა. იგი მოულოდნელად 1997 წელს გარდაიცვალა.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

სუპერლიგის ვარსკვლავთა მატჩი

# ლამაზი შოუ ლეგიონერების გამარჯვებით

| | ადგილობრივები | ლეგიონერები |
|---|---|---|
| | 108 | 122 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ადგ | 23 | 21 | 37 | 27 |
| ლეგ | 34 | 37 | 26 | 25 |

| ადგილობრივები | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 19 | 3 | 9 | 1 | 3 | 0 | 4 |
| ტომარაძე | 9 | 2 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 |
| ბაბუნაშვილი | 17 | 2 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 |
| კვეტენაძე | 14 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 10 |
| ბოქოლიშვილი | 13 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 |
| კეშელავა | 15 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 7 |
| ფაცაცია | 16 | 6 | 2 | 2 | 3 | 0 | 9 |
| გ. ბარბაქაძე | 24 | 5 | 0 | 1 | 1 | 0 | 24 |
| ჩიკვილაძე | 21 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 16 |
| დვალიშვილი | 22 | 5 | 4 | 2 | 1 | 1 | 8 |
| მათიაშვილი | 20 | 8 | 4 | 1 | 1 | 1 | 18 |
| რამიშვილი | 11 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

| ლეგიონერები | წთ | მ | ა | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 24 | 2 | 9 | 4 | 3 | 0 | 16 |
| ვონი | 20 | 3 | 7 | 2 | 0 | 0 | 6 |
| რეიმონდი | 20 | 8 | 2 | 0 | 0 | 0 | 26 |
| ნელსონი | 25 | 11 | 3 | 2 | 0 | 0 | 14 |
| პრევიტი | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კარიმი | 17 | 1 | 8 | 3 | 2 | 0 | 12 |
| სტოიაკოვიჩი | 12 | 3 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 |
| კარტერი | 23 | 1 | 0 | 2 | 2 | 0 | 15 |
| ოლუიჩი | 15 | 9 | 4 | 0 | 0 | 0 | 10 |
| კლაიმენი | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 5 |
| მილოშევიჩი | 19 | 9 | 1 | 1 | 0 | 1 | 14 |





მერაბ ბოქოლიშვილი დეონტა ვონს გადაახტა

ქართული კალათბურთის რიგით მე-11 „ოლ სტარი" საინტერესო და სახალისო ეპიზოდებით დატვირთული გამოდგა. ქუთაისში, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლეში გამართულ „ყველა ვარსკვლავის მატჩს" ბევრი გულშემატკივარი დაესწრო, დარბაზი გადაჭედილი იყო. შეხვედრის სანახავად მისულთ არც უნანიათ, სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელებმა მართლაც ლამაზი სანახაობა შესთავაზეს და გულშემატკივრები დადებითი ემოციებით დამუხტეს.




## შოუმენი ქარიმი

ასეთ მატჩებში წინა პლანზე სანახაობრივი მხარე დგას, შედეგი კი მეორეხარისხოვანია და გუნდები ლაღი, გახსნილი თამაშით ცდილობენ წარმატების მიღწევას. ამ მხრივ, ქუთაისური „ოლ სტარიც" არ იყო გამონაკლისი. შეხვედრა ქართველი კალათბურთელების აქტიურობით დაიწყო. **ბექა ჩიკვილაძის, თეიმურაზ ბაბუნაშვილისა** და **ლევან ფაცაციას** შედეგიანი სროლების შედეგად „ადგილობრივები" 7:0 დაწინაურდნენ. **რიჩარდ მათიაშვილის** ზუსტი სამქულიანის შემდეგ კი ქართველები 8 ქულითაც დაწინაურდნენ (10:2), მაგრამ მათი წინსვლაც აქ დასრულდა, ლეგიონერებმა უპირატესობა მოიპოვეს და ანგარიშიც მალევე გაათანაბრეს - 13:13. პირველ მეოთხედში ადგილობრივებიდან საუკეთესო მათიაშვილი გახლდათ, ლეგიონერებიდან კი ყველაზე მეტი ქულა (8) **ბენ რეიმონდმა** მოაგროვა, თუმცა, ლამაზი და ეფექტური თამაშით „რუსთავისა" და „დინამოს" ლეგიონერები **ნეით ბოუი** და **ლამარ კარიმი** გამოირჩეოდნენ. განსაკუთრებით, შოუმენის ნიჭი ქარიმს აღმოაჩნდა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში „ცულლუტობდა" და გულშემატკივრების სიმპათიაც დაიმსახურა. ერთ ეპიზოდში ქარიმი მწვრთნელსა და მსაჯებს მოედანზეც შეეპარა და ლეგიონერები ცოტა ხნით ქართველებს ექვსი კაცით უტევდნენ...

მეორე მეოთხედში უცხოელებმა ბოლომდე გაილაღეს და დიდ შესვენებამდე წინ 25 ქულით (71:44) გავიდნენ. ლეგიონერებს განსაკუთრებით სამქულიანი სროლები წაუვიდათ, ნელსონი, ბოუი და რეიმონდი პერიმეტრიდან ბრწყინვალედ ისროდნენ, **მილოშევიჩი** და **ოლუიჩი** კი ფარქვეშ აქტიურობდნენ.

მესამე პერიოდში ქართველებმა თამაში გამოასწორეს, ბაბუნაშვილის, ჩიკვილაძისა და მათიაშვილის კარგი თამაშის წყალობით ანგარიში 8 ქულამდეც შეამცირეს, მაგრამ **გეორგიოს კეცელიდისის** მიერ დამოძღვრილმა ლეგიონერებმა ადგილობრივებს მეტის საშუალება არ მისცეს, შესანიშნავი შეტევების შემდეგ ისინი 16 ქულით დაწინაურდნენ (97:81). ამ პერიოდში გულშემატკივრებმა ორივე გუნდის კალათბურთელების შესრულებით არაერთი ეფექტური ჩატენვა იხილა, ქარიმი კი „ოინბაზობას" კვლავ განაგრძობდა, „დინამოს" ლეგიონერი ერთ-ერთი შეტევისას ბურთს დააჯდა და ასეთ მდგომარეობაში კარგა ხანს დარჩა, ამ ეპიზოდით კალათბურთელებმაც და მაყურებლებმაც ბევრი იხალისეს.

საინტერესო იყო ისიც, რომ მესამე პერიოდის ბოლოს გეორგიოს კეცელიდისმა მოედანზე მხოლოდ ტანდაბალი კალათბურთელები დატოვა, სამაგიეროდ დასკვნით მეოთხედში მხოლოდ მაღლები ათამაშა და ამან ქომაგებიც გვარიანად გაამხიარულა. ქართველები ანგარიშის შემცირებას ცდილობდნენ და ერთი ხანი ექვსი კალათბურთელითაც თამაშობდნენ, მაგრამ უცხოელები მათ ანგარიშის შემცირების საშუალებასაც არ აძლევდნენ. ქართველთაგან ყველაზე მეტს **გიგა კვეტენაძე** აქტიურობდა, რომელმაც რამდენიმე შეტევა ეფექტური ჩატენვით დააგვირგვინა, თუმცა ამან მისი გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. საბოლოოდ, შეხვედრა ლეგიონერების სასარგებლოდ - 122:108 დასრულდა.

მატჩის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე 26 ქულით ბენჟამინ რეიმონდი გახდა. 16 ქულა და 9 პასი მიითვალა ნეით ბოუიმ, მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი კი კაილ ნელსონმა შეასრულა (14 ქულა, 11 მოხსნა.)

ქართველთაგან ბომბარდირი 24 ქულით გიგი ბარბაქაძე გახდა, 18 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა რიჩარდ მათიაშვილმა. მოგეხსენებათ, ორივე მათგანი ქუთაისური გუნდის წევრია და ადგილობრივი გულშემატკივრებისგან განსაკუთრებული ქომაგობა სწორედ მათ მიმართ იგრძნობოდა. ბარბაქაძისა და მათიაშვილის გარდა ქართველთაგან ნაყოფიერად გაისარჯა ბექა ჩიკვილაძე, რომელმაც საკუთარ გუნდს 16 ქულა შესძინა.

## ბარბაქაძე სნაიპერი

საინტერესოდ წარიმართა სამქულიანების კონკურსი, რომელშიც ხუთმა „სნაიპერმა" მიიღო მონაწილეობა. პირველ ეტაპზე ყველას „ოლიმპის" წევრმა **კოკა ტომარაძემ** აჯობა, რომელმაც 18 ქულა დააგროვა. მასთან ერთად ფინალში 17-17 ქულით **ბუბა კვიმსაძე** და **გიგი ბარბაქაძე** გავიდნენ. ადგილობრივი ქომაგის ერთ-ერთმა ფავორიტმა კვიმსაძემ ფინალში მხოლოდ 14 ქულა დააგროვა, ბარბაქაძემ კი 19 ქულა ჩააგდო და სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული გახდა. რაც შეეხება ტომარაძეს, მან ფინალშიც 18 ქულა დააგროვა...

## ვონს გადაახტა, ჯინჭარაძეს ვერა

სამქულიანების კონკურსის გამარჯვებულ გიგი ბარბაქაძეს წინა „ოლ სტარებზე" ჩატენვების კონკურსიც აქვს მოგებული და ახლაც რომ მიეღო მონაწილეობა ალბათ, აქაც მთავარი ფავორიტი იქნებოდა. დასამახსოვრებელი და სახალისო ეპიზოდები აქაც მრავლად იყო. თუნდაც ის ეპიზოდი, როცა **აკაკი დვალიშვილის** ჩატენვის მცდელობა საკალათბურთო ფარის დაკეცვით დასრულდა და მის გასასწორებლად დარბაზში სპორტის სასახლის პერსონალის შეყვანა გახდა საჭირო... ფინალში ერთმანეთს სოხუმელი **კახა ჯინჭარაძე** და შსს-ელი **მერაბ ბოქოლიშვილი** დაუპირისპირდნენ. პირველი მცდელობები ორივე მათგანს გაუცუდდა და გამარჯვებული დამატებით დაპირისპირებაში გამოვლინდა. ჯინჭარაძემ იატაკიდან ასხლეტილი ბურთი ზედ ფართან დაიჭირა და კალათში მოხდენილად ჩატენა. ბოქოლიშვილმაც არანაკლებ ლამაზი ილეთი შეასრულა, იგი საკუთარ თანაგუნდელს დეონტა ვონს გადაახტა და ბურთი კალათში ასე მოათავსა. გულშემატკივრების ემოციებით თუ ვიმსჯელებთ ბოქოლიშვილის მიერ განხორციელებული ჩატენვა უფრო მოეწონათ, მაგრამ ჟიურის გადაწყვეტილებით გამარჯვებული კახა ჯინჭარაძე გახდა.

გიორგი ბარბაქაძე: *„ქუთაისმა უკვე მესამედ უმასპინძლა „ოლ სტარს" და სპორტის სასახლეში ამჯერადაც სრული ანშლაგი იყო. მიხარია, რომ სამქულიანების კონკურსში გავიმარჯვე და ჩემს კოლექციას კიდევ ერთი პრიზი შევმატე."*

ბენჟამინ რეიმონდი: *„დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თამაშის ორგანიზატორებს, შესანიშნავი სანახაობა გამოვიდა. მადლობა ჩემს თანაგუნდელებსაც, რომლებიც დროული პასებით მამარაგებდნენ და სწორედ მათი დახმარებით გავხდი MVP."*

კახა ჯინჭარაძე: *„დღეს „ოლ სტარში" დებიუტი მქონდა და მოგება ძალიან გამიხარდა. შესანიშნავი სანახაობა იყო და დარწმუნებული ვარ, მაყურებელმაც იხალისა."*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან
ავტორის ფოტოები



მარცხნიდან: სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული გიგი ბარბაქაძე, „ოლ სტარის" MVP ბენჟამინ რეიმონდი და ჩატენვებში გამარჯვებული კახა ჯინჭარაძე

ქართველი უკრაინაში

# Game Over, Goverla!

## ცინცაძე უკრაინულ ნახევარფინალში

ოვერტაიმის დასრულებას 21 წამი უკლდა, როცა **გიორგი ცინცაძე** საჯარიმოს ხაზზე დადგა და „ბუდიველნიკის" დაწინაურების შანსი მიეცა. გამოცდილმა ქართველმა ორივე ტყორცნა გამოიყენა და 99:97. საპასუხო შეტევაში „ჰოვერლას" ამერიკელმა ლეგიონერმა **ტიგსმა** ორქულიანი ააცილა, საკუთარი ფარიდან ბურთი ცინცაძემ მოხსნა და მასზე ჰოვერლელები უმალ დაჯარიმდნენ. 1+1 - „ბუმ" კიდევ ორი საჯარიმო შეასრულა ზუსტად (101:97), „ბუდიველნიკი" ნახევარფინალში გაიყვანა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს კი კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ გადამწყვეტ მომენტში მასზე თამამად დაყრდნობაც შეიძლება.



გიორგიმ შეხვედრა თავიდან ბოლომდე დამაჯერებლად ჩაატარა: 24 წუთში 18 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა: 7-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 4-დან 4 საჯარიმო. შეხვედრის ბომბარდირი „ბუდიველნიკის" ამერიკელი უკანახაზელი **მალკოლმ დილეინი** გახდა - 31 ქულა ჩააგდო.

მეოთხედფინალურ სერიაში 4:1 მოგების შემდეგ კიეველები ნახევარფინალის ბატალიებში ჩაერთვებიან. მათი მეტოქე „ჰალიჩინა" იქნება. სერიის პირველი შეხვედრა 26 აპრილს შედგება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი თურქეთში

# მარკოიშვილი გაზიანთეპშიც აენთო

თურქეთის ჩემპიონატის მეორე წრეში **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაი" ისე ამოიქოქა, რომ წარმოუდგენელია რეგულარულის დარჩენილ ბოლო სამ ტურში ვინმემ შეაჩეროს. ამჯერად „ლომებმა" სტუმრად „გაზიანთეპთან" 92:67 იმარჯვეს.

მარკოიშვილი ამჯერადაც ასცდა 10-ქულიან ნიშნულს. მის ანგარიშზე 14 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასია. მან მოედანზე 27 წუთი გაატარა, 2 სამქულიანი (7-დან), 3 ორიანი (5-დან) და 2 საჯარიმო (2-დან) ჩააგდო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# ლელო დიდ ფინალშია

**არმია-ლელო 16:24**

არმია (15-9) კობახიძე, ტუჩაშვილი, ჯიმშელაძე (გაგოშვილი 68), ჩხიკვაძე, გოგოლაშვილი (გაბროშვილი 61), ნინიძე, ჯინაშვილი. (1-8) კაკოვინი (ქორიძე 72), მამუკაშვილი (მეკოკიშვილი 65), გურგენიძე (დონაძე 54), სურგულაძე, აზალაძე, თხილაიშვილი (არჩუაშვილი 35), ბინაძე, ბუჯიაშვილი.

ლ: ნინიძე. 3ს,გ: კობახიძე.

ლელო (15-9) ყიასაშვილი, გეგენავა, გუგავა, ცერცვაძე, ნიჟარაძე, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) გოგიშვილი, ბელქანია, პატარაია, ჭეიშვილი (ნიკოლაიშვილი 68), ქოიავა, სურგულაძე, დარასელია (მძინარიშვილი 56), ჭყოიძე.

2ლ: ბელქანია, გეგენავა. 4ს,გ: ყიასაშვილი

სინბინი: კაჭარავა.

მსაჯი: მაიკლ ბლეკი (ირლანდია)

საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა და წლევანდელი რეგულარული გათამაშების გამარჯვებულმა „არმიამ" შესარჩევ ფინალში თბილისის „ლელოსთან" წააგო 16:24 და დიდ ფინალში გზა მეტოქეს „დაულოცა".

წინასწარმა ფინალმა, ცხადია, დიდი ინტერესი გამოიწვია. „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" მისულმა მაყურებელმა საქართველოს ორი უძლიერესი გუნდის ძალზედ საინტერესო, დაძაბული და, თამამად შეიძლება ითქვას, დრამატიზმით აღსავსე ბრძოლა იხილა.

გათამაშების ფორმატიდან გამომდინარე, მატჩი დიდად ფასობდა. გამარჯვებული პირდაპირ დიდ ფინალში თამაშის უფლებას დაიბევებდა. დამარცხებულს კი იქ მოსახვედრად კიდევ ერთი, არანაკლებ დაძაბული ბრძოლის გადატანა მოუწევდა. ცხადია, ჩემპიონობის შანსს მაინც ორივე გუნდი ინარჩუნებს, თუმცა წაგებულს საამისოდ მეტი ძალისხმევა დასჭირდება.

თამაშის წინ გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობას არავინ ცდილობდა, რადგან ორივე გუნდმა რეგულარულ გათამაშებაში თანაბრად სტაბილურად ითამაშა და ურთიერთშეხვედრებში თითო გამარჯვება მიითვალა. წესით, საწადელისთვის იმ გუნდს უნდა მიეღწია, რომელსაც მეტი ფიზიკური გამძლეობა, სათამაშო კლასი და ნაკლები შეცდომა ექნებოდა.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მორაგბეები, შეიძლება ითქვას, ზედმეტადაც კი ფრთხილობდნენ. „არმიამ" მეტად ეშმაკურ ხერხს მიმართა. მათი ფულბეკი **ბახვა კობახიძე**, როგორც კი ბურთს ხელში მოიგდებდა, მეტოქის 22-მეტრიან ზონასთან მაღალ აბრაგანს ურტყამდა, იმის იმედად, რომ ლელოელები შეცდომას დაუშვებდნენ, რაც მათ სალელოვე შეტევის განხორციელების საშუალებას მისცემდა.

თავდაპირველად „ლელოს" უკანახაზელები კობახიძის აბრაგანს წარმატებით უმკლავდებოდნენ, ბურთს ჰაერიდან სუფთად ხსნიდნენ და კონტრიერიშის წამოწყებასაც ახერხებდნენ. ასე გაგრძელდა მე-10 წუთამდე. ამ დროს, მორიგი აბრაგანისას, საკუთარ 22-მეტრიან ზონაში ლელოელთა ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** შეცდა. ბურთის დაჭერას რომ ცდილობდა, ფეხი დაუცურდა და ხელიდან გაუვარდა. არმიელებმა „ჩახურვაზე" შესანიშნავად ითამაშეს. ბურთი მათი კაპიტნის, შუამარბი **ირაკლი ჩხიკვაძის** ნადავლი გახდა. მას თვითონაც შეეძლო მეტოქის ლელოში შეღწევა, თუმცა ამჯობინა, იქვე მიმყოლი მგეზავისთვის, **მამუკა ნინიძესთვის** გადაეწოდებინა, რომელსაც ხელი ვერავინ შეუშალა. მან ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. კობახიძემ ხელსაყრელი პოზიციიდან იოლად გარდასახა - 7:0.

მატჩის მსვლელობის ხასიათიდან გამომდინარე, მოვლენების ასეთი განვითარება მოულოდნელი იყო. „ლელომ" თამაშის ტემპს უმატა და მომდევნო ოცი წუთის განმავლობაში სრულ სათამაშო უპირატესობას ფლობდა. მე-15 წუთზე კი მათ ლელოს გატანის შესანიშნავი შანსი გაუშვეს ხელიდან. „არმიამ" მოედნის ცენტრში შეცდომა დაუშვა, ყიასაშვილმა ჩათვლის მოედნისკენ ბურთი ფეხით შეიცურა, თავადვე მიუსწრო, თუმცა ზედ ლელოს ხაზთან შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან ლელოელებმა ბურთის სწრაფად გამოტანა ვერ მოახერხეს. არმიელებმა დაცვის გადაწყობა მოასწრეს, თუმცა მეტოქის სახიფათო იერიშის შეჩერება მხოლოდ წესის დარღვევით შეძლეს.

„ლელოს" გადაწყვეტილების მიღების ორი ოპტიმალური ვარიანტი ჰქონდა. საჯარიმო ან კარში უნდა დაერტყა, ან აუტში გადაეტანა და ხუთმეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლით შეეტია. ლელოელებმა მესამე აირჩიეს. საჯარიმო იქვე გაათამაშეს და მორკინალების მოკლე დარტყმებით სცადეს „არმიას" ჩათვლის მოედანში შეღწევა. არ გამოუვიდათ.

ამ ეპიზოდიდან ხუთ წუთში „ლელომ" კიდევ ერთხელ გამოიმუშავა საჯარიმო. ამჯერად, ყიასაშვილმა კარში დაარტყა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 3:7. ლელოელების აქტიურობა არც ამის შემდეგ შენელებულა. ყიასაშვილმა ხუთწუთიანი შუალედებით კიდევ ორჯერ დაარტყა საჯარიმო, რომელთაგან მხოლოდ ერთი გაიტანა - 6:7.


ირაკლი გეგენავას სალელოვე შეტევა

პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი „არმიამ" მეტოქეზე უკეთ ჩაატარა და ახლა უკვე მათ დამრტყმელს მიეცა ორჯერ მეტოქის კარის დალაშქვრის საშუალება, რაც კობახიძემ კარგად გამოიყენა - 13:6. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ, საწყის 15 წუთში თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა. დროის ამ მონაკვეთში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს - 16:9. დარჩენილ 25 წუთში „არმიამ" თამაშის დალაგება ვერაფრით შეძლო და, შესაბამისად, მონაგარის გაზრდაც ვერ მოახერხა.

„ლელომ" პირიქით, თავისი თამაში იპოვა. რაშიც დიდი როლი მგეზავის, **ლაშა ხმალაძის** გააზრებულმა, ძალზედ კარგმა გარჯამ შეასრულა. მან მორკინალების ძალისხმევა „დააფასა" და უკანა ხაზის მაქსიმალურად ნაყოფიერად ათამაშება შეძლო. ლელომ პირველად ჩათვლის მოედანში მატჩის 63-ე წუთზე შეაღწია. შეტევა მოედნის ცენტრში ხმალაძემ წამოიწყო, მან ხაზი გაჭრა და მეტოქის ნახევარზე გადასულმა ბურთი ფეხით მარჯვენა ფრთაზე ოსტატურად შეაცურა. ლელოსთან ახლოს ყველას არმიელთა ფულბეკმა კობახიძემ დაასწრო და საფეხბურთო ილეთით, ვარდნაში ბურთი აუტში მოიგერია.

ხუთმეტრიან დერეფანში „ლელომ" ბურთი სუფთად მოიგო, მოლი შეკრა, მძლავრი ბიძგით მეტოქის დაცვას უკან დახევა აიძულა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ბურთით ბოლოს შერკინების კვაჭი **რეზო ბელქანია** იყო, ყიასაშვილმა ვერ გარდასახა - 14:16.

ოთხ წუთში „ლელო" თამაშში პირველად დაწინაურდა. შეტევა მარჯვენა ფრთაზე ისევ ხმალაძემ წამოიწყო. იერიშის რამდენიმე ფაზის შემდეგ, არმიელებმა რაკში თამაშისას ისევ წესი დაარღვიეს და ყიასაშვილმა საჯარიმოთი ლელოელები ერთი ქულით დააწინაურა - 17:16.

თამაშის დასრულებამდე 13 წუთი რჩებოდა. „არმიას" საკმარისი დრო ჰქონდა საიმისოდ, რომ მინიმალური სხვაობით ჩამორჩენა აღმოეფხვრა. თუმცა „ლელომ" ამის საშუალება არაფრით მისცა. მეტიც, **ლევან მაისაშვილის** სამწყსომ ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა და თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე, შესანიშნავი კომბინაციის გათამაშების შემდეგ, ლამაზი ლელო გაიტანა.

შერკინებიდან, რომელიც მოედნის ცენტრში დაინიშნა, ბურთი **გიორგი ჭყოიძემ** აიტაცა, თუმცა ის მალევე შებოჭეს. ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** რაკიდან ბურთი მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე ხმალაძეს გაუტანა, ამან ფეხით მეტოქის ზურგს უკან მოკლე აბრაგანი გადაკიდა. ბურთს შუამარბი **თორნიკე ცერცვაძე** დაეუფლა, რომელმაც ბოჭვისას კიდევ უფრო მარჯვნივ, მეორე შუამარბ **ლექსო გუგავას** გადააწოდა, მან ერთი შეხებით კიდესკენ შეტევაში გარემარბი **ირაკლი გეგენავა** ჩართო, რომელმაც ლელომდე ორმოცი მეტრი ირბინა. გზად სამი მეტოქე ისე ჩამოიშორა, რომ მათ თითის დაკარებაც კი ვერ მოახერხეს. ყიასაშვილმა ამჯერად გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 24:16.

ამრიგად, „ლელო" წინასწარ ფინალში გამარჯვებულს დაელოდება და დიდ ფინალში ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

# აია ფინალისკენ მიიწევს

**აია-არმაზი 32:12**

აია (15-9) ძნელაძე, გოშაძე, კუხიანიძე, ხამაშურიძე, ფრუიძე (კვერნაძე 59), სინაურიძე (ჯინჭველაშვილი 60), როხვაძე (თუთბერიძე 64); (1-8) რატიაშვილი, თხელიძე (ლომთაძე 72), ლომიძე (მატკავა 49), შალამბერიძე, ძაგნიძე (ჩიტეიშვილი 41), რევიშვილი, ყურაშვილი, შაშიაშვილი (დგებუაძე 55)

5ლ: ხამაშურიძე, ყურაშვილი, ლომიძე, გოშაძე (2). 2გ,ს: სინაურიძე

არაზი (15-9) ნიკოლავა, მაჩხანელი (ბაქანიძე 48), მაისურაძე (სირაძე 60), ჩხაიძე (პინაიშვილი 54), ხუციშვილი, კიკნაძე, ბრონელი (მჟავანაძე 61); (1-8) ბუკია, სოსელია, ჯიბლაძე (ესართია 37), ჯიშკარიანი (გიგაური 41), ჭელიძე (ლეკბორაშვილი 60), კანდელაკი, მინაშვილი, თაგაური

2ლ: სოსელია, ხუციშვილი. გ: ნიკოლავა

მსაჯი: რიჩარდ კელი (ახალი ზელანდია)


„აია"-„არმაზის" დერეფანი

ნახევარფინალში ქუთაისის „აიამ" თბილისის „არმაზს" უმასპინძლა. რეგულარულ გათამაშებაში ამ გუნდების ორივე დაპირისპირებაში ქუთათურებმა მოიგეს (28:20, 19:7) და ამ მხრივ მეტოქესთან შედარებით გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ, როცა გამარჯვებულის ბედს ერთი კონკრეტული შეხვედრა წყვეტს, აქ დამატებით ფაქტორები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ადგილობრივი გულშემატკივრები საინტერესო მატჩის მოლოდინში იყვნენ და იმედოვნებდნენ, რომ „აია" „არმაზს" გადამწყვეტ შეხვედრაშიც აჯობებდა. მათი იმედი გამართლდა, **კობა გიორგაძისა** და **ბესიკ ხამაშურიძის** მიერ დამოძღვრილმა ქუთაისურმა გუნდმა მეტოქე ლამაზ სტილში დაამარცხა - 32:12 და წინასწარ ფინალში „არმიას" დაუპირისპირდებიან.

მასპინძლებმა მაღალ დონეზე განსაკუთრებით პირველ ტაიმში ითამაშეს, ამაში ქუთაისელებს სწრაფი ლელოც დაეხმარათ. მატჩი ახალი დაწყებული იყო, როცა სტუმრები საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდნენ, რიონისპირელებმა საჯარიმო სწრაფად გაათამაშეს და სანამ თბილისელები გადაწყობას მოასწრებდნენ, მათ **ბესიკ ხამაშურიძე** დაუსხლტათ და ბურთი კარის ძელებს შორის დაამიწა. ქუთაისელთა მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან შანსი ხელიდან არ გაუშვა და გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 7:0.

მალე **დავით ვართანიანის** შეგირდებს საჯარიმოთი ანგარიშის შემცირების შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ **დავით კიკნაძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან არაზუსტად დაარტყა. მე-13 წუთზე ქუთაისელებმა მძლავრად შეუტიეს, მასპინძელთა მლეტელი **ბექა ყურაშვილი** მოლს მოულოდნელად მოწყდა და ჩათვლის მოედანზე შეაღწია. სინაურიძემ ამჯერად გარდასახვა ვერ გამოიყენა - 12:0.

„აია" კვლავ მწვავედ უტევდა, ქუთაისელები ხელდახელაც კარგად ბურთაობდნენ და მეტოქეს შერკინებაშიც ჯაბნიდნენ. ხუთიოდე წუთში „აიას" ძალისმიერი შეტევა შერკინების მარცხენა ბურჯმა **თორნიკე ლომიძემ** მორიგი ლელოთი დაასრულა, სინაურიძემ გარდასახა - 19:0.

სტუმრებმა მალე ერთი ლელოს გაქვითვა მოახერხეს, თავი „არმაზის" ლიდერმა და შერკინების კვაჭმა **გიორგი სოსელიამ** გამოიჩინა, კიკნაძემ გარდასახვა ვერ გამოიყენა - 5:19. სტუმართა მცირეხნიანი გაელვების შემდეგ უპირატესობა ისევ ქუთაისელთა ხელში გადავიდა, ჯერ სინაურიძემ ზუსტი საჯარიმოთი დასაჯა მეტოქე. მერე კი, ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა კიდევ ერთი ლელო გაიტანეს. ხამაშურიძემ ბურთი ფეხით თბილისელთა ჩათვლის მოედნისკენ გადაკიდა, რომელსაც **ბაკურ გოშაძემ** ვერ მიუსწრო და ხიფათიც აქ უნდა ამოწურულიყო, მაგრამ არმაზელებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, საკუთარ 22-მტრიანი მოედნის ახლოს ბურთი უხეიროდ გაითამაშეს და ის პირდაპირ ქუთაისელთა ახალგაზრდა შუამარბს, **გიგლა კუხიანიძეს** ჩააბარეს, რომელმაც ბურთიანად ირბინა, მეტოქეს ხაზი გაუჭრა და ბოლო მომენტში გოშაძეს გადააწოდა. ამან შეტევა ლელოთი დააგვირგვინა. ტაიმიც მალე მორჩა - 27:5.

შესვენების შემდეგ „არმაზის" მწვრთნელმა **დავით ვართანიანმა** ერთბაშად რამდენიმე შეცვლა განახორციელა და თბილისელებიც გააქტიურდნენ. პირველი 20 წუთის განმავლობაში მოედანზე ისინი დომინირებდნენ. რამდენჯერმე საჯარიმო კარში არ დაარტყეს და ბურთი აუტში გადაიტანეს, რომ იქედან სალელოვე შეტევა განეხორციელებინათ. მაგრამ აქედან არაფერი გამოუვიდათ, ქუთათურები უშეცდომოდ იცავდნენ თავს.

61-ე წუთზე მასპინძლებმა „არმაზი" კონტრშეტევაზე დაიჭირეს, ხამაშურიძემ ძნელაძე ჩართო შეტევაში, ამან მეტოქეს ხაზი გაუჭრა და გოშაძეს გადააწოდა, რომელმაც დუბლი შეასრულა. შეცვლაზე შესულმა **რეზო ჯინჭველაშვილმა** გარდასახვა ვერ გამოიყენა. თამაშის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. „არმაზი" სასწაულის ჩამდენს არ ჰგავდა, მაგრამ მათი მონდომება მაინც დასაფასებელია. არმაზელებმა აქტიურად შეუტიეს, მატჩის ბოლო წუთზე მარცხენა ფლანგელმა **ალეკო ხუციშვილმა** მასპინძლებს ხაზი გაუჭრა და ლელო გაიტანა, რომელიც ფულბეკმა **საბა ნიკოლავამ** გარდასახა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 12:32.

**წინასწარი ფინალი**

**27 აპრილი**

**არმია-აია**

**დიდი ფინალი**

**25 მაისი**

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან
ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი


ალვარესის შეტევა

# საულმა ტიტულები გააერთიანა

გასულ უქმეებზე, პროფესიულ კრივში ორი გამორჩეული ბრძოლა შედგა. მათგან ერთ-ერთი - ტიტულების გამაერთიანებელი იყო. სან ანტონიოში, 22 წლის მექსიკელი **საულ ალვარესი** ხვდებოდა 27 წლის ამერიკელ **ოსტინ ტრაუტს**. ალვარესი პირველ საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონი იყო, ტრაუტი - იმავე კატეგორიაში WBA-ის საჩემპიონო ქამარს იცავდა.

ტიტულების გაერთიანება ალვარესმა შეძლო. მართალია, ბრძოლის პირველი ნახევარი ტრაუტის მცირედი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მეშვიდე რაუნდში მექსიკელის ძლიერი დარტყმის შემდეგ, ამერიკელი ნოკდაუნში აღმოჩნდა და იქედან მოყოლებული, WBC-ის ჩემპიონი ბოლომდე აკონტროლებდა ბრძოლის მსვლელობას. შეხვედრის შემდეგ, სამივე მსაჯმა უპირატესობა ალვარესს მიანიჭა: 118:109, 116:111, 115:112.

■ ■ ■

ასევე ამერიკაში გაიმართა ერთი ბრძოლა სუპერმძიმე წონით კატეგორიაში. 24 წლის ბრიტანელმა **ტაისონ ფიურიმ** მეშვიდე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა პირველ მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 36 წლის ამერიკელი **სტივ კანინგემი**.

არადა, ბრძოლა კანინგემის უპირატესობით დაიწყო, რომელმაც მეორე რაუნდში ეფექტური დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე. ბრიტანელმა წამოდგომა მოახერხა და რამდენჯერმე კლინჩში შესვლით მოახერხა გონს მოსვლა. ბრძოლის მსვლელობისას, ფიურიმ კიდევ რამდენიმე მძიმე დარტყმა გაატარა და უჭირდა მწყობრში ჩადგომა. შეხვედრაში გარდატეხა მეშვიდე რაუნდში მოხდა. ფიურის ბრწყინვალე დარტყმა გამოუვიდა და ამერიკელი რინგზე დაეცა, საიდანაც წამოდგომა ვერ მოახერხა. ბრიტანელმა მოიგო, არადა, იმ მომენტისთვის მსაჯების ჩანაწერებით კანინგემი ლიდერობდა: 55:57, 55:57, 56:56.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**19 აპრილი**

**ბოსტონი-პიტსბურგი 2:3**

**1:0, 0:1, 1:2**

**გოლები:** 1:0 მარჩანდი-17 (ხარა-11, რასკი-1), 1:1 ი. იოკინენი-10 (ნისკანენი-10, გლასი-1), 1:2 იგინლა-12 (ი. იოკინენი-8, ბენეტი-11), 1:3 ლეტანგი-5 (ი. იოკინენი-9, კუნიტცი-28), 2:3 სეგუინი-16 (ხარა-12).

**ბაფალო-რეინჯერსი 4:8**

**0:3, 3:4, 1:1**

**გოლები:** 0:1 ჰაგელინი-10 (სტეპანი-22, ლუნდკვისტი-1), 0:2 ბ. რიჩარდსი-8 (ცუკარელო-3), 0:3 ქლოუ-3, 0:4 სტრალმანი-4 (ქლოუ-15, რიკ ნეში-21), 0:5 ბ. რიჩარდსი-9 (პიატი-4, ჯ. მური-4), 0:6 რიკ ნეში-19 (სტეპანი-23, ემინგერი-3), 1:6 ჰოჯსონი-15 (ერჰოფი-16, ენისი-19), 2:6 გებრე-5, 2:7 კელეჰანი-12, 3:7 სტეფორდი-6 (ფოლინო-13), 3:8 ბ. რიჩარდსი-10 (მაკდონაჰი-13), 4:8 პისიკი-1 (ერჰოფი-17, ენისი-20).

**სტ ლუისი-დალასი 2:1**

**1:0, 1:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 კ. სტიუარტი-17 (პიეტრანჯელო-18, სტინი-19), 2:0 რივსი-2 (პორტერი-5), 2:1 რუსელი-6 (რობიდასი-13, როუმი-5).

**ჩიკაგო-ნეშვილი 5:4 (ო)**

**2:2, 1:1, 1:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 კიტი-3 (სტალბერგი-14, ტეივზი-24), 1:1 ჰალიშჩუკი-3 (კლაინი-10, ბარტლი-6), 1:2 ჰენდერსონი-1 (მიულერი-2, ბატლერი-6), 2:2 საადი-10 (ტეივზი-25, კიტი-22), 3:2 პ. კეინი-21 (ბიკელი-14), 3:3 ჰალიშჩუკი-4 (ბარტლი-7), 4:3 ჰანძუში-2, 4:4 ბატლერი-4 (ჰალიშჩუკი-6, შ. უებერი-16), 5:4 მარიან ჰოსა-17 (პ. კეინი-28, კიტი-23).

**კოლორადო-ედმონტონი 1:4**

**1:2, 0:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 ტ. ჰოლი-14 (პეტრი-8, შულცი-16), 1:1 პარენტო-17 (ო'ბრაიენი-3, ჯ. მიტჩელი-9), 1:2 შულცი-7 (ებერლე-17, პააიარვი-4), 1:3 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-4 (ებერლე-18, შულცი-7), 1:4 ებერლე-13 (ფისტრიჩი-3, პააიარვი-5).

**კალგარი-ანაჰაიმი 3:1**

**0:0, 1:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 ჰორაკი-2 (სტემპნიაკი-21, კამალერი-17), 2:0 მაკგრეტანი-3 (კამალერი-18, კარსონი-1), 2:1 პერი-14 (პალმიერი-10, ფაულერი-8), 3:1 ჩერვენკა-7 (ბაერტჩი-4).

**20 აპრილი**

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 6:2**

**1:2, 4:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 გოკი-7 (ფლიშმანი-22, ბ. კემპბელი-18), 0:2 ბ. კემპბელი-8 (ვივერი-7, მატიასი-7), 1:2 ელიაში-12 (ჰაროლდი-2, ბროდო-2), 2:2 ელიაში-13 (კლარკსონი-9, ზეიჯაკი-11), 3:2 კლარკსონი-14 (ზეიჯაკი-12, პონიკაროვსკი-5), 4:2 რ. კარტერი-6 (ბერნიე-7, ს. ჯონტა-10), 5:2 ს. ჯონტა-4 (რ. კარტერი-9), 6:2 ზუბრუსი-2 (ლარსონი-6, გრინი-11).

**ვინიპეგი-აილენდერსი 4:5 (ბ)**

**1:2, 2:1, 1:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 ნილსენი-6 (ოკსოპო-17, ბეილი-8), 1:1 ბოგოსიანი-5 (ველერი-22, ლედი-27), 1:2 ბეილი-10 (ოკსოპო-18, ნილსენი-22), 1:3 მ. მარტინი-4 (ჟეონსუუ-2, ვიშნოვსკი-10), 2:3 ვულვუდი-5 (ე. კეინი-16, ჯ. რაიტი-2), 3:3 ვულვუდი-6 (კლიტსომი-11), 3:4 გრაბნერი-16 (კ. მაკდონალდი-10, ვიშნოვსკი-11), 4:4 ლილტი-7 (ლედი-28, კლიტსომი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ბოიესი (აილენდერსი), ლედი (ვინიპეგი), ტავარესი (აილენდერსი).

**მონრეალი-ვაშინგტონი 1:5**

**0:2, 0:2, 1:1**

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-29 (ბექსტრიომი-39), 0:2 ბროუერი-18 (ელზნერი-4, რიბეირო-32), 0:3 ბროუერი-19 (მ. იოჰანსონი-14, რიბეირო-33), 0:4 ბექსტრიომი-7 (ოვეჩკინი-21, მაიკ გრინი-10), 0:5 ოვეჩკინი-30 (მაიკ გრინი-11, რიბეირო-34), 1:5 პასიორეტი-13 (პლეკანეცი-19, გორჯესი-6).

**ოტავა-ტორონტო 1:4**

**0:0, 1:2, 0:2**

**გოლები:** 0:1 ვან რიმსდიკი-17 (ფრენსონი-22, კესელი-31), 0:2 ვან რიმსდიკი-18 (კესელი-32, ფრენსონი-23), 1:2 სილვერბერგი-9 (კონაჩერი-17), 1:3 კადრი-18 (კულემინი-16), 1:4 ლუპული-10.

**კაროლინა-ფილადელფია 3:5**

**1:1, 1:2, 1:2**

**გოლები:** 0:1 ვორაჩეკი-20 (ჟირუ-32), 1:1 სკინერი-13, 1:2 სიმონდსი-13 (რიდი-12), 2:2 ფოლკი-5 (უოლასი-1, უესტგარტი-1), 2:3 სიმონდსი-14 (კუტურიე-11, რიდი-13), 2:4 სიმონდსი-15 (ბრეიდენ შენი-17), 3:4 ე. სტაალი-18 (ტლუსტი-13, სიომინი-29), 3:5 რიდი-10 (სიმონდსი-16).

**ჩიკაგო-ფინიქსი 2:3 (ბ)**

**1:2, 1:0, 0:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 სიბრუკი-7 (ლედი-11, პ. კეინი-29), 1:1 კლესლა-2 (სტოუნი-3), 1:2 ვრბატა-9 (კლინკხამერი-6), 2:2 სიბრუკი-8 (პ. კეინი-30, ლედი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ბოდკერი (ფინიქსი), პ. კეინი (ჩიკაგო), შლემკო (ფინიქსი).

**ვანკუვერი-დეტროიტი 2:1 (ბ)**

**1:1, 0:0, 0:0, 0:0**

1:0 ედლერი-8 (ჰამჰუისი-19, დ. როი-21), 1:1 ემერტონი-5 (ბრუნერი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** ლაპიერი (ვანკუვერი).

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# ბოსტონმა ანტირეკორდით დაიწყო

NBA-ის პლეი ოფი „ნიუ იორკისა" და „ბოსტონის" მატჩით გაიხსნა. პირველ შეხვედრაში გუნდებმა ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარეს. პირველში დაცვა თითქმის არ ყოფილა და ჯამში 102 ქულა დაფიქსირდა, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში სწორედ თავდაცვას მიექცა მეტი ყურადღება. საკამარისია აღინიშნოს, რომ მესამე და მეოთხე მეოთხედში „ნიქსმა" იმაზე ნაკლები ქულა გაუშვა, ვიდრე სასტარტო ხუთეულში - 25 ქულა 26-ის წინააღმდეგ.

„სელტიქსის" ასეთი საშინელი შედეგიანობა მარტივად აიხსნება - მასპინძლებმა სამწამიანს არ მიაკარეს სტუმრები და აიძულეს ისინი საშუალო და შორის მანძილებიდან ესროლათ. ეს საქმე კი „კელტებს" იმ დღეს არ გამოსდიოდათ: **პირსმა** და **ტერიმ** ერთად 11-დან 1 სამქულიანი ჩააგდეს, **გარნეტმა** კი 21 საშუალო ტყორცნიდან მხოლოდ ოთხი მოათავსა კალათში. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ სტუმრებს მთელი მეოთხე მეოთხედის განმავლობაში ფარქვეშიდან ერთხელაც არ უსვრიათ.

შესაბამისად, „ბოსტონმა" პლეი ოფის ანტირეკორდი დაამყარა - მან მეოთხე მეოთხედში მხოლოდ რვა ქულა ჩააგდო. წინა „რეკორდი" „მილუოკის" ეკუთვნოდა, რომელმაც 1983 წელს, ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩის მეოთხე მეოთხედში ცხრა ქულა მიითვალა.

ასევე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ „ბოსტონის" 20 შეცდომა, მათ შორის შვიდი - ბოლო 330 წამში, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო შეხვედრის გადარჩენა.

**ნიუ იორკი-ბოსტონი 85:78**

**26:29, 23:24, 18:17, 18:8**

**ნ-ი:** ენტონი (36+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), სმიტი (15+5 მოხსნა), ფელტონი (13+6 პასი), მარტინი (10+9 მოხსნა).

**ბ:** გრინი (26+7 მოხსნა+3 დაფარება), პირსი (21+7 პასი+5 მოხსნა), ბრედლი (15+4 პასი+3 ჩაჭრა).

**სერია:** 1-0

■ ■ ■

„ნეტსმა" წარმატებით აღნიშნა 2007 წლის შემდეგ პლეი ოფში დაბრუნება. „ბრუკლინმა" თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი და პირველივე ტაიმში გადაწყვიტა „ჩიკაგოსთან" მატჩის ბედი. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბრუკლინელთა თამაში მეორე მეოთხედში, როცა მათ 20-დან 16 სროლა მოათავსეს კალათში. ალბათ, დიდი შესვენებისთვის 25-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ, „ხარებს" მეორე ტაიმში მოედანზე დაბრუნების დიდი სურვილი აღარ უნდა ჰქონოდათ.

გასაკვირია, რომ „ჩიკაგოს" ნაქებმა დაცვამ მეტოქეს 56 ქულა დააგროვებინა სამწამიანი ზონიდან. შეიძლება ეს იმითაც არის განპირობებული, რომ **ჟოაკიმ ნოამ** მოედანზე მხოლოდ 13 წუთი დაყო.

**ბრუკლინი-ჩიკაგო 106:89**

**25:14, 35:21, 29:27, 17:27**

**ბ:** უილიამსი (22+7 პასი+3 ჩაჭრა), ლოპესი (21+5 მოხსნა+3 დაფარება), ჯონსონი (16+4 პასი), უოლასი (14+6 მოხსნა), უოტსონი (14), ბლეტჩი (12), ევანსი (5+13 მოხსნა).

**ჩ:** ბუზერი (25+8 მოხსნა+4 პასი), რობინსონი (17), ბატლერი (13), ბელინელი (13).

**სერია:** 1-0


კელტებმა ენტონი ვერ გააჩერეს

# ვეტერანის მოგებული

გამოცდილებამ გადაწყვიტა „დენვერისა" და „გოლდენ სტეიტის" მატჩის ბედი. როცა მატჩის დასრულებამდე 14 წამი რჩებოდა, „ნაგეტსის" დამრიგებელ **ჯორჯ კარლს** ეჭვი არ გასჩენია იმაში, თუ ვისთვის უნდა მიენდო გადამწყვეტი ტყორცნა. ეს უნდა ყოფილიყო გუნდის ყველაზე გამოცდილი კალათბურთელი **ანდრე მილერი**, რომელმაც კვლავ არ დაალალატა თავისი გუნდი.

მილერს გადამწყვეტ მომენტში ახალბედა **დრეიმონდ გრინი** მეურვეობდა, რომელმაც, უბრალოდ, სისწრაფეში წააგო ვეტერანთან. გრინი კი ვერ დააზღვია **ენდრიუ ბოგუტმა**, რომელიც, თავის მდიდარ კარიერაში მხოლოდ მეექვსე მატჩს ატარებდა პლეი ოფში. ასე რომ, მილერმა ფარქვეშიდან სირენამდე ერთი წამით ადრე ჩააგდო და „გოლდენ სტეიტს" თითქმის არ დაუტოვა დრო თამაშის გადასარჩენად - **სტივენ კარიმ** საკუთარი ნახევრიდან ისროლა სამქულიანი და ფარსაც ვერ გაარტყა ბურთი.

მილერი გახდა NBA-ის მესამე ასაკოვანი კალათბურთელი ბოლო 15 წლის განმავლობაში, ვინც პლეი ოფის მატჩში, ბოლო 10 წამის განმავლობაში გამარჯვების ტყორცნა მოათავსა კალათში. ბოლოს ეს **გერი პეიტონმა** და **ჯონ სტოქტონმა** გააკეთეს. ანდრე მხოლოდ ამით არ ყოფილა გამორჩეული. მან ფაქტობრივად მარტომ მოუგო „უორიორზს", როცა თავისი 28 ქულიდან 18 ბოლო მეოთხედში მოიპოვა.

ამ ნაგების გარდა, „გოლდენ სტეიტისთვის" ცუდი ის არის, რომ ტრავმა მიიღო ფორვარდმა **დევიდ ლიმ**, რომელიც „მეომრებს" პლეი ოფში ველარ დაეხმარება.

**დენვერი-გოლდენ სტეიტი 97:95**

**28:25, 16:23, 27:16, 26:31**

**დ:** მილერი (28+5 პასი), ლოუსონი (12+5 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (11+13 მოხსნა), ფურნიე (11), ბრიუერი (10), იგუოდალა (8+10 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა).

**გ-ს:** ტომპსონი (22+3 დაფარება), კარი (19+9 პასი), ლენდრი (14+5 მოხსნა), ჯეკი (10+10 პასი+8 პასი), ლი (10+14 მოხსნა), ბოგუტი (9+14 მოხსნა+4 დაფარება+3 პასი).

**სერია:** 1-0

■ ■ ■

„მემფისმა" შედეგიანი მატჩი ჩაატარა სტუმრად „კლიპერსის" წინააღმდეგ, მაგრამ სტუმრების მონდომება წყალში ჩაყარა მათთვის არადამახასიათებელმა შეცდომებმა.

„გრიზლისი" რეგულარულ ჩემპიონატში თავის მეტოქეებს მხოლოდ 39.1 მოხსნას აღებინებდა, მაგრამ ამჯერად, კალიფორნიელებმა 47-ჯერ მოხსნეს ბურთი, რაც ორჯერ მეტი იყო სტუმრების მონაგარზე. „მემფისის" 23 მოხსნას ჰქონდა თავისი მიზეზი - ზედმეტი პერსონალურების გამო, მხოლოდ 25 წუთი გაატარა მოედანზე **ზაკ რენდოლფმა**. ამის გამო, კალიფორნიელები მეტოქის ფარზე 14 მოხსნას დაეუფლნენ და „მეორე შანსით" 23 ქულა მოიხვეჭეს.

მიუხედავად ამისა, მეოთხე მეოთხედის სტარტზე „გრიზლისმა" მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ იქვე მასპინძლების რეზერვისტებმა შეძლეს გადამწყვეტი გაქცევის მოწყობა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **ბლედსოუმ**, რომელმაც შვიდიდან შვიდი ბურთი მოათავსა კალათში.

**კლიპერსი-მემფისი 112:91**

**29:21, 28:30, 18:18, 37:22**

**კ:** პოლი (23+7 პასი), ბლედსოუ (15+6 მოხსნა+4 პასი), ბილაპსი (14), ბატლერი (13+7 მოხსნა), კროუფორდი (13), გრიფინი (10+5 მოხსნა+3 პასი), ბარნსი (10).

**მ:** ბეილესი (19+3 პასი), გასოლი (16+7 პასი), რენდოლფი (13), კონლი (12+5 პასი).

**სერია:** 1-0

# ჯექსონი კლივლენდს ელაპარაკება?

## დერიკ როუზს პლეი ოფში ვერ ვნახავთ


ფილ ჯექსონი

NBA-ის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** მზად არის განიხილოს „კლივლენდ კავალიერზის" წინადადება, - ამტკიცებს FOX Sports ლეგენდარულ სპეციალისტთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით.

ადრე გახდა ცნობილი, რომ 67 წლის ჯექსონმა მომავალი სეზონისთვის ლიგაში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ ფილმა 2011 წელს დატოვა „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი.

*„ეჭვგარეშეა, ის განიხილავს „კავალიერზის" წინადადებას"*, - განაცხადა წყარომ.

უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ „კლივლენდმა" რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაითხოვა მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ბაირონ სკოტი**, რომელმაც გუნდთან სამი წელი იმუშავა.

■ ■ ■

„ჩიკაგო ბულზის" მთავარმა მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** განაცხადა, რომ გამთამაშებელი **დერიკ როუზი**, სავარაუდოდ, არ დაბრუნდება „ხარების" შემადგენლობაში 2012-13 წლების სეზონში.

*„დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ როუზი გამოტოვებს პლეი ოფს. ჩვენ არ ვიცით, რას იტყვის ის ორი კვირის შემდეგ. დაბრუნების შანსი ყოველთვის არის"*, - განაცხადა ტიბოდომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. მონაკოს მასტერსი



ახალი და ძველი ჩემპიონები

# მონაკოში გრუნტის მეფე დაამხეს

## ნოვაკ ჯოკოვიჩმა მონტე კარლოში რევოლუცია მოახდინა

მოულოდნელად დასრულდა მონაკოს მასტერსი - **რაფაელ ნადალმა** ვერ შეძლო ამ ტურნირის ზედიზედ მეცხრედ მოგება, რადგან ფინალში ორი სეტი დაუთმო **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. თუმცა, სანამ ფინალურ მატჩზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით ნახევარფინალების შესახებ.

ტურნირის მთავარი ფავორიტი რაფაელ ნადალი **გრიგორ დიმიტროვთან** უმძიმესი მეოთხედფინალის შემდეგ, ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** ხვდებოდა. პირველ სეტში პირველი ბრეიკ-პოინტები ფრანგმა ჩოგბურთელმა მოიპოვა - მეოთხე გეიმში მას სამი შანსი ჰქონდა, მაგრამ ესპანელმა სამივე საფრთხე მოიგერია. ნადალს ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის მხრივ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა - მან მეხუთე და მეცხრე გეიმებში აილო მეტოქის მოწოდება და სეტი 6:3 მოიგო.

ამას მოჰყვა მეორე სეტის სტარტზე რაფას რიგით მესამე ბრეიკი, სულ მალე კი ესპანელი 5:1 დაწინაურდა, რითაც მატჩი ყველას დასრულებული ეგონა. მხოლოდ ცონგა არ ფიქრობდა ასე. მან პირველი ბრეიკი გააკეთა მატჩში და შეამცირა სხვაობა - 2:5. ჟომ მერვე გეიმში სამი მატჩბოლი გადაარჩინა - 3:5. შემდეგ იყო კიდევ ერთი ბრეიკი და საკუთარი გეიმის მოგება და ანგარიში გათანაბრდა!

ტაი-ბრეიკამდე ცონგას კიდევ ერთი მატჩბოლის მოგერიებამ 5:6-ზე მოუწია. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. იქ თავიდან თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ 3:3-ზე ესპანელმა მინი-ბრეიკი გააკეთა და ზედიზედ ოთხი ქულის აღებით, სეტი და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

■ ■ ■

რაფაელ ნადალის მეტოქე ნოვაკ ჯოკოვიჩისა და **ფაბიო ფონინის** შეხვედრაში გამოვლინდა. იტალიელმა კარიერაში საუკეთესო ტურნირი ითამაშა - მან ზედიზედ მოუგო რეიტინგის ტოპათეულის ორ წევრს (**ბერდიხი, გასკე**) და პირველად გავიდა მასტერსის სერიის ტურნირის ნახევარფინალში. თუმცა აპენინელი ცუდ დროს გადაეყარა ჯოკოვიჩს, რომელიც საწყის ეტაპებზე პრობლემების შემდეგ, აშკარად კარგ ფორმაში შევიდა. ეს აღნიშნულმა მატჩმაც დაადასტურა. 52 წუთში სერბმა ოთხი ბრეიკი შეასრულა, საკუთარ მოწოდებაზე კი მხოლოდ რვა გათამაშება წააგო.

■ ■ ■

ასე რომ, მონტე კარლოში მივიღეთ 2009 და 2012 წლის ფინალების გამეორება. ოთხი წლის წინ, რაფას სამი სეტი დასჭირდა ჯოკოვიჩის დასამარცხებლად, სამაგიეროდ შარშან, მხოლოდ ოთხი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის.

სხვათა შორის, ტრადიციული მეტოქეები პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს 2012 წლის როლან გაროსის ფინალის შემდეგ. გუშინდელი მატჩი 34-ე იყო ამ ჩოგბურთელთა დაპირისპირებაში და უპირატესობა ნადალს ჰქონდა - 19:14.

ჩოგბურთელები კორტზე ადგილობრივი დროით 14 საათზე გავიდნენ, მაგრამ მოთელვისას გაწვიმდა და ფინალის დაწყება ერთი საათით გადაიდო.

ნოვაკს საბრძოლო განწყობა ეტყობოდა. შარშანდელი ფინალისგან განსხვავებით, ის იოლად უმკლავდებოდა ნადალის მოჭრილ დარტყმებს. პირველი სეტის ყველა გეიმი დაძაბულ ბრძოლაში მიდიოდა, მაგრამ ბოლოს, ყოველ ჯერზე უფრო ძლიერი ჯოკოვიჩი რჩებოდა. მან ორიდან ორი ბრეიკ-პოინტს გამოყენება შეძლო და 5:0 წაიყვანა ანგარიში. მეექვსე გეიმში სერბმა მიღებაზე ხუთი სეტბოლი მიიღო, მაგრამ ნადალმა ყველა მოიგერია და არ დაუშვა ამ ორი ჩოგბურთელის ურთიერთდაპირისპირების ისტორიაში პირველად სეტში „მშრალი" ანგარიში. უფრო მეტიც, ნადალმა ბრეიკიც გააკეთა, შემდეგ მიღებაზე კიდევ ორი სეტბოლი მოიგერია, მაგრამ მერვე სეტბოლზე გარისკა, ორმაგი შეცდომა დაუშვა და 2:6 წააგო.

მეორე სეტის დასაწყისში ნოვაკს ჩავარდნა ჰქონდა. სერბმა შეცდომებს უმატა, რაფაელი კი უფრო დამაჯერებლად ათამაშდა და მეორე ცდიდან გააკეთა ბრეიკი. ესპანელი ძალიან ახლოს იყო სეტებს შორის ანგარიშის გათანაბრებასთან - ის 6:5-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ ჯოკოვიჩმა ბრწყინვალედ წარმართა მე-12 გეიმი და პარტია ტაი-ბრეიკზე გადაიყვანა. მე-13 გეიმი ნადალმა ძალიან ცუდად ჩაატარა - თავიდანვე ჩამორჩა და მეტოქეს ხუთმაგი მატჩბოლი მისცა. ჯოკოვიჩმა პირველივე შანსი გამოიყენა და შეწყვიტა მონტე კარლოში რაფას 45-მატჩიანი მოგებათა სერია.

ჯოკოვიჩმა პირველად მოიგო მონაკოს ტურნირი და ახლა, მასტერსების სრული კოლექციისთვის ცინცინატის ტიტული არ ჰყოფნის. აქ მას ოთხი ფინალი აქვს წაგებული - ორი **როჯერ ფედერერთან** და ორიც - **ენდი მარეისთან**. „დიდ სლემზე" კოლექციის შესავსებად კი მას როლან გაროსის მოგება აკლია. ნოვაკმა ისე ითამაშა მონაკოს მასტერსზე, რომ შეიძლება საფრანგეთის ღია პირველობაზეც დაამხოს ნადალის ჰეგემონია.

### 1/2 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:2, 6:1; **რაფაელ ნადალი (ესპ, 3)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6) 6:3, 7:6(3).

### ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 3) 6:2, 7:6(1).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### ჯოკოვიჩის ტიტულები (37)

2013 - მონტე კარლო, დუბაი, ავსტრალიის ღია, აბუ დაბი;

2012 - შემაჯამებელი, შანხაი, პეკინი, ტორონტო, მაიამი, ავსტრალიის ღია;

2011 - აშშ-ის ღია, მონრეალი, უიმბლდონი, რომი, მადრიდი, ბელგრადი, მაიამი, ინდიან უელსი, დუბაი, ავსტრალიის ღია;

2010 - პეკინი, დუბაი;

2009 - პარიზი, ბაზელი, პეკინი, ბელგრადი, დუბაი;

2008 - მასტერსის თასი, რომი, ინდიან უელსი, ავსტრალიის ღია;

2007 - ვენა, მონრეალი, ეშტორილი, მაიამი, ადელაიდა;

2006 - მეცი, ამერსფორტი.

### მასტერსის გამარჯვებულები

1. რაფაელ ნადალი - 22
2. როჯერ ფედერერი - 21
3. ანდრე აგასი - 17
4. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 14
5. პიტ სამპრასი - 11.
6. ენდი მარეი - 9
7. ტომას მუსტერი - 8
8. მაიკლ ჩანგი - 7

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| არგენტინა | |
|---|---|
| ველესი-ნიუელსი | 1:3 |
| რასინგი-კოლონი | 1:1 |
| ოლ ბოისი-სან მარტინი | 1:1 |
| კილმესი-ესტუდიანტესი | 1:0 |
| ატ. რაფაელა-ინდეპენდიენტე | 2:0 |
| არსენალი-სან ლორენსო | გვ.დასრ. |
| ბოკა ხუნიორსი-ბელგრანო | გვ.დასრ. |

| ბრაზილია | |
|---|---|
| ბრაგანტინო-პონტე პრეტა | 0:0 |
| კორინთიანსი-ატ. სოროკაბა | 2:0 |
| გუარანი-ბარბარენსე | 1:3 |
| იტუანო-პალმეირასი | 2:1 |
| მირასოლი-ლინენსე | 3:0 |
| მოჯი მირიმი-სან პაულუ | 1:0 |
| ოესტე-სან ბერნარდო | 0:4 |
| სანტოსი-პენაპოლენსე | 2:1 |
| სან კაეტანო-პაულისტა | 0:2 |
| პირასიკაბა-ბოტაფოგო | 4:1 |

| ჩილე | |
|---|---|
| ს. უონდერერსი-აუდაქსი | 2:1 |
| პალესტინო-ევერტონი | 2:1 |
| ო'ჰიგინსი-უნ. ჩილე | 2:2 |
| დეპ. იკიკე-ნუბლენსე | 0:1 |
| ლა კალერა-უნ. ესპანიოლა | 2:1 |
| რეინჯერსი-ანტოფაგასტა | 4:1 |
| კოლო კოლო-უნ. კატოლიკა | 0:1 |
| კობრელოა-სან მარკოსი | 2:1 |

| კოლუმბია | |
|---|---|
| მილიონარიოსი-იტაგუი | 1:2 |
| დეპ. ტოლიმა-დეპ. კინდიო | 2:0 |
| ლა ეკვიდადი-ატ. ნასიონალი | 0:2 |
| დეპ. კალი-ა. პეტროლერა | 2:2 |
| მედელინი-სანტა ფე | 2:2 |
| ონსე კალდასი-დეპ. კუკუტა | 1:0 შეწყდა |

| ეკვადორი | |
|---|---|
| ემელეკი-დეპ. კიტო | 1:0 |
| დეპ. კუენკა-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| ეს ნასიონალი-ბარსელონა | 2:1 |
| ლდუ დე კიტო-დერ. მაკარა | 1:0 |
| მანტა-ლიგა დე ლოხა | 1:1 |
| დეპ. კევედო-ინდეპენდიენტე | გვ.დასრ. |

| პერუ | |
|---|---|
| ინტი გასი-სენსიანო | 3:2 |
| კახამარკა-ხოსე გალვესი | 3:0 |
| ალიანსა ლიმა-სან მარტინი | 2:3 |
| პასიფიკო-კომერსიო | 1:1 |
| ლეონი-სესარ ვალიეხო | 2:2 |
| მელგარი-სპ. კრისტალი | 3:0 |
| რეალი-უნივერსიტარიო | გადაიდო |

| ურუგვაი | |
|---|---|
| პენიაროლი-რასინგი | 1:2 |
| პროგრესო-ლივერპული | 0:2 |
| ფენიქსი-ბელა ვისტა | 1:0 |
| სერო-დანუბიო | 3:1 |
| დეფენსორი-სენტრალი | 2:1 |
| ხუვენტუდი-უონდერერსი | 1:1 |

| აშშ | |
|---|---|
| ტორონტო-ჰიუსტონი | 1:1 |
| კოლორადო-სიეტლი | 0:1 |
| ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 4:1 |
| დალასი-ვანკუვერი | 2:0 |
| ჩიკაგო-კოლამბუსი | 1:0 |
| სოლტ ლეიკი-ჩივასი | 1:0 |
| ლოს ანჯელესი-კანზას სიტი | 2:0 |
| დი სი იუნაიტ.-ფილადელფია | გვ.დასრ. |

| კორეა | |
|---|---|
| დაეიეონი-სუვონი | 1:4 |
| სეული-დაეგუ | 4:0 |
| პოჰანგი-ჯეჯუ | 1:0 |
| ინჩეონი-ჟეონბუკი | 3:1 |
| გიეონგნამი-განგვონი | 1:1 |
| ჩუნამი-ბუსანი | 2:2 |
| ულსანი-სეონგნამი | 0:1 |

| ავსტრალია | |
|---|---|
| ვ. სიდნეი-სენტრალ კოუსტი | 0:2 |

### კალათბურთი

| NBA | |
|---|---|
| ინდიანა-ატლანტა | 107:90 |
| სან ანტონიო-ლეიკერსი | 91:79 |

| იტალია | |
|---|---|
| რომა-ბრინდიზი | 88:82 |
| მონტეპასკი-ვენეცია | 83:81 |
| მილანი-ბიელა | 85:67 |
| ბოლონია-სასარი | 110:120 (ო) |
| კრემონა-ვარეზე | 88:92 |
| მონტეგრანარო-სკავოლინი | 94:108 |
| იუვე სტაბია-აველინო | 75:85 |
| რეჯო ემილია-კანტუ | 71:65 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ობრადოირო-ხუვენტუდი | 79:82 |
| მურსია-ფუენლაბრადა | 87:79 |
| გრან კანარია-რეალი | 74:76 |
| კანარიასი-ბილბაო | 104:101 |
| კახა ლაბორალი-მანრესა | 81:70 |
| ბარსელონა-ესტუდიანტესი | 78:65 |

| თურქეთი | |
|---|---|
| გაზიანთეფი-გალათასარაი | 67:92 |
| ბანვითი-ჰაჩეთეფე | 85:78 |

### ჰოკეი

| NHL | |
|---|---|
| ბოსტონი-ფლორიდა | 3:0 |

| გერმანია | |
|---|---|
| აისბარენი-კიოლნი | 4:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ზლინი-პლზენი | 3:4 (ო) |

### ჩოგბურთი

| ATP. მონტე კარლო | |
|---|---|
| ნადალი-ჯოკოვიჩი | 2:6, 6:7 |

## ჩოგბურთი. ფედერაციის თასი

| რუსეთი-სლოვაკეთი | 3:2 |
|---|---|
| 0:1 ანასტასია პავლიუჩენკოვა-დომინიკა ციბულკოვა | 7:5, 1:6, 4:6 |
| 0:2 მარია კირილენკო-დანიელა ჰანტუხოვა | 2:6, 4:6 |
| 1:2 მარია კირილენკო-დომინიკა ციბულკოვა | 7:5, 6:1 |
| 2:2 ეკატერინა მაკაროვა-დანიელა ჰანტუხოვა | 6:3, 4:6, 6:4 |
| 3:2 მაკაროვა/ვესნინა-ციბულკოვა/ჰანტუხოვა | 4:6, 6:3, 6:1 |

| იტალია-ჩეხეთი | |
|---|---|
| 1:0 სარა ერანი-ლუსი საფაროვა | 6:4, 6:2 |
| 2:0 რობერტა ვინჩი-პეტრა კვიტოვა | 6:4, 6:1 |
| 2:1 სარა ერანი-პეტრა კვიტოვა | 6:2, 2:6, 0:6 |
| რობერტა ვინჩი-ლუსი საფაროვა | |
| პენეტა/სკიავონე-ჰლავაჩკოვა/ჰრადეცკა | |

*შენიშვნა:* წვიმის გამო იტალიისა და ჩეხეთის შეხვედრა დღეს დასრულდება.



ფორმულა 1. ბაჰრეინის გრანპრი

# ისე, როგორც 2012-ში

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე უქმეებს ბაჰრეინმა უმასპინძლა. ზედიზედ მეორედ პოული „მერსედესს“ დარჩა. თუ ერთი კვირის წინ, ჩინეთის ეტაპზე პირველი ადგილიდან სტარტი **ლუის ჰემილტონმა** აიღო, ახლა ეს უფლება **ნიკო როსბერგმა** მოიპოვა.

გერმანელი სტარტზე მაქსიმალურად ცდილობდა **სებასტიან ფეტელის** ბლოკირებას, რითაც ისარგებლა ფერნანდო ალონსომ და მეორე ადგილზე გადავიდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა კონტრშეტევით დაიბრუნა სასტარტო პოზიცია. **ფელიპე მასამ** სტარტზე წინ გაუშვა **პოლ დი რესტა**, შემდეგ კი **ადრიან სუტილის** შეტევებისგან თავდაცვისას, მეტოქის ბოლიდს შეეხო და გერმანელი პელოტონის ბოლოში აღმოჩნდა.

მეორე წრის პირველივე მოსახვევში ფეტელმა როსბერგის გასწრება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ამ დუეტთან კი ახლოს მივიდა ალონსო - პირველ წრეებზე ეს სამეული სამ-ოთხ მეათედ წამში ეტეოდა.

პოლ დი რესტა ლიდერთა ტრიოს რამდენიმე მეათედი წამით ჩამორჩა, შოტლანდიელის უკან კი მჭიდრო ჯგუფად მოძრაობდნენ მასა, **უებერი, ბატონი** და **პერესი. კიმი რაიკონენი** კი, რომელმაც რამდენიმე პოზიცია წააგო, **რომენ გროსჟანთან** ერთად ასრულებდა პირველ ათეულს.

მესამე წრეზე ფეტელმა მოახერხა მეექვსე მოსახვევში როსბერგის გასწრება. მოგვიანებით იგივე გააკეთა ჯერ ალონსომ, შემდეგ კი დი რესტამ.

უკვე შვიდი წრის შემდეგ, „ფერარიმ“ ბოქსებში იხმო ალონსო და „მედიუმი“ „ჰარდით“ შეცვალა. სწორედ აქედან დაიწყო ესპანელის პრობლემები. „ფერარიზე“ DRS-ის სისტემა ხარვეზებით მუშაობდა და ესპანელს მალე მეორედ მოუწია ბოქსებში შესვლა, რითაც ფერნანდომ პირველი ადგილისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა.

ამასობაში, ფეტელი ექვსი წამით დაშორდა მეორე ადგილზე მყოფ დი რესტას და ამის შემდეგ გაეშურა პირველ პიტსტოპზე. პირველ ორ პოზიციაზე კი გადავიდა ის ორი პილოტი, რომლებსაც არ ჰქონდათ შესრულებული პირველი პიტსტოპი: დი რესტა და რაიკონენი. ცხადი იყო, რომ მათ ორი პიტსტოპის ტაქტიკა ჰქონდათ არჩეული.

როცა ეს პილოტებიც შევიდნენ საბურავების გამოსაცვლელად, რბოლას სათავეში ჩაუდგნენ „რედ ბულის“ წევრები - ფეტელი ცხრა წამით უგებდა უებერს, ხოლო ავსტრალიელისგან ექვსი წამის მოშორებით მოძრაობდა როსბერგი. მას მჭიდრო ჯგუფად მოსდევდა რამდენიმე პილოტი და ნიკოს მოუწია ბატონისა და რომენ გროსჟანის გატარება.

სწორედ ამ დროს დაიწყო პიტსტოპების მორიგი სერია და 25-ე წრეზე, საბურავების ახალი კომპლექტის მიღების შემდეგ, დამაჯერებლად შეინარჩუნა ლიდერობა ფეტელმა. მან ის პილოტებიც კი ჩამოიტოვა უკან, რომლებსაც ჯერ მხოლოდ ერთი პიტსტოპი ჰქონდათ შესრულებული: გროსჟანი, დი რესტა და რაიკონენი. სამაგიეროდ, ამ ტრიომ მოახერხა მარკ უებერის გასწრება.

დისტანციის შუაში ცხადი იყო, რომ ფეტელის ტემპი საკმარისი იქნებოდა მესამე პიტსტოპის შემდეგ ლიდერობის შესანარჩუნებლად. ამიტომაც, მთავარი ბრძოლა მეორე ადგილისთვის მიმდინარეობდა.

ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო კიმი რაიკონენის წარმატება - ფინელი დაეწია და 34-ე წრეზე გაუსწრო დი რესტას. ამის შემდეგ, კიმიმ მეორე პიტსტოპზე შეუხვია და ტრასაზე მეშვიდე ადგილზე დაბრუნდა, თუმცა მისი კონკურენტები მესამედ იყვნენ შესასვლელი ბოქსებში.

36-ე წრეზე გაიარა მეორე პიტსტოპი დი რესტამ და ის ტრასაზე რაიკონენის უკან დაბრუნდა. თუ კიმი 20 წრის განმავლობაში შეინარჩუნებდა საბურავების მეორე კომპლექტს და ტემპს არ დაკარგავდა, მას მეორე ადგილზე გასვლის რეალური შანსი უჩნდებოდა. პირველი პოზიციისთვის რაიკონენი ვერ იბრძოლებდა, რადგან ფინიშამდე 15 წრით ადრე, მესამე პიტსტოპზე შევიდა ბოქსებში ფეტელი და იქიდან ფინელზე რვაწამიანი უპირატესობით დაბრუნდა. სამაგიეროდ, ასევე რვა წამს უგებდა კიმი დი რესტას.

დარჩენილ დროში, პირველ სამეულში კიდევ ერთხელ შეიცვალა სიტუაცია. გროსჟანმა გაზარდა ტემპი და ყოველ წრეზე 0.7-0.9 წამს უგებდა დი რესტას. ფრანგმა შეტევა 51-ე წრეზე განახორციელა და DRS-ის ზონაში გაუსწრო შოტლანდიელს.

ამასობაში, სებასტიან ფეტელმა დამაჯერებლად გადაკვეთა ფინიშის ხაზი და კარიერაში 28-ე გამარჯვება მოიპოვა. გერმანელი გამარჯვებების რაოდენობით მეექვსე ადგილზე გადავიდა ყველა დროის სიაში. ცხრა წამის შემდეგ მივიდა ფინიშთან რაიკონენი, ხოლო გროსჟანის მესამე ადგილზე გასვლით განმეორდა ბაჰრეინის გრანპრის შარშანდელი პოდიუმი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



სებასტიან ფეტელმა დამაჯერებლად მოიგო

**ბაჰრეინის გრან-პრი. IV ეტაპი**

**საპირი (57 წრე. 308.238)**

1. სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) 57 წრე (3 პიტსტოპი)
2. კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი) +9.1 (2)
3. რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი) +19.5 (3)
4. პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) +21.7 (2)
5. ლუის ჰემილტონი (მერსედესი, ბრიტანეთი) +35.2 (3)
6. სერხიო პერესი (მაკლარენი, მექსიკა) +35.9 (3)
7. მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) +37.2 (3)
8. ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) +37.5 (4)
9. ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) +41.1 (4)
10. ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) +46.6 (4)
11. პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) +1:06.4 (3)
12. ნიკო ჰიულკენბერგი (ზაუბერი, გერმანია) +1:12.9 (3)
13. ადრიან სუტილი (ფორს ინდიან, გერმანია) +1:16.7 (3)
14. ვალტერი ბოტასი (უილიამსი, ფინეთი) +1:21.5 (3)
15. ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია)+1:26.3 (4)
16. დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა) 1 წრე (3)
17. შარლ პიკი (კატერჰემი, საფრანგეთი) 1 წრე (3)
18. ესტებან გუტიერესი (ზაუბერი, მექსიკა) 1 წრე (4)
19. ჟიულ ბიანკი (მარუსია, საფრანგეთი) 1 წრე (4)
20. მაქს ჩილტონი (მარუსია, ბრიტანეთი) 1 წრე (4)
21. გიდო ვან დერ გარდე (კატერჰემი, ჰოლანდია) 2 წრე (5)
22. ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი) 40 წრე

**კონსტრუქტორთა თასი**

1. რედ ბული - 109; 2. ლოტუსი - 93; 3. ფერარი - 77; 4. მერსედესი - 64; 5. ფორს ინდია - 26; 6. მაკლარენი - 23; 7. ტორო როსო - 7; 8. ზაუბერი - 5.

**სასტარტო ბილიკი**

1. ნიკო როსბერგი
2. სებასტიან ფეტელი
3. ფერნანდო ალონსო
4. ფელიპე მასა
5. პოლ დი რესტა
6. ადრიან სუტილი
7. მარკ უებერი
8. კიმი რაიკონენი
9. ლუის ჰემილტონი
10. ჯენსონ ბატონი
11. რომენ გროსჟანი
12. სერხიო პერესი
13. დანიელ რიკარდო
14. ნიკო ჰიულკენბერგი
15. ვალტერი ბოტასი
16. ჟან-ერიკ ვერნი
17. პასტორ მალდონადო
18. შარლ პიკი
19. ჟიულ ბიანკი
20. გიდო ვან დერ გარდე
21. მაქს ჩილტონი
22. ესტებან გუტიერესი

**ლიდერები მოგებების რაოდენობით**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 91 |
| 2. ალენ პროსტი | 51 |
| 3. აირტონ სენა | 41 |
| 4. ნაიჯელ მენსელი | 31 |
| 4. ფერნანდო ალონსო | 31 |
| 6. სებასტიან ფეტელი | 28 |
| 7. ჯეკი სტიუარტი | 27 |
| 8. ჯიმ კლარკი | 25 |
| 8. ნიკი ლაუდა | 25 |
| 10. ხუან-მანუელ ფანხიო | 24 |

| | ავს | მალ | ჩინ | ბაჰ | ესპ 12.05 | მონ 26.05 | კან 09.06 | ბრიტ 30.06 | გერ 07.07 | უნგ 28.07 | ბელ 25.08 | იტა 08.09 | სინ 22.09 | კორ 06.10 | იაპ 13.10 | ინდ 27.10 | ა-დაბ 03.11 | აშშ 17.11 | ბრა 24.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 15 | 25 | 12 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 77 |
| **რაიკონენი** (ლოტუსი) | 25 | 6 | 18 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 67 |
| **ჰემილტონი** (მერსედესი) | 10 | 15 | 15 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 50 |
| **ალონსო** (ფერარი) | 18 | -- | 25 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 47 |
| **უებერი** (რედ ბული) | 8 | 18 | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 32 |
| **მასა** (ფერარი) | 12 | 10 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 30 |
| **გროსჟანი** (ლოტუსი) | 1 | 8 | 2 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 26 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 4 | -- | 4 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 20 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | 12 | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 14 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 2 | -- | 10 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 13 |
| **პერესი** (მაკლარენი) | -- | 2 | -- | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 10 |
| **სუტილი** (ფ-ინდია) | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **რიკარდო** (ტორო როსო) | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 6 |
| **ჰიულკენბერგი** (ზაუბერი) | -- | 4 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 5 |
| **ვერნი** (ტორო როსო) | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 1 |

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ნიკოლოზ ნეფარიძე***
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:07
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608